მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დეკემბერი, 2012

52 / იგრძენი ფიროსმანი

18 / როგორ შეიქმნა მუზეუმი

28 / საგანძურით მოყოლილი ისტორია

58 / სვანეთი: მხარე-საგანძური

46 / იარაღის გარემოცვაში

ISSN 2298-0318

9 772298 031004

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მაღაზიებში წარმოდგენილია წიგნებისა და სუვენირების ფართო არჩევანი. გამოფენების კატალოგებისა და სამუზეუმო ექსპონატების ასლების გარდა, მაღაზიაში შეგიძლიათ შეიძინოთ მსოფლიოს წამყვანი მუზეუმებისა და გამომცემლობების პუბლიკაციები, ასევე თანამედროვე სამკაული და სუვენირები.

კაფეები და მაღაზიები მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10:00-დან 18:00-მდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ისტორიის მუზეუმში, სიღნაღის მუზეუმსა და დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში.

ეროვნული მუზეუმის კაფეებსა და მაღაზიებში შესვლა შეგიძლიათ ბილეთის აღების გარეშე.

მისამართები:

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ისტორიის მუზეუმი, რუსთაველის გამზირი 3, თბილისი.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეა, რუსთაველის გამზირი 11, თბილისი.
საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმი, რუსთაველის ჩიხი 8, სიღნაღი.

მუზეუმი

სარჩევი

12 / ინტერვიუ დავით ლორთქიფანიძესთან

15 / მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის ვეტერანი

28 / საგანძურით მოყოლილი ისტორია

30 / მუზეუმი როგორც უწყვეტი განათლების წყარო

34 / შუქი ვანიდან – ნივთის გზა გათხრებიდან გამოფენამდე

38 / ახალი სტანდარტები ეროვნულ მუზეუმში

42 / საქართველოს მინი-მოდელი

46 / იარაღის გარემოცვაში

50 / ქართული არქეოლოგიური მისია ქუვეითში

მხარე-საგანძური

პროექტის დასრულების შემდეგ სვანეთის მუზეუმი, რომელიც ძირითადი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია რეგიონში, უკვე სრულფასოვნად შეასრულებს დამაკავშირებელი ხიდის როლს ტრადიციასა და ნოვაციას, ისტორიასა და თანამედროვეობას შორის.

08 / **მთავარი თემა**

მუზეუმი ახალ საუკუნეში აღარაა მხოლოდ ექსპონატების შეგროვების, კონსერვაციისა და გამოფენის ადგილი. იგი ურბანული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება.

18 / **ისტორია**

დავით სარაჯიშვილმა მუზეუმის შენობისთვის 100 000 მანეთი დატოვა. ამ თანხას მისმა მეუღლემ 600 000 მანეთი დაუმატა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომისა და ფულის ინფლაციის გამო ეროვნული მუზეუმის დაბინავების გეგმა ხანგრძლივი დროით გადაიდო.

52 / **ხელოვნება**

ფიროსმანის ხელოვნება სწორედ ის ხიდია, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობასა და XX საუკუნის ხელოვნებას ერთმანეთთან აკავშირებს.

54 / **რეგიონი**

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის განახლებულ შენობას არქიტექტურული პრემია 2012 მიენიჭა ნომინაციაში რესტავრაცია-რეკონსტრუქცია (ნაგებობა რეალიზებული). პროექტის ავტორი: გაგა კიკნაძე (კომპანია „არქიტექტორები.ჯი“).

58 / სვანეთი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს განძსაცავი იყო. კავკასიონის მთებში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე, მიუვალი სოფლების ეკლესიებში ინახებოდა ქართული თუ უცხოური ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები. ამ განძს სვანები რუდუნებით უვლიდნენ.

საერთაშორისო გამოფენები



არქეოლოგია

კოლხური ოქრო

Antikensammlung, Altes Museum, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანება, ბერლინი, გერმანია. 15 მარტი - 3 ივნისი 2007

აზიური ხელოვნების მუზეუმი, ნიცა, საფრანგეთი. 16 ივნისი - 2 სექტემბერი 2007

Musée de la Monnaie, პარიზი, საფრანგეთი. 11 სექტემბერი - 7 ნოემბერი 2007

არტურ მ. საკლერის გალერეა, სმითსონიანის ინსტიტუტი, ვაშინგტონი, აშშ. 1 დეკემბერი 2007 – 24 თებერვალი 2008

ძველი სამყაროს კვლევის ინსტიტუტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ. 12 მარტი - 1 ივნისი 2008

ჰიუსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, ჰიუსტონი, აშშ. 21 ივნისი - 1 სექტემბერი 2008

ფიტცუილიამის მუზეუმი, კემბრიჯი, ინგლისი. 2 ოქტომბერი 2008 – 4 იანვარი 2009

ბენაკის მუზეუმი, ათენი, საბერძნეთი. 20 იანვარი - 6 აპრილი 2009

გეტი ვილა, ლოს-ანჯელესი, აშშ. 16 ივლისი - 5 ოქტომბერი 2009

ხმელთაშუა ზღვისა და წინა აზიის კულტურების მუზეუმი, სტოკჰოლმი, შვედეთი. 20 ნოემბერი 2009 – 14 თებერვალი 2010

დრენტის მუზეუმი, ასენი, ჰოლანდია. 6 მარტი - 15 აგვისტო 2010

სევილიის არქეოლოგიის მუზეუმი, სევილია, ესპანეთი. 5 მაისი - 20 ივნისი 2010

რომის საიმპერატორო ფორუმების მუზეუმი, რომი, იტალია, 17 ნოემბერი 2011 – 5 თებერვალი 2012

დმანისის აღმოჩენები

„კაცობრიობის ფესვები“ , რაინის სამხარეო მუზეუმი, ბონი, გერმანია, 08 ივლისი 2006 – 11 ნოემბერი 2006

„ადამიანის ევოლუციის სახე“, ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი (Naturalis), ლაიდენი, ჰოლანდია, 08 დეკემბერი 2009 – 28 თებერვალი 2010

ადამიანის ევოლუციის მუდმივმოქმედი გამოფენა (წარმოდგენილია ასლები ეროვნული მუზეუმიდან), სმითსონის ინსტიტუტის ბუნების ისტორიის მუზეუმი, ვაშინგტონი, აშშ. 17 მარტი 2010

„Homo Sapiens, ადამიანის ევოლუციის ხანგრძლივი ისტორია“, Palazzo delle Esposizioni, რომი, იტალია, 11 ნოემბერი 2011 - 12 თებერვალი 2012

ფიროსმანი

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, კიევი, უკრაინა, 5 აპრილი – 14 ივნისი 2006

ბელორუსიის რესპუბლიკის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მინსკი, ბელორუსია, 10 ივნისი – 27 აგვისტო 2008

ხელოვნების ეროვნული გალერეა, ვილნიუსი, ლიტვა, 31 დეკემბერი 2008 – 2 მაისი 2009

პერას მუზეუმი, სტამბული, თურქეთი, 1 აგვისტო – 7 ოქტომბერი 2007

ზერვოსის მუზეუმი, ვეზელე, საფრანგეთი, 22 სექტემბერი – 7 ნოემბერი 2008

დორდრეხტის მუზეუმი, ჰოლანდია, 6 მაისი-30 სექტემბერი 2012

XX საუკუნის ცნობილი ქართველი მხატვრები

„პარიზი – მონპარნასი/თბილისი“ მონპარნასის მუზეუმი, პარიზი, საფრანგეთი. 26 ივნისი – 30 აგვისტო 2008



საქართველოს ეროვნული მუზეუმი მონაწილეობდა შემდეგ საერთაშორისო გამოფენებში

„ბიზანტია და ისლამი: გარდამავალი ხანა (VII-IX სს.)“, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, აშშ. 14 მარტი 2012 – 08 ივლისი 2012

(წარმოდგენილი იყო ნივთი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის საგანძურიდან)

„Vinum Nostrum – ხელოვნება, მეცნიერება და მითები ღვინის შესახებ ხმელთაშუა ზღვის ანტიკურ ცივილიზაციაში“, ფლორენციის პიტის სასახლის ხელოვნების მუზეუმი, ფლორენცია, იტალია, 19 ივლისი 2010 – 15 მაისი 2011

„Breaking the Rules“, ევროპული ავანგარდის გამოფენა, ბრიტანული ბიბლიოთეკა, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი. 8 ნოემბერი 2007 – 30 მარტი 2008

(წარმოდგენილი იყო ფიროსმანისა და ირაკლი გამრეკელის ნამუშევრები)

„ბაბილონის მიღმა – ხელოვნება, ვაჭრობა და დიპლომატიური ურთიერთობები ძვ. წ. II ათასწლეულში“ , მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი, აშშ.18 ნოემბერი 2008 – 15 მარტი 2009 (წარმოდგენილი იყო არქეოლოგიური ნივთები საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან)

„ვასილი კანდინსკი“, ჟორჟ პომპიდუს ცენტრი, პარიზი, საფრანგეთი. 8 აპრილი - 10 აგვისტო 2009

„ვასილი კანდინსკის ნამუშევრების რეტროსპექტივა“, გუგენჰაიმის მუზეუმი, ნიუ-იორკი, აშშ. სექტემბერი 2009 – იანვარი 2010

„Expressionismus & Expressionismi: Berlin-Munich 1905-1920. Der Blaue Reiter vs Brücke. პინაკოთეკა, პარიზი, საფრანგეთი. 11 ოქტომბერი 2011 - 11 მარტი 2012

ბავშვობიდანვე განსაკუთრებულ ემოციებს იწვევდა ჩემში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი: რუსთაველზე მდგარი შენობა თავისი მკაცრი იერით... ალექსანდრე ჯავახიშვილისა და ავთო ვარაზის მიერ საბჭოთა ეპოქისათვის უჩვეულო ესთეტიკით გაკეთებული ექსპოზიცია... ნახევრადჩაბნელებული დარბაზები, სადაც იდუმალებით მოცული გარემო მოწიწების გრძნობას ბადებდა...

მუზეუმთან არის დაკავშირებული ყოველი ისტორიკოსისა და არქეოლოგის საქმიანობა, მათ შორის მამაჩემისაც. ამიტომაც მხვდა წილად ბედნიერება, ადრეულ ასაკში ვზიარებოდი ამ სამყაროს და გამეცნო მუზეუმში მომუშავე განსაკუთრებული ადამიანები. კარგად მახსოვს ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ბატონი კოტე ჩოლოყაშვილის გაცნობამ მოახდინა; ადამიანისა, რომელიც ქართველ ისტორიულ გმირს მოგვაგონებს და ცნობილი არქეოლოგის, ბატონი ოთარ ჯაფარიძისა, რომლებიც დღესაც აგრძელებენ მუზეუმთან თანამშრომლობას, ისევე როგორც მათი თაობის მრავალი მეცნიერი.

მას შემდეგ არ შეწყვეტილა ჩემი კავშირი მუზეუმთან. 1997 წელს, საფრანგეთის მუზეუმებში სტაჟირებიდან დაბრუნების შემდეგ, ჩემი მასწავლებლის, ლეო გაბუნიას რეკომენდაციით მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა, ბატონმა ლევან ჭილაშვილმა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში სამუშაოდ მიმიწვია და მოგვიანებით საკუთარი მოადგილეობაც მანდო... ახლა უკვე რვა წელია მაქვს პატივი, ვუხელმძღვანელო დაწესებულებას, რომელშიც ჩვენი ქვეყნის მთავარი საგანძური ინახება და სადაც იღწვიან ღირსეული ადამიანები, რომლებმაც ურთულეს პირობებში მოახერხეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერში შევეცადეთ, უკეთ გაგვეცნო თქვენთვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შემავალი დაწესებულებების საქმიანობა, რომელიც მეცნიერული კვლევისა და სხვადასხვა ტიპის გამოფენების გარდა, საგანმანათლებლო სფეროსაც მოიცავს და ამით ახალგაზრდა თაობის ჩვენ მრავალსაუკუნოვან კულტურასთან ზიარებას ემსახურება.

მუზეუმის თანამშრომლების სახელით გილოცავთ დამდეგ 2013 წელს და გამოვთქვამ სურვილს, რომ ყოველი თქვენგანი, ასაკისა და პროფესიის მიუხედავად, ჩვენი მუზეუმის მეგობარი გამხდარიყოს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი მუდამ გულღიად გელით.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი

რედაქტორი: თამარ ბაბუაძე
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
ფოტოგრაფები: მირიან კილაძე, მალხაზ მაჭავარიანი, გურამ წიბახაშვილი, ბრაიან უიტნი, ფერნანდო ხავიერ ურკუიჯო
ნომერზე მუშაობდნენ: მიხეილ წერეთელი, სალომე გურული, ნინო ტაბუცაძე, მერაბ მიქელაძე, ეკეატერინე გამყრელიძე, ნათია ხულუზაური
სტამბა: სეზანი, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002

ISSN 2298-0318

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში შეგიძლიათ ეწვიოთ სამეცნიერო კაფეს. ყოველი თვის ერთ-ერთ ოთხშაბათს მოწვეული მეცნიერი წაიკითხავს ლექციას, რომლის შემდეგ გაიმართება დისკუსია და მსმენელს საშუალება ექნება, უშუალო გარემოში დაუსვას კითხვები მოწვეულ სტუმარს.

ინფორმაცია ლექციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მუზეუმის ვებ-გვერდზე და სამეცნიერო კაფეს facebook-ის ოფიციალურ გვერდზე:

http://www.muzeum.ge
http://www.facebook.com/sciencecafe.georgiannationalmuseum

Live Streaming-ის საშუალებით შეგიძლიათ, ჩვენ ვებ-გვერდზე, სახლიდან გაუსვლელად „დაესწროთ“ სამეცნიერო კაფეში მიმდინარე ლექციებს და თვალი ადევნოთ მუზეუმში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებას.

მისამართი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი. რუსთაველის გამზირი 3, თბილისი.

რას ნიშნავს მუზეუმი დღეს?
წარსულის შენარჩუნება, მომავლის ხედვა

მთავარი თემა > თამარ ბაბუაძე

მუზეუმის ბოლოდროინდელ ღონისძიებებს შორის გამორჩეული იყო სექტემბერში ჩატარებული ოთხდღიანი საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით "რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება, მომავლის ხედვა".

გამოფენა: „ბერლინის მუზეუმების კუნძული და თბილისის მუზეუმების უბანი. წარსულის შენარჩუნება, მომავლის ხედვა“

კონფერენციაში მსოფლიოს უდიდესი მუზეუმების დირექტორები და წამყვანი სპეციალისტები მონაწილეობდნენ. თითქმის ყოველი მომხსენებლის გამოსვლა იმ ძირეულ ცვლილებას ეხებოდა, რომელიც სამუზეუმო სისტემამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განიცადა: მუზეუმი ახალ საუკუნეში აღარაა მხოლოდ ექსპონატების შეგროვების, კონსერვაციისა და გამოფენის ადგილი. იგი ურბანული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება.

როგორ უნდა შეასრულოს მუზეუმმა ეს ახალი როლი სუპერტექნოლოგიების ეპოქაში? როგორ უნდა აქციონ ტრადიციულმა დაწესებულებებმა ეს გამოწვევა თავის უპირატესობად? – სწორედ ამ თემებზე მსჯელობდნენ თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე შეკრებილი სპეციალისტები, მენეჯერები და არქიტექტორები ლონდონის ბრითიშ მუზეუმიდან, ვაშინგტონის სმითსონიანის ინსტიტუტიდან, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანებიდან, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმიდან, UNESCO-დან და საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონფერენციის ბოლო დღე სამხრეთ კავკასიასა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დაეთმო. რეგიონულ ვორქშოფში სახელწოდებით „აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და კავკასიის მუზეუმები XXI საუკუნეში“ სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელორუსი, ყაზახი, რუსი, უკრაინელი, უზბეკი და ქართველი ექსპერტები მონაწილეობდნენ.

საერთაშორისო კონფერენციის დასრულების შემდეგ მისმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი თავისი ნოვატორული პროექტებით რეგიონში განვითარებისა და წინსვლის მაგალითი შეიძლება გახდეს.

მუზეუმების უბანი

სექტემბერში გამართული საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში თემატური გამოფენა გაკეთდა. ექსპოზიციაზე, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში გაიხსნა თბილისის გოეთეს ინსტიტუტთან და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანებასთან თანამშრომლობით, ორივე ქალაქის – თბილისისა და ბერლინის – სამუზეუმო ცენტრების კონცეფცია იყო წარმოდგენილი. ბერლინის შემთხვევაში – უკვე არსებული მუზეუმების კუნძულის კონცეფცია, თბილისის შემთხვევაში კი პროექტი, რომელიც რუსთაველის გამზირის სამუზეუმო მონაკვეთს სრულიად ახლებურ ურბანულ სივრცედ გადააქცევს. პროექტის ავტორია ფრანგი არქიტექტორი ჟან-ფრანსუა მილუ. გამოფენაზე სწორედ მისი გეგმაა წარმოდგენილი 1970-იან წლებში ქართველი არქიტექტორის, ვლადიმერ ქურთიშვილის მიერ შექმნილი გუდიაშვილის ქუჩის ესკიზებთან ერთად.

რა იდეა აერთიანებს ბერლინის მუზეუმების კუნძულს? რა როლს ასრულებს ის ქალაქის საერთო ურბანულ ქსოვილში, რას ჰმატებს მას, რით აცოცხლებს? როგორ წყვეტს კოლექციათა დაცვა-გამოფენის საკითხს მუზეუმების ამგვარი სისტემის აწყობა? – ეს იყო კითხვები, რომლებიც მუზეუმში გახსნილმა გამოფენამ წამოჭრა. გრაფიკული მასალა და ფოტოები, ნივთები და თანდართული ტექსტი, ასევე ფილმი, რომლის ნახვის საშუალებაც გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს ჰქონდა, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებს პასუხობდა. ეს ორი, გვერდიგვერდ გამოფენილი პროექტი, ერთი - განხორციელებული, მეორე – დაგეგმილი, გამოფენაზე მისულ სტუმრებს საშუალებას აძლევდა, თვალნათლივ გაეაზრებინათ, რა მასშტაბის ცვლილებას შეიძლება გულისხმობდეს მუზეუმების უბნის ეს პროექტი.

არქიტექტორ ჟან-ფრანსუა მილუს თბილისის მუზეუმების უბანის კონცეფცია

სწორედ ბერლინის მუზეუმების კუნძულის მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თბილისის მუზეუმების უბანი მალე კოლექციების ოპტიმალურ სივრცეში განთავსებისა და დაცვის, ექსპოზიციების ეფექტურად განაწილების მოდელი გახდება; ეს იქნება პროცესი, რომელიც გასცდება მუზეუმის კედლებს და პოლიტიკოსების, ბიზნესისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლების ერთობლივი მცდელობით დედაქალაქის ცენტრს ხელოვნებისა და ცოდნის გამავრცელებელ უბნად გარდაქმნის.

ბერლინის მუზეუმების კუნძულმა (Museumsinsel) ამ უნიკალური ფუნქციის შესრულება რამდენიმე წლის წინ დაიწყო, როდესაც როგორც არქიტექტურით, ისე კოლექციების მრავალფეროვნებით გამორჩეული ხუთი მუზეუმი ერთ სისტემად ჩამოყალიბდა და შენობების დაგეგმარების, კოლექციების მართვის და მათი ექსპონირების სრულიად უნიკალური კონცეფცია შესთავაზა როგორც მთელ საერთაშორისო სამუზეუმო წრეებს, ისე – რიგით დამთვალიერებელს. Altes Museum, Neues Museum, პერგამონის და ბოდეს მუზეუმები – სხვადასხვა დროს გახსნილი ეს დაწესებულებები და მათი გაერთიანების შემდეგ დაგროვილი უნიკალური გამოცდილება ის მაგალითია, რომლითაც თბილისის „მუზეუმების უბნის“ კონცეფციის შექმნისას ხელმძღვანელობდნენ. თვინინგის პროექტის ფარგლებში ეროვნულ მუზეუმს სწორედ ბერლინის მუზეუმების კუნძულის სპეციალისტები უწევდნენ კონსულტაციებს. შეჯერებული იდეებისა და პროექტის გაცნობის შემდეგ უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შეიცვლის სახეს ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია. როგორც ცნობილია, პროექტი ეროვნული გალერეის, ალექსანდრეს ბაღის, გუდიაშვილის ქუჩის, ს. ჯანაშიას და შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმებს და მიმდებარე

მუზეუმის უსაფრთხოება XXI საუკუნეში

ICMS-ის კონფერენციის მონაწილეები

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 2012 წლის შემოდგომაზე კიდევ ერთ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. UNESCO-ს სისტემაში შემავალი, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტის (ICMS) მმართველმა გუნდმა 37-ე ყოველწლიური კონფერენციის ჩასატარებლად საქართველოს ეროვნული მუზეუმი აირჩია. საბჭოს ინიციატივას ეროვნული მუზეუმის დირექციაც დადებითად შეხვდა და, ერთწლიანი მზადების შემდეგ, კონფერენცია „შესაძლო საფრთხე საგანძურისთვის და მისი ევაკუაცია საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური მოვლენების დროს“ გაიმართა. კონფერენციის ორგანიზატორი მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტთან (ICMS) და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად იყო მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს (ICOM) ეროვნული კომიტეტი საქართველოში.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის მუზეუმების უსაფრთხოების განყოფილების დირექტორები, წამყვანი მუზეუმებისა და ინტერპოლის მენეჯერები და უსაფრთხოების სისტემაში აღიარებული სპეციალისტები. ფორუმის ძირითადი მიზანი იყო, წარმოეჩინა მსოფლიოს ცნობილი მუზეუმების უსაფრთხოების სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიები, კოლექციების ევაკუაციისა და თანამშრომლებისა და კოლექციების უსაფრთხოების თანამედროვე მეთოდები მსოფლიოს ისეთი წარმატებული დაწესებულებების მაგალითზე, როგორებიცაა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანება, პრაღის ეროვნული გალერეა, ჩინეთის მუზეუმი და სხვა.

კონფერენციის მონაწილეები ერთი დღით სტუმრობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმს ღია ცის ქვეშ, სადაც უსაფრთხოების სპეციალისტები ჯგუფებად დაიყვნენ და ქართველ კოლეგებთან ერთად შეისწავლეს და გააანალიზეს მუზეუმის ტერიტორია უსაფრთხოების კუთხით. მომდევნო დღეს თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ღია ცის ქვეშ მუზეუმის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ქართველი სპეციალისტებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ კონფერენციას როგორც კონტაქტების დამყარების, ასევე გამოცდილების გაზიარების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელმა სპეციალისტებმა ერთდღიანი ტრენინგიც ჩაატარეს ქართველი კოლეგებისთვის კოლექციების უსაფრთხოების სისტემებისა და მათი ევაკუაციის შესახებ, რომელსაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ეროვნული საგანძურის დაცვის სამმართველოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. თვით კონფერენციაში მონაწილეობდნენ შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს წარმომადგენლები.

აღნიშნული კონფერენციის შედეგად საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და მუზეუმის უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტს (ICMS) შორის მჭიდრო პროფესიული ურთიერთთანამშრომლობა დამყარდა, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

ტერიტორიას მოიცავს. ტრანსფორმაცია უკვე დაწყებულია ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში, სადაც ე.წ. უბილეთო ზონაა გახსნილი კაფეთი და სუვენირების მაღაზიით, მუზეუმის შიდა ეზოთი, რომელიც ხშირად გამხდარა საინტერესო ღონისძიებების მასპინძელი და სამუზეუმო ქუჩის სრულად ამოქმედების შემდეგ ერთ-ერთ ცენტრალურ, დამაკავშირებელ როლს შეასრულებს რუსთაველის გამზირსა და გუდიაშვილის ქუჩას შორის.

გაეცანით ფრანგი არქიტექტორის პროექტს, რათა თქვენც წარმოიდგინოთ, როგორ შეიძლება გაიხსნას მუზეუმის კარი ფართო საზოგადოებისთვის პროგრესული იდეების განსახორციელებლად. ■

ინტერვიუ დავით ლორთქიფანიძესთან

ინტერვიუ > თამარ ბაბუაძე



საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი, დავით ლორთქიფანიძე

ბატონო დავით, ეროვნული მუზეუმის როგორც რამდენიმე მუზეუმისგან შემდგარი გაერთიანების ჩამოყალიბების შემდეგ რვა წელიწადზე მეტი გავიდა. როგორ შეაფასებთ ამ ხნის განმავლობაში მიღებულ შედეგებს და რას მიიჩნევთ თქვენ ყველაზე სწორ ნაბიჯად?

18 სექტემბერს თბილისში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს?“ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერებს შორის მეტროპოლიტენ მუზეუმის, სმითსონიანის ინსტიტუტის, ბრითიშ მუზეუმის, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანების და სხვა დიდი მუზეუმების ხელმძღვანელები, ასევე სამუზეუმო სფეროს ცნობილი არქიტექტორები იყვნენ. ჩვენ ერთად ვიმსჯელეთ მუზეუმების მომავალზე: როგორ უნდა შეინარჩუნოს მან წარსულის მემკვიდრეობა და, ამასთანავე, როგორ განვითარდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ეროვნული მუზეუმი კონფერენციაზე კონკრეტული პროექტით – „მუზეუმების უბანი“ წარსდგა. მისი განხორციელება საშუალებას მოგვცემს, მუზეუმი იქცეს თანამედროვე, ნოვატორულ და კრეატიულ დაწესებულებად, კულტურის იმ ცენტრად, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ურბანულ და სოციალურ ქსელში.

კონფერენციაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და ჩვენი პროექტის „გარედან დანახვის“ შემდეგ გამოიკვეთა, რომ ეროვნული მუზეუმი განვითარების სწორ გზაზე დგას – ჩვენ დროის შესატყვისი მიზნები გვაქვს და, ვფიქრობ, სწორი მიმართულებით მივდივართ.

ახლა, როდესაც მოქალაქეთა დიდი ნაწილი აცნობიერებს, თუ რა ძალა აქვს დეცენტრალიზაციას, თუ რამდენადაა აუცილებელი ეს მოდელი პროგრესისა და განვითარებისთვის, საინტერესოა, რატომ იქცა ეროვნული მუზეუმისთვის პროგრესის წინა პირობად პირიქით, გაერთიანება და ცენტრალიზაცია.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, რომელიც 2004 წლის დეკემბერში შეიქმნა, გააერთიანა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მუზეუმები და 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თავი მოუყარა როგორც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების უდიდეს ნაწილს, ასევე მნიშვნელოვან ინტელექტუალურ და სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს. საქმე იმაშია, რომ მუზეუმების გაერთიანება ავტომატურ ცენტრალიზაციას არ ნიშნავს. ჩვენ შემთხვევაში, გაერთიანების მიზანი იყო, შეგვექმნა ინფორმაციისა და ცოდნის ერთიანი ბაზა, რათა იოლად განგვესაზღვრა, რა გვაქვს და როგორ უნდა მოვუაროთ ამ კულტურულ მემკვიდრეობას. გაერთიანება არ ყოფილა თვითმიზანი. ეს ჩვენთვის იყო ყველაზე ოპტიმალური მეთოდი ეროვნული საგანძურის მოვლისა და მართვისთვის (ვგულისხმობ პატარა ქვეყნებს, სადაც მეცნიერების უდიდესი ტრადიცია არსებობს და სადაც უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა ინახება). 1990-იანი წლების შემდეგ ჩვენ ქვეყანაში უამრავი ცვლილება მოხდა, თუმცა, ეს ძირითადად პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებს ეხებოდა. იშვიათად ვიყავით მოწმე კულტურის სფეროს დაწესებულებების ფუნდამენტური შინაარსობრივი გარდაქმნისა. ეროვნულ მუზეუმში კი სწორედ ასეთი თვისებრივი ტრანსფორმაცია მიმდინარეობს. მუზეუმი თავისი 160-წლიანი არსებობის მანძილზე ქვეყანაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენისა და ცვლილების დროს ყოველთვის უდიდეს როლს ასრულებდა. ის იყო გამაერთიანებელი სამეცნიერო-კვლევითი ბირთვი და ამ სტატუსს მუდამ ინარჩუნებდა.

ცენტრალიზებული ეროვნული მუზეუმი სწორედ ამ გამოცდილებაზე, ამ ფუნდამენტზე დგას. ჩვენ გავერთიანდით იმისთვის, რომ ჩვენ საერთო სტრუქტურაში შემავალ დაწესებულებებს აუცილებელი თანამედროვე სტანდარტის მიღწევაში შევუწყოთ ხელი. ჩვენი მიზანია, შეიქმნას ერთიანი ქსელი, რომლის შემადგენლობაში მყოფ ყოველ მუზეუმს საკუთარი იდენტობა შეუნარჩუნდება.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანია, რომელიც ეროვნულმა მუზეუმმა უკვე გააკეთა. თუმცა, საინტერესოა, კიდევ

რა არის ის კონცეპტუალური ცვლილება, გარდატეხა, რომლის განხორციელებაც ქვეყნის მთავარმა სამუზეუმო ქსელმა უნდა ითავოს?

მოდით, ჯერ ვუპასუხოთ კითხვას: რა არის ეროვნული მუზეუმი ზოგადად? გარდა იმისა, რომ ფორმალურად ესაა რამდენიმე კომპონენტისგან შემდგარი დაწესებულება, ეს ასევე გახლავთ ინსტიტუცია, რომელიც დიდი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობს. საზოგადოება მას ანდობს ეროვნული საგანძურის დაცვას და სწორედ მუზეუმის მოვალეობაა, ეს ფასდაუდებელი მატერიალური საგანძური მსოფლიო მეცნიერებისთვის ღირებულ და ხელმისაწვდომ ცოდნის წყაროდ აქციოს.

ჩვენი ერთ-ერთი მიზანია როგორც დროებითი, ისე მუდმივი გამოფენების მოწყობა და, პარალელურად, ისეთი ეფექტური იარაღის გამოყენება, როგორიცაა თანამედროვე მედია და ახალი ტექნოლოგიები. მუზეუმი მრავალფუნქციური დაწესებულებაა, რომელიც მხარს უბამს თანამედროვეობას.

რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ზუსტად ისეთ ეფექტურ და ტექნიკური თვალსაზრისით ნოვატორულ გამოფენებს ვაწყობთ, როგორსაც ვისურვებდით, მაგრამ მთავარია, არ გავჩერდეთ და ვიმოქმედოთ. ზოგიერთი ჩვენი აქტივობა საზოგადოებისთვის შეუმჩნეველია – მაგალითად, რომ არა კოლექციების ციფრულ ფორმატში გადატანა, დღეს დიდ მიზნებზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, ზოგიერთ ცვლილებას დაკვირვებული დამთვალიერებელი აუცილებლად შენიშნავს: მაგალითად, გავხსენით კაფე, რაც თანამედროვე მუზეუმის, შეიძლება ითქვას, განუყოფელი ნაწილია. დავამატეთ ლიფტები. საბოლოო ჯამში, ამ ერთი შეხედვით პატარა ცვლილებებს სოლიდური შედეგი მოჰყვა. მუზეუმი უფრო ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დამთვალიერებლისთვისაც. რაც მთავარია, მუზემში გაჩნდა ის თანამედროვე კომპონენტები, რომლებიც ახალი საუკუნის ადამიანებს მუზეუმში თავს „შინაურად“ აგრძნობინებს და დაარწმუნებს, რომ ეს „დამტვერილი ნივთების“ შესანახი ადგილი კი არაა, არამედ დაწესებულება, სადაც თანამედროვე ენაზე გელაპარაკებიან.

ზოგიერთი უცხოელი მეცნიერისგან მსმენია, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი საერთაშორისო რეპუტაციის მქონე დაწესებულებად ყალიბდება. როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?

პირდაპირ გეტყვით, როდესაც ჩვენი მუზეუმი რომელიმე ცნობილი მეცნიერის ან მუზეუმის დირექტორის კომპლიმენტს იმსახურებს, ეს ძალიან მახარებს. ამას ავანსად მიღებულ ქებად აღვიქვამ საბოლოო მიზნის მიღწევამდე.

საერთაშორისო სამყაროში ინტეგრაციის გარეშე ეროვნული მუზეუმის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება მეცნიერული კვლევაა, მეცნიერების საზღვრები კი არნახულადაა გახსნილი. სწორედ ამ საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვა იყო ჩვენი მიზანი; არა მხოლოდ ჩვენი წარსულის გაცნობა მსოფლიოსთვის და იმის მუდმივი მტკიცება, რომ საქართველო დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა, არამედ ჩვენი ახალი აღმოჩენების პოპულარიზაცია და ახალი ტიპის სამეცნიერო ცენტრების შექმნა, სადაც, ქართველებთან ერთად, უცხოელი მეცნიერებიც ჩაატარებენ კვლევას. დმანისი ამის საუკეთესო მაგალითია. დმანისს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე აღმოჩენის შემდეგ საერთაშორისო ყურადღება ისედაც არ მოაკლდებოდა, მაგრამ ჩვენ მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ვიზრუნეთ და დღეს, მისი სასწავლო-კვლევითი ცენტრის წყალობით, ის ჩვენი ქვეყნის ელჩიცაა მსოფლიო სამეცნიერო წრეებში.

„მუზეუმების უბნის“ პროექტის განხორციელება საშუალებას მოგვცემს, მუზეუმი იქცეს თანამედროვე, ნოვატორულ და კრეატიულ დაწესებულებად, კულტურის იმ ცენტრად, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ურბანულ და სოციალურ ქსელში.

საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრების გარდა, უკვე სამი წელია, ჩვენი არქეოლოგების ჯგუფს გათხრების ჩასატარებლად ქუვეითში იწვევენ. ინტერესია სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებიდანაც. ეს ჩემთვის იმის მაგალითია, რომ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო საქმიანობაში მეცნიერებას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებისა და არქეოლოგიური საგანძურის საერთაშორისო „ტურნეებზე“ რომ აღარაფერი ვთქვა, მსოფლიო არენაზე პოზიცირების საუკეთესო მაგალითია თუნდაც ის პატარა მონეტა ჩვენი მუზეუმის კოლექციიდან, რომელიც ბრითიშ მუზეუმის დროებით გამოფენაზე იყო გაგზავნილი, ანდა ერაყული დოქი ხელოვნების მუზეუმიდან, რომელიც მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში გამოიფინა.

საერთაშორისო კავშირებს არა მხოლოდ კონცეპტუალური და იდეური მნიშვნელობა აქვს, არამედ მატერიალურიც. ჩვენმა მუზეუმმა მინიმალური სახელმწიფო თანხებით შეძლო მრავალი მნიშვნელოვანი პროექტის დაწყება მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოელმა დონორებმა ჩვენი დაფინანსების სურვილი გამოთქვეს. მსოფლიოში BP-ს სულ ორი სახელობითი დარბაზი აქვს; მათგან ერთი ჩვენთანაა, მეორე – ბრითიშ მუზეუმში. ევროკავშირის დაფინანსებით ვთანამშრომლობთ ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანებასთან.

კიდევ ერთი ფასდაუდებელი სარგებელი, რომელსაც ამ აქტიურ საერთაშორისო ურთიერთობებში ვხედავ, მუზეუმის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაა. კავშირები უცხოურ ინსტიტუციებთან მყარდება არა მხოლოდ მუზეუმის ხელმძღვანელების და სამეცნიერო კონტაქტების დონეზე, არამედ მასში მონაწილეობს ყველა: ფინანსური დეპარტამენტიც, მარკეტინგისა და სარესტავრაციო განყოფილებებიც. ეს ახალი ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კარგი საშუალებაა.

ვფიქრობ, ბუნებრივად მივადექით მტკივნეულ თემას – პოსტსაბჭოთა საქართველოში მსხვილი ორგანიზაციების უდიდეს ნაწილში მოდერნიზაციის პროცესი ძველი კადრების გათავისუფლებით და ახალგაზრდა თანამშრომლების

მიღებით დაიწყო. თქვენ როგორ გაართვით თავი ამ დილემას?

ეროვნული მუზეუმი იმ იშვიათ დაწესებულებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ძველი კადრები სრულად შეინარჩუნა. სამსახურიდან მასობრივი გათავისუფლება ეროვნულ მუზეუმში შემავალ არც ერთ დაწესებულებაში არ მომხდარა. ამის მიზეზი იყო ის, რომ ეროვნული მუზეუმი არ გახლავთ ხელმძღვანელის სუბიექტური მოსაზრების მიხედვით აწყობილი ინსტიტუტი; ვინ დარჩებოდა და ვინ წავიდოდა მუზეუმიდან, მხოლოდ ჩემი სურვილით ვერ გადაწყდებოდა. ამიტომ დავეყრდენით ერთ ობიექტურ მოცემულობას – ეროვნულ მუზეუმში უდიდესი ცოდნა და გამოცდილებაა დაგროვილი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას; შესაბამისად, თაობებს შორის ბალანსი მუზეუმის ფუნქციონირებას ერთგვარად განაპირობებს კიდეც. ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობა ნიშნავს იმას, რომ შენ გარკვეულ ღირებულებებს ატარებ. ამ ღირებულებებს კი ვერ შეიძენ, თუ შენი წინამორბედი თაობის გამოცდილებას არ ეზიარე. მუზეუმის ღვაწლმოსილი თანამშრომლები დღეს კონსულტანტები არიან და ახალგაზრდა კოლეგებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ. ამგვარად, მუზეუმის კონტინგენტი სრულად არის შენარჩუნებული.

საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ „მუზეუმების უბნის“ პროექტი საშუალებას მოგვცემს, მუზეუმი ქალაქის კულტურულ-სოციალური ქსოვილის ნაწილად იქცეს. დაწყებულია თუ არა ეს პროცესი უკვე?

ვფიქრობ, რომ დაწყებულია და ამის მაგალითია „მუზეუმების უბნის“ გეგმა, რომელიც სექტემბერში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე წარვადგინეთ და გამოფენა მივუძღვენით. ამ გამოფენაზე არა მხოლოდ ჩვენი გეგმაა წარმოდგენილი, არამედ საუკეთესო საერთაშორისო მოდელიც ბერლინის მუზეუმების კუნძულის სახით. „მუზეუმების უბნის“ პროექტი, ვფიქრობ, საუკეთესო მაგალითია იმის საჩვენებლადაც, თუ რამოდენა მნიშვნელობა აქვს მუზეუმისთვის კერძო სექტორთან თანამშრომლობას. ჩვენი მთავარი დონორი „ქართუ“ ჯგუფი იყო, რომლის დახმარებითაც მოხდა ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმისა და „მუზეუმების უბნის“ პროექტში შემავალი ეროვნული ბიბლიოთეკის შენობების რეაბილიტაცია. იმედი გვაქვს, რომ ეს თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდება და ეს მისაბაძი მაგალითი იქნება სხვა ბიზნეს კომპანიებისთვისაც.

რას მიიჩნევთ თქვენ უმთავრეს წარმატებად?

ამ თემაზე, მოდით, ეროვნული გალერეის მაგალითზე ვილაპარაკოთ. ეს დაწესებულება მოგვიანებით შემოვიდა ჩვენ სისტემაში საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობითა და რეალობით. პრობლემური იყო არა მარტო შენობა, არამედ კოლექციების მდგომარეობაც. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მხოლოდ ფინანსური კრიზისის გამო არ აღმოჩნდა გალერეა ასეთ დღეში. პირველ ეტაპზე, გალერეაში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების სახსრები არც ეროვნულ მუზეუმს ჰქონდა. თუმცა, ახლაც მეამაყება იმის გახსენება, რომ ჩვენი მუზეუმის თითოეულმა თანამშრომელმა, ახალგაზრდამ თუ ხნიერმა, უყოყმანოდ გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო გალერეის გაწმენდაში. ეს იყო პირველი, მოსამზადებელი ეტაპი და მხოლოდ ამ ეტაპის დაძლევის შემდეგ შეიძლებოდა იქაურობის კონცეპტუალურ ცვლილებაზე ლაპარაკი... გაიკეთეს ნიღბები, ჩაიცვეს ხელთათმანები და დაიწყეს ტერიტორიის გასუფთავება... შემდეგ უკვე გალერეის კონცეფცია და პროექტი მოვამზადეთ. როდესაც კულტურის სამინისტროს გაუჩნდა მატერიალური სახსრები ეროვნული გალერეის აღსადგენად, ჩვენ უკვე მზად ვიყავით; მეტიც, რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე დაძლეული გვქონდა, რამაც მუშაობის ტემპი საგრძნობლად დააჩქარა.

მაგალითი იმისა, რომ არ უნდა ელოდო პრობლემების თავისთავად მოგვარებას და უნდა იმოქმედო, გალერეის გარდა, სვანეთის მუზეუმიცაა, სადაც მისმა თანამშრომლებმა მთელი ამ ხნის მანძილზე უჩვეულო მობილიზება გამოამჟღავნეს. იგივე შეიძლება ითქვას ვანის მუზეუმ-ნაკრძალზე. ვანის მუზეუმის შემთხვევაშიც ასე მოვიქეცით. მისი გარდაქმნის კონცეფციის შემუშავება იმ დროს დავიწყეთ, როდესაც, რეალობიდან გამომდინარე, იმედიც არ უნდა გვქონოდა, რომ რეკონსტრუქცია შესაძლებელი იქნებოდა. თუმცა, ჩამოვაყალიბეთ მუზეუმის კონცეფცია, მოვამზადეთ პროექტი, რითაც საგრძნობლად დავაჩქარეთ მიზნის განხორციელება.

დაბოლოს, ბატონო დავით, ვისაუბროთ იმ პროექტებზე, რომლებიც უახლოეს მომავალში განხორციელდება.

დღეს ერთდროულად რამდენიმე ასეთი პროექტი ხორციელდება. გამოვყოფდი „ხელოვნების ნიმუშთა საცავის“ პროექტს, რომელიც თავიდან ბოლომდე გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობით მომზადდა. ესაა პროექტი, რომლის განხორციელებაც იგივეა, უმაღლესი რანგის ჰოსპიტალი და დიაგნოსტიკური ცენტრი რომ გვქონდეს, სადაც პაციენტები, ადამიანების ნაცვლად, ნივთები იქნებიან. მუზეუმში ასეთი მძლავრი და საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია. თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილ სარესტავრაციო-საკონსერვაციო ცენტრში დიაგნოსტიკა და რესტავრაცია ხომ დღემდე ძალიან ბევრ ნივთს სჭირდება. პარალელურად, ვფიქრობთ სხვა მიმართულებით განვითარებაზე და, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პროექტი – „მუზეუმების უბანი“ – მთლიანად შეცვლის რუსთაველის გამზირსა და მის მიმდებარე ტერიტორიას. მუზეუმი ხომ სიცოცხლეს, სუნთქვას, გარეთ, ქუჩაშიც განაგრძობს.

ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, გადაჯაჭვულია. მუდმივად ვეძებთ სიახლეებს. ბრიტანეთის საბჭოსთან ერთად ინგლისელი დიზაინერების ნამუშევრებიც მუზეუმში იმიტომ გამოვფინეთ, რომ გვინდა, საზოგადოებას ვაჩვენოთ თანამედროვე მუზეუმის მრავალფეროვნება. იგივეს ვამბობთ ჟურნალ National Geographic-თან თანამშრომლობით და მისთვის მუზეუმში ადგილის გამოყოფით.

ჩემთვის უმთავრესია, ეროვნულ მუზეუმში იყოს ერთი მხრივ ხელოვნებისა და მეცნიერების და, მეორე მხრივ – შემეცნების და დროის სასიამოვნოდ გატარების სინთეზი. ინგლისურ ენაში არსებობს ასეთი ტერმინი – edutainment, რაც სახალისო მეთოდებით განათლებას გულისხმობს. თუ ჩვენი პროექტებით ვახერხებთ, გაჩვენოთ, რომ ესაა ჩვენი განვითარების ვექტორი და ძირითადი მიმართულება, უკვე კარგია. ■

მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის ვეტერანი

ინტერვიუ > ნათია ხულუზაური

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და გოეთეს ინსტიტუტის მიერ 2012 წლის 19–22 სექტემბერს ორგანიზებულ კონფერენციაში „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება, მომავლის ხედვა“ მონაწილეობის მისაღებად საქართველოს პროფესორი ფილიპ დე მონტებელო ეწვია. დღეს იგი სამუზეუმო კულტურასა და ისტორიას ასწავლის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში, მანამდე კი, 31 წლის განმავლობაში, იგი იყო მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მუზეუმის, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი.

ფილიპ დე მონტებელო
მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი 1977-2008 წლებში, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ხელოვნების ინსტიტუტის პროფესორი

ფილიპ დე მონტებელო პარიზში, ფრანგი არისტოკრატების ოჯახში დაიბადა.

50-იან წლებში მისი ოჯახი ა.შ.შ.-ში გადავიდა საცხოვრებლად. მონტებელო ხელოვნებათმცოდნის პროფესიას ჰარვარდის უნივერსიტეტში დაეუფლა, სამეცნიერო ხარისხი კი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში დაიცვა. 1977 წელს იგი მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმს ჩაუდგა სათავეში და მის სახელთან არის დაკავშირებული „მეტის“ (როგორც მას ხშირად უწოდებენ) ოქროს ხანა. 2008 წელს მან განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას აპირებდა. მისმა ამგვარმა, ყველასთვის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიო სამუზეუმო საზოგადოებაში. 2009 წელს მონტებელომ ოფიციალურად დატოვა დირექტორის პოსტი, თუმცა იგი დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად მსოფლიოს სამუზეუმო და კულტურის წრეებში.

როგორ აირჩიეთ პროფესია?

ბავშვობიდან მაინტერესებდა ხელოვნება, ასე რომ, როდესაც დრო მოვიდა, გადავწყვიტე ხელოვნების ისტორიის განხრა ამერჩია. ზოგი მათემატიკას ირჩევს, ზოგი სხვა მეცნიერებას. მე ყოველთვის ვიცოდი, რომ მინდოდა, ჩემი ცხოვრება ხელოვნებასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

შეგიძლიათ, გაიხსენოთ თქვენი პირველი ნაბიჯები მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში, გაიხსენოთ გამოფენები ან ღონისძიებები, რომელთაც წარმატება მოგიტანეს?

იმ დროის განმავლობაში, რომელიც მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში გავატარე, 600-ზე მეტი გამოფენა გვქონდა. გინდათ, ერთი დავასახელო?

ყველა ერთნაირად წარმატებული იყო?

სხვათა შორის, პირველი დიდი და სერიოზული წარმატება იმ გამოფენების სერიამ მოგვიტანა, რომელიც საბჭოთა კავშირთან ერთად გავაკეთეთ: „სკვითების ოქრო“, რომელსაც მოჰყვა კრემლის საგანძურის, ეკატერინე დიდისა და პეტრე პირველის კოსტიუმებისა და ნივთების და XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრების ნამუშევრების გამოფენა. ეს გახლდათ გამოფენათა სერია საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან. ასეთი რამ მანამდე არავის გაუკეთებია ამერიკაში...

თქვენ საკმაოდ საინტერესო დროს იყავით მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. მაშინ, როდესაც ნიუ-იორკში კულტურული ცხოვრება დუღდა და ვორჰოლი, ჯასპერ ჯონსი, ბასკია და სხვები თანამედროვე ხელოვნებაში რევოლუციებს ახდენდნენ...

იცით, მე არასოდეს ვიყავი ჩართული და, სიმართლე გითხრათ, განსაკუთრებულად დაინტერესებული თანამედროვე კულტურული ცხოვრებით. არ ვმეგობრობდი ვორჰოლთან – არც ამჟამად მოქმედ ხელოვანებთან ვურთიერთობ. ძველი ყაიდის ადამიანი ვარ... ყოველთვის მივყვები თანამედროვე მოვლენებს, ვიცი, რა ხდება, მაგრამ ემოციური დამოკიდებულება ან/და ინტერესი მათ მიმართ არ გამაჩნია. არც არასოდეს მქონდა.

ხელოვნების ისტორიიდან რომელ ეპოქას გამოარჩევდით მაშინ? რომელი ეპოქა ან მიმდინარეობა არის თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესო?

ისე მოხდა, რომ სპეციალობად XV საუკუნის ნიდერლანდური და ფრანგული ფერწერა ავირჩიე – ისეთი მხატ-

ვრები, როგორებიც არიან ვან ეიკი, როჯერ ვან დერ ვეიდენი და სხვები... ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს არის ხელოვნება, რომელიც ყველაფერს მირჩევნია, უბრალოდ, ეს არის პერიოდი, რომელიც პროფესიად ავირჩიე და რომელზეც ვიმუშავე უნივერსიტეტში. თუმცა, როგორც დირექტორი მუზეუმისა, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს ყველა კუთხისა და დროის ხელოვნება, მე მაინტერესებს და ვაგროვებ ისლამური ხელოვნების ნიმუშებს... გამოდის, რომ ეს არის რაც მე მიყვარს...

როგორც ჩანს, ეს იყო მიზეზი თქვენი განსაკუთრებული ინტერესისა საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშების გამოფენისა და იქ წარმოდგენილი ყაჯარების პორტრეტების სერიის მიმართ, არა?

დიახ, თქვენ ყაჯარული პროტრეტების არაჩვეულებრივი კოლექცია გაქვთ. უნდა ვაღიარო, რომ მეტროპოლიტენის მუზეუმშიც არ არის ამ რაოდენობის და ასეთი ხარისხის ყაჯარების დინასტიის პორტრეტები. ასევე, ძალიან მომეწონა თქვენი კოლექციებიდან წარმოდგენილი კერამიკისა და ლითონის აღმოსავლური ჭურჭელიც.

ცოტა ხნით ისევ ამერიკას დავუბრუნდეთ. ყველამ ვიცით, რომ ხელოვნების დედაქალაქს ჯერ რომს უწოდებდნენ, შემდეგ პარიზს. XX საუკუნის შუა ხანებიდან კი...

...ნიუ-იორკს...

თქვენ ამ ყველაფრის ნაწილი იყავით და პირდაპირ თუ არაპირდაპირ იყავით ჩართული ყველა იმ პროცესში, რამაც ნიუ-იორკი კულტურის ცენტრად აქცია. ამის შესახებ რას გვეტყვით?

ალბათ, მე კარგ დროს აღმოვჩნდი კარგ ადგილას. არ ვიცი, რამდენად ვიქონიე გავლენა ამა თუ იმ პროცესზე, მაგრამ მგონია, რომ ყველაფერი, რაც გავაკეთე, კარგად გავაკეთე. ვფიქრობ, ყველა ჩემი კურატორი და თანამშრომელი მოწოდების სიმაღლეზე იყო. ყოველთვის ვითხოვდი მაქსიმუმს. არასოდეს უნდა შესთავაზო დამთვალიერებელს იმაზე დაბალი ხარისხის გამოფენა, ვიდრე ის მოელის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამავე დროს, თუ ყოველთვის ეცდები, აამაღლო ხარისხის სტანდარტი დამთვალიერებლისთვის, მასაც გაუჩნდება სულ უფრო უკეთესის მოლოდინი. ვფიქრობ, რომ მე სწორედ ამას ვაკეთებდი.

დარწმუნებული ვარ, ხშირად გიწევდათ საკმაოდ რთული გადაწყვეტილებების მიღება...

ყოველდღე!

ხშირად რისკავდით – ბევრს ფიქრობდით?

საერთოდ, მე მენეჯმენტის კონსერვატიული სტილი მაქვს. არასოდეს ვაწყობ შეხვედრებს, არ მჯერა მათი. არც კონსენსუსამდე მისვლას ვთვლი საჭიროდ, რაც დღეს ძალიან პოპულარულია. მე ვუსმენ ხალხს. ინდივიდუალურად ვესაუბრები ჩემ კურატორებს და იმ თანამშრომლებს, რომელთა აზრსაც პატივს ვცემ, ყველას – არა. არსებობენ ისეთებიც, ვისი აზრი საერთოდ არ მაინტერესებს, ამიტომ მათ არც ვეკითხები რამეს... მაგრამ ყველა დაწესებულებაში არის მთავარი გუნდი, რომელიც მის განვითარებაში მონაწილეობს. ამ გუნდის წევრებს ვპატიჟებ ყავაზე, ლანჩზე და ვესაუბრები. ამგვარად, ყოველთვის კარგად ვიცი, რა ხდება გარშემო, რაც საშუალებას მაძლევს, მივიღო სწრაფი და კარგად გააზრებული გადაწყვეტილება. ასე რომ, კრიტიკულ სიტუაციაში არასოდეს მჭირდება მათი კაბინეტში შეკრება და კითხვა, თუ როგორ გადავწყვიტოთ ესა თუ ის პრობლემა. მე ყოველთვის მქონდა ზოგადი განცდა სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და უბრალოდ ვიღებდი და ვიღებ მათ. სწორედ ასე ვახერხებ, რომ ვიყო ზუსტი. მოვლენები სწრაფად ვითარდება და სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტილებებს საჭიროებს... ეს ერთგვარი ლიბერალური დიქტატურის ფორმაა...

ვფიქრობ, ადამიანები იშვიათად იღებენ თანამდებობიდან წასვლის გადაწყვეტილებას. ალბათ, ასეთ შემთხვევაში მომენტის სწორი შერჩევა არის საჭირო. არც იმის დათმობაა ადვილი, რასაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუძღვენით და, თანაც, დიდი წვლილი შეიტანეთ მის წარმატებაში. თქვენ წასვლა მაშინ გადაწყვიტეთ, როდესაც მუზეუმი წარმატების ზენიტში იყო – რატომ?

ჩემი გზა წარმატებისაკენ ძალიან თანმიმდევრული და ლოგიკური იყო. მე ვისწავლე ხელოვნების ისტორია, შემდეგ ვიმუშავე ასისტენტად მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის ევროპული ფერწერის განყოფილებაში, შემდეგ გავხდი ასოცირებული კურატორი, რასაც მოჰყვა ჰიუსტონში პატარა მუზეუმის დირექტორის თანამდებობა. მერე ისევ „მეტ“-ში დავბრუნდი როგორც მთავარი კურატორი. მხოლოდ ამის შემდეგ გავხდი მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. დამეთანხმებით, ლოგიკური ძაფია, რაღაც თვალსაზრისით ბედმაც გამიღიმა.

31 წელი ვმართავდი მუზეუმს. ამ დროის განმავლობაში ფაქტობრივად ყველა დარბაზი განახლდა. ისე მოხდა, რომ ბოლო დიდი პროექტი ბერძნულ–რომაული დარბაზების რეინსტალაცია იყო. ყველა ჩემი გეგმა შევასრულე მუზეუმის ამერიკული ხელოვნების და ახალი ისლამური კულტურის დარბაზებთან დაკავშირებითაც. ხალხი კი სულ უფრო ხშირად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მუზეუმს ცვლილება სჭირდებოდა, რომ უფრო მეტი თანამედროვე ხელოვნება და ახალი ტექნოლოგიები იყო საჭირო. მე არ მაინტერესებს და აბსოლუტურად გულგრილი ვარ ტექნოლოგიის მიმართ, თუმცა საკმარისად ჭკვიანი ვარ იმისათვის, რომ გამეგო და გამეცნობიერებინა, რომ ეს ნამდვილად იყო ის ცვლილება და გარდატეხა, რომელიც მუზეუმს სჭირდებოდა. ასევე, კარგად ვხვდებოდი, რომ მე არ ვიყავი ის ადამიანი, რომელიც სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა ამ მიმართულებით, რადგან არაფერი გამეგება ამ სფეროში. უკვე 72 წლის ვიყავი, 30 წელი დირექტორის პოსტზე გავატარე, მუზეუმი შესანიშნავ მდგომარეობაში იყო. ამიტომ გადავწყვიტე წასვლა და ჩემ მემკვიდრეს დავუტოვე არაჩვეულებრივი გუნდი, კარგად ორგანიზებული

დაწესებულება, რომელსაც კარგი ბიუჯეტი ჰქონდა და ვფიქრობ, რომ ის მოახდენს საჭირო გარდატეხას. ყველაფერს თავისი დრო აქვს და მე სრულიად მშვიდად და ლოგიკურად მივიღე წასვლის გადაწყვეტილება, რითაც კმაყოფილი ვარ.

რომ შეგეძლოთ, შეცვლიდით რამეს?

რაღაცეებს ვნანობ... კვლავაც მინდა, რომ რაღაცეებზე გავლენის მოხდენა შემეძლოს... თუმცა, ჭკუა მეყო და პენსიაში არ გავედი, უბრალოდ შევიცვალე სამსახური – ახლა სრული პროფესორი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ სრული დატვირთვით ვმუშაობ ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სალექციო კურსების მოსამზადებლად. ეს არაჩვეულებრივი განცდაა და ბედნიერი ვარ ამ საქმის კეთებით.

დარწმუნებული ვარ, სტუდენტები სიხარულით ესწრებიან თქვენ ლექციებს.

არ ვიცი, მათ მაგივრად ხომ ვერ ვილაპარაკებ... იმედი მაქვს, ასეა.

ნელ-ნელა ბოლოსკენ მინდა წავიდეთ – მითხარით, ურჩევდით რამეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს?

არაფერს! საერთოდ არ მჯერა რჩევების მიცემის. სხვა საქმეა, თუ ვინმეს თვითონ მოუნდება ჩემი ან სხვისი გამოცდილების გაზიარება ან გათვალისწინება... კონსულტანტობა რამდენჯერმე შემომთავაზეს და არც ერთხელ არ დავთანხმდი. არასოდეს არავის ვაძლევ რჩევას, არც ჩემ მემკვიდრეს მეტროპოლიტენის მუზეუმში... სულ მარტო დავტოვე, ისევე, როგორც მე დამტოვა მარტო ჩემმა წინამორბედმა.

მე კი მეგონა, ხშირად გეკითხებოდნენ რჩევას გამოფენის ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიების წინ...

ხანდახან ვაძლევ კიდევაც რჩევას, მხოლოდ პირადად და როცა მეკითხებიან.

მაშ, ვისარგებლებ შემთხვევით და გკითხავთ – რას ურჩევდით საქართველოს ეროვნულ მუზეუმს როგორც ინსტიტუციას, როგორ უნდა დაიმკვიდროს მან თავი დღევანდელ მსოფლიოში?

ადამიანების აზროვნება დამოკიდებულია მათ სოციალურ მდგომარეობაზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე და ბევრ სხვა გარემო ფაქტორზე. მაგალითად, ამერიკელების უმეტესობამ ფაქტობრივად არ იცის გეოგრაფია. ამიტომ, როდესაც „Georgia"-ს უხსენებ, მათ შტატი „Georgia" ახსენდებათ და არა ქვეყანა კავკასიაში. ამიტომ, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა ეცადოთ, მაქსიმალურად კარგად წარმოაჩინოთ ის, რაც მხოლოდ თქვენთვის არის დამახასიათებელი და უნიკალური. იგივეს ვიტყოდი ევროპაზეც... ასე რომ, თქვენ სწორ გზას ადგახართ. ვანის ოქროს გამოფენა ნიუ-იორკის სიძველეთა კვლევის ინსტიტუტში და შემდეგ გეტი ვილაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების წამყვან მუზეუმებში, არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება იყო. ამ გზით მსოფლიო კარგად გაგიცნობთ. ვფიქრობ, რომ რაც შეიძლება მეტი გამოფენა უნდა მოაწყოთ საზღვარგარეთ. უფრო მეტი შესთავაზოთ. მოაწყვეთ გამოფენები პარიზში, ლონდონში, ბერლინში, ნიუ-იორკში... კულტურის დიდ ცენტრებში. წარმოაჩინეთ საკუთარი თავი, რათა ხალხმა გაიგოს, რას ინახავთ თქვენ და, შესაბამისად, გააცნობიეროს, თუ ვინ ხართ...

ARASODES UNDA SESTAVAZO DAMTVALIERebELS IMAZE DABALI xARISxIS GAMOFENA, VIDRE IS MOELIS. ES ARIS JALIAN MNISVNELOVANI. AMAVE DROS, TU yOVELTVIS ECDebi, AAMARLO xARISxIS STANDARTI DAMTVALIERebLISTVIS, MASAC GAUCHNDebA SUL UFRO UKETESIS MOLODINI.

ფოფენილი იყო მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმშიც...

დიახ, თქვენ ადრებიზანტიური ტიხრული მინანქრის ბრწყინვალე კოლექციას ფლობთ. ჩვენ გამოვფინეთ რამდენიმე მათგანი ბიზანტიური ხელოვნების გამოფენაზე „მეტში". ამ შემთხვევაში, თქვენი ნივთები მხოლოდ ნაწილი იყო დიდი გამოფენისა, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, მე გირჩევთ, რომ უფრო მეტად ეცადოთ მხოლოდ თქვენი, ექსკლუზიური გამოფენების და პროგრამების ორგანიზებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რამდენიმე და არა მხოლოდ ერთი ქართული მუზეუმი. შეკრიბეთ სხვადასხვა მუზეუმიდან ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები და გაუშვით სამოგზაუროდ. ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ მსოფლიომ გაიგოს, თუ როგორი დიდებული კულტურა აქვს საქართველოს.

ლოგიკურად მოვედით ამ შეკითხვამდეც – სწორედ ზემოხსენებული გამოფენის ორგანიზებისთვის ეწვიეთ პირველად საქართველოს 30 წლის წინ. რა შეიცვალა მას შემდეგ, როგორია საქართველო დღეს?

სხვაობა დიდია, დღეს სასტუმროდან რომ გამოვედი, КГБ-ს აგენტი არ გამომყვა. გარშემო მიმოვიხედე და დავინახე ათლეტის პლაკატი, რომელსაც დიდი წარწერა ჰქონდა – „SAMSUNG". თქვენი ქვეყანა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად უფრო გახსნილი გახდა. ვიზის წინასწარ აღებაც არ დამჭირვებია. საბჭოთა კავშირში წასვლა კი დიდი პრობლემა იყო. თქვენ ახლა დანარჩენი ევროპის, მსოფლიოს ნაწილი ხართ.

დაბოლოს – რას ნიშნავს მუზეუმი დღეს, რა როლი აკისრია მას ამ სწრაფად ცვალებადი, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში?

რა როლი აკისრია? – ადამიანებს სინამდვილესთან ზიარება უნდათ. ■

როგორ შეიქმნა მუზეუმი

ისტორია > თამარ ბაბუაძე

„ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვა ამიერითგან მუზეუმს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური, ნივთიერი და გონებრივი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლისათვის ფართო საზოგადოებასა და მეტადრე მოსწავლე თაობასაც ისეთი მუზეუმები სჭირდება, სადაც ყოველს მსურველს წაკითხული ისტორიის ხორცშესხმულად გასათვალისწინებელი იმდროინდელი ნივთიერი ნაშთების ნახვა შეეძლება ... საქართველოს მუზეუმი დიდი დაწესებულებაა. 1. მან უნდა ასახოს წარსული და თანამედროვე კულტურა და ამ მიზნით უნდა დააგროვოს სამუზეუმო ნაშთები და მასალები საქართველოს ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლისათვის. 2. მას სოციალური მოვალეობაც აქვს: მან ფართო საზოგადოებასა და მეტადრე ისტორიული ცოდნის გასაღრმვებ-ლად დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლე-ახალგაზრდობას და 3. საქართველოს მუზეუმი როგორც უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას უნდა აწარმოებდეს“.
ივანე ჯავახიშვილი მუზეუმის მთავარი ამოცანების შესახებ, 1935 წ.

ცხადია, საგანმანათლებლო დატვირთვა მუზეუმის იდეაშივეა ჩადებული. ექსპონატებისა და კოლექციების შეგროვებას, დაცვას, მათ მეცნიერულ შესწავლას ნაწილობრივ აზრიც დაეკარგებოდა, თუკი საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი კოლექტიური მეხსიერება, რომელსაც მუზეუმში დაცული ექსპონატები ატარებს, საზოგადოებისთვის მიუწვდომელი დარჩებოდა. ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ ეპოქაში მუზეუმის ჩანასახის როლს წარმართული ტაძრები ასრულებდნენ.

პირველი კონტურები

„...მაშინდელ ქართველებს საკერპო ტაძრები ჰქონდათ, მერე იმისთანა სატაძრო განძითა და ავეჯით, რომ თითონ ასურელთა მეფენიც კი ამაების მოტაცებასა და წაღებას ქადულობდნენ“ – ის, რასაც ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნეში წერდა, მოგვიანებით არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ხანის წარმართული ტაძარსამლოცველოები, რომელთაც მოსახლეობა საუკუნეების განმავლობაში სარიტუალო დანიშნულების ნივთებს სწირავდა, განძსაცავის ფუნქციასაც ასრულებდა. შუა საუკუნეებში განძსაცავები ქართველი მეფეების სასახლის კარზე იქმნებოდა, სადაც თავს უყრიდნენ ისტორიული მნიშვნელობის ნივთებს, სამეფო ძვირფასეულობას და ბუნების იშვიათ ნიმუშებს. ზუსტად ამ პრინციპით მოქმედებდა თბილისში, დავით აღმაშენებლის კარზე, სამეფო საცავი, რომელშიც ვახტანგ გორგასლის აბჯარი და საჭურველი ინახებოდა. საკუთარი განძსაცავები და ბიბლიოთეკები გაუჩნდათ ეკლესია-მონასტრებსაც. ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს მყინვარის კალთაზე, სამების ზედა გუმბათიან მონასტერს, რომელსაც მცხეთის სამკაულის საცავად იყენებდნენ. სწორედ იქ ესვენა ნინოს ჯვარი. თუმცა, სამეფო საცავებისგან განსხვავებით, სასულიერო კერებში სხვადასხვა ნივთისა და ხელნაწერების შესწავლაც მიმდინარეობდა. მტრის შემოსევის დროს საგანძური მიუვალ ადგილას, გამოქვაბულებში ან მიწისქვეშა სამალავებში გადაჰქონდათ.

XVI საუკუნიდან ევროპის ქვეყნებში გავრცელდა ტერმინი „მუზეუმი“ სიძველეთა საცავის მნიშვნელობით. საქართველოსთვის ეს ეპოქა სახელმწიფოებრიობის დაქვეითების დასაწყისია, რამაც შეაფერხა სამუზეუმო საქმის განვითარება. დარჩა მხოლოდ ძველებური ტიპის სამეფო „სალაროები“ ბუნების ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი მნიშვნელოვანი ექსპონატებით.

რატომ გვჭირდება მუზეუმი?

1799 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ ნაშრომში, სახელწოდებით „სჯულდება“, იოანე ბატონიშვილი წერდა, რომ აუცილებელი იყო „ბიბლიოტიკას სახლის“ დაარსება, სადაც „ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი“ შეინახებოდა, ასევე „სახეები და მაგალითები მხატვრობებისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა და ვისაც ენებოს, მოვიდოდნენ და თავისის ხარჯით იქ გარდიწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“. ამგვარად, იოანე ბატონიშვილი ბიბლიოთეკასა და მუზეუმს საერთო სტრუქტურად მოიაზრებდა და მსგავსი დაწესებულების აუცილებლობა ქართველი დიდებულების წრეში მიუხედავად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა მაინც დადგა.

„სჯულდებაში“ საკმაოდ კონკრეტულად ჩამოყალიბებული ბიბლიოთეკა-მუზეუმის პროექტი რეალობად თითქმის ერთი საუკუნის თავზე, XIX საუკუნის 40-იან წლებში იქცა. ე.წ. „ვორონცოვისეული დათბობის“ დროიდან დაარსდა თბილისში რუსული თეატრი (და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ – ქართული თეატრი), 1846 წელს გამოვიდა გაზეთი „კავკაზი“ და, რაც მთავარია, გაიხსნა მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული საჯარო ბიბლიოთეკა.

მომდევნო ოცი წლის განმავლობაში თბილისში რამდენიმე მუზეუმი გაიხსნა. მათ შორის პირველი იყო 1852 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბებული მუზეუმი. შემდეგ, გარკვეულწილად მისსავე ბაზაზე, დაარსდა კავკასიის მუზეუმი, გაიხსნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, საეკლესიო მუზეუმი და სამხედრო-ისტორიული მუზეუმი – „დიდების ტაძარი“. თუმცა, თითოეული მათგანის შექმნა განსხვავებულმა მიზნებმა განაპირობა. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი, ისევე როგორც კავკასიის და სამხედრო-ისტორიული მუზეუმები, რუსული პოლიტიკისა და ფასეულობების გავრცელების მიზნით შეიქმნა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მუზეუმები კი, შეიძლება ითქვას, მათ საპირწონედ, ეროვნული განძის გადასარჩენად შექმნა ქართულმა ინტელიგენციამ.

პირველი მუზეუმი

გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი პირველი კომპლექსური სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულება გახდა მთელ კავკასიაში.

მუზეუმს, როგორც რუსული კულტურის ერთ-ერთ საყრდენს საქართველოში, განსაკუთრებით მფარველობდა მეფისნაცვალი ვორონცოვი. ის არა მხოლოდ პირადად ზრუნავდა იმაზე, რომ მუზეუმსა და მის კუთვნილ ბიბლიოთეკას შესაფერისი ბინა ჰქონოდა, არამედ კოლექციების გამდიდრების საკითხსაც ზოგჯერ პირადად კურირებდა. მუზეუმი ძირითადად პირადი შეწირულობების წყალობით მდიდრდებოდა. ფონდების კატალოგიზაციაზე მუზეუმის მდივანი რაფიელ ერისთავი განსაკუთრებით ზრუნავდა. მუზეუმში შესული ნივთებიდან მნიშვნელოვანი იყო 1863 წელს, თუშეთიდან ჩამოტანილი ვერძისა და თხის თავის ბრინჯაოს უძველესი ფიგურები და სტავროპოლთან ახლოს კოსმოსიდან ჩამოვარდნილი მეტეორიტიც კი.

XIX საუკუნის შუა ხანებში, საქართველოში სამუზეუმო საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნატურალისტმა და არქეოლოგმა ფრიდრიხ ბაიერნმა. მან კავკასიაში დიდი საბუნებისმეტყველო კოლექციები შეაგროვა, რომლებმაც შემდეგ საფუძველი ჩაუყარა თბილისის იმდროინდელი მუზეუმების გეოლოგიურ, ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ფონდებს.

1856 წელს თბილისში, დიდუბეში, თავისი მდიდარი კოლექციების გამოსაფენად, ბაიერნმა საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმი გახსნა, რომელსაც შემდეგ „ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტად“ მოიხსენიებდნენ. 1859 წლიდან ფ. ბაიერნი მუშაობას იწყებს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბებულ მუზეუმში. პარალელურად იგი დაინტერესდა არარატის

მთასთან აღმოჩენილი ურარტული ლურსმული წარწერებით და საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებით. ბაიერნის გათხრებით მსოფლიო მეცნიერება პირველად გაეცნო საქართველოს არქეოლოგიურ სიძველეებს.

გახსნიდან სამი წლის შემდეგ მუზეუმის ადმინისტრაციამ პირველი გამოფენის მოწყობა გადაწყვიტა, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. 1859 წლიდან რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ მუზეუმი საჭირო საერთოდ აღარ იყო, მის ნაცვლად კი, უმჯობესი იქნებოდა, დრო კავკასიის მხარის მეცნიერული კვლევისთვის დაეთმოთ, მით უფრო, იმ ფონზე, რომ მუზეუმის შენახვა გეოგრაფიულ საზოგადოებას საკმაოდ ძვირი უჯდებოდა. 12-წლიანი არსებობის შემდეგ, 1864 წელს, უსახსრობის მიზეზით, პირველი მუზეუმი საქართველოში დაიხურა.

კავკასიის მუზეუმი

მალევე კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში წარმოშობით გერმანელი ეთნოგრაფის, გუსტავ რადეს პროექტი შევიდა. მას კავკასიის მუზეუმის შექმნა სურდა, რომელშიც აპირებდა, დაებინავებინა კავკასიაში მოპოვებული საკუთარი მასალა და იმ მემკვიდრეობის ნაწილიც, რომელიც, მუზეუმის დახურვის გამო, ბედის ანაბარა დარჩა. 1865 წელს ვორონცოვმა რადეს პროექტი დაამტკიცა. დირექტორად დანიშნა თავად რადე, რომლისთვისაც ამიერიდან „კავკასია ხდება ძვირფასი და ლამაზი მეორე სამშობლო“.

ახლად დაარსებულ მუზეუმს, ძველისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი განყოფილებები დაემატა – ტექნიკური ლაბორატორია და ეთნოგრაფიული კაბინეტი – უშუალოდ კავკასიაში მოპოვებული მასალისთვის. ახალ მუზეუმს კიდევ ორი ახალი მიმართულება ჰქონდა – ზოოლოგიური და ბოტანიკური. შესაბამისად, მუზეუმის კოლექციებიც ამ ინტერესების გათვალისწინებით მდიდრდებოდა. რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას მუზეუმისთვის გადაუცია ტროპიკული ქვეყნების ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ფიტულები, პეტერბურგის საიმპერატორო ბოტანიკურ ბაღს – მცენარეების მდიდარი კოლექციები.

კავკასიის მუზეუმში ქართული ექსპონატების სიმცირე იგრძნობოდა. თუმცა, პერიოდულად ფონდები მაინც ივსებოდა მნიშვნელოვანი ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალით – ხევსურული და აფხაზური ნივთებით. კავკასიის მუზეუმისთვის ცნობილ მეცნიერს, დიმიტრი ბაქრაძეს, ეტრატზე შესრულებული, ბაგრატ მეოთხის კუთვნილი, 1032 წლით დათარიღებული სახარება გადაუცია. კავკასიის მუზეუმში ინახებოდა მეფე ერეკლესადმი ნადირ შაჰის ნაჩუქარი ქაშანური თასი წარწერით: „ერეკლეს, კარგი სამსახურისთვის“. აგრეთვე ვახტანგ მეექვსისა და ვახუშტი ბატონიშვილის ნაქონი ასტროლაბი – დროისა და განედის განმსაზღვრელი უძველესი ასტრონომიული ხელსაწყო და სხვ.

1868 წელს კავკასიის მუზეუმი და საჯარო ბიბლიოთეკა გაერთიანდა. ორი წლის შემდეგ მუზეუმი არქიტექტორ ზალცმანის პროექტით აგებულ ახალ შენობაში გადავიდა, რომელსაც რვა საგამოფენო დარბაზი ჰქონდა. 1871 წლის სექტემბერში კი მუზეუმის კოლექციები ალექსანდრე მეორემ და მისმა ოჯახის წევრებმა დაათვალიერეს.

თეიმურაზ ბატონიშვილი კოპენჰაგენის ანტიკვართა საზოგადოების წევრი ყოფილა. ის ცდილობდა, საქართველოში მცირე არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მოეწყო, თუმცა, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მუზეოლოგიაში საკმაოდ განსწავლული ყოფილა. პეტერბურგში, თავის კაბინეტში, კავკასიური ხალიჩები, ქართული ტანსაცმელი და საბრძოლო იარაღი სამუზეუმო წესების დაცვით ჰქონია გამოფენილი.

1881 წლის სექტემბერში გაზეთი „დროება“ წერდა: „...ასეთი მუზეუმი, როგორც აქვს ახლა ჩვენს ქალაქს, ბევრი ევროპის ქალაქს დაამშვენებდა“. თუმცა, „დროების“ ფურცლებზევე საზოგადოების ნაწილი სინანულს გამოთქვამდა იმის თაობაზე, რომ კავკასიის მუზეუმში ქართულ სიძველეთა მოვლა-პატრონობა სათანადოდ არ ხდებოდა. 1879 წლის „დროების“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სერგეი მესხი წერდა: „კარგი იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ მოიგონოს ისეთი რამ საშუალება, რომ მუდამ ამ ეჭვში არ იყოს. ამისთანა საშუალება ჩვენის აზრით, იქნება არქეოლოგიური მუზეუმის დაარსება. აქ, ამ მუზეუმში შეგროვდება, თუ მოხერხდა, როგორც ძველი ხელნაწერი წიგნები, აგრეთვე ძვირფასი ნივთები“.

ქართული მუზეუმი საყოველთაო სარგებლობისთვის!

ეს სურვილი რამდენიმე წლის შემდეგ, 1885 წელს, რეალობად იქცა. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკის ბაზაზე გაიხსნა ე.წ. „საარხეოლოგო მუზეუმი“, რომლის ფონდების გამდიდრებისკენაც მიზანმიმართულად მოუწოდებდა საზოგადოებას სხვადასხვა ქართული გაზეთი. „საარხეოლოგო მუზეუმის“ ფონდები არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და ისტორიული მნიშვნელობის ნივთებით თანდათან ივსებოდა, ერთ-ერთი საყურადღებო ექსპონატი, რომელმაც მუზეუმში დაიდო ბინა, ერეკლე მეფის თოფი იყო. 1898 წელს, ალექსანდრე როინიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მუზეუმში გადაუტანიათ მთელი მისი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია. 1903 წელს საზოგადოებას შეუძენია ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ძვირფასი ბიბლიოთეკა, 1907 წელს კი, ილია ჭავჭავაძის ანდერძის თანახმად, მთელი მისი ქონება, პირადი ნივთები და უმდიდრესი ბიბლიოთეკაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დარჩა.

მუზეუმს ძალიან უჭირდა. მუდმივად იდგა უბინაობის პრობლემა, რის გამოც ექსპონატებს სხვადასხვა ადგილას ინახავდნენ. 1911 წელს ექვთიმე თაყაიშვილი საზოგადოების სხდომაზე ამბობდა: „სამუზეუმო ნივთები, რომელნიც გიმნაზიაშია გადატანილი და ყუთებში არის ჩალაგებული, თუ ასე დარჩა დიდხანს, გაფუჭდება და შემდეგ

გამოუსადეგარი გახდება, ამიტომ საჭიროა მათი ხშირი გამზეურება“.

თუმცა, ეს წერა-კითხვის გამავრცელებელმა მუზეუმმა ვერაფრით შეძლო. მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა, მართალია, თანხმობა გამოთქვა, დაეფინანსებინა მუზეუმის აგების ხარჯები, თუკი სათანადო მიწა გამოიყოფოდა, მაგრამ ვერც ეს მოხერხდა. 1911 წელს დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და საერთო არეულობამ კი არა მარტო მუზეუმის დაბინავების გეგმა ჩაშალა, არამედ მთლიანად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესი დააჩქარა.

კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენის დარბაზი

საეკლესიო მუზეუმი

1888 წელს თბილისში, სიონის ეკლესიასთან საგანგებოდ აგებულ შენობაში „საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი...“ დაარსდა. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტის გამო „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „...სიონის ჩრდილოეთით, სიონისვე ეზოში დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკლესიო-საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია“ – წერდა ის.

მცდელობას, როგორმე გადაერჩინათ და შეეგროვებინათ 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ გაძარცვული და განადგურებული ქართული მართლმადიდებლური ექსპონატები, წინ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხანგრძლივი ბრძოლა უძღოდა. 1886 წელს მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე კავკასიის მთავარმართებელს, დონდუკოვ-კორსაკოვსა და საქართველოს ეგზარქოსს პავლეს სწერდა: „თქვენს ხელშია არა მარტო ბოლო მოუღოს ქართულ სიძველეთა ძარცვას და გადაარჩინოს რისი ხსნაც კიდევ შეიძლება, არამედ ისიც, რომ იგი ხელმისაწვდომი გახადოს მეცნიერებისათვის. ამის გამო, ვფიქრობ საჭიროა სასულიერო მმართველობასთან შეიქმნას განსაკუთრებული მუზეუმი, რომელსაც დაერქმევა – „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“.

1888 წლის ივლისში მუზეუმი გაიხსნა, სიძველეთსაცავის გამგედ დაინიშნა თავად დიმიტრი ბაქრაძე და დაიწყო ფართომასშტაბიანი მუშაობა ახლად შექმნილი მუზეუმის ფონდის შესავსებად.

საეკლესიო მუზეუმის მთავარი დამსახურება დაკარგული და განადგურების საშიშროების წინაშე მყოფი ქართული მართლმადიდებლური საგანძურის გადარჩენის გარდა სპეციალური ექსპედიციების ჩატარებაც იყო. 1889 წელს დავით ბაქრაძე პირადად უძღვებოდა ორ ასეთ ექსპედიციას მცხეთაში და დავით გარეჯში. ამ დროს საეკლესიო მუზეუმში მნიშვნელოვანი სიძველეები გადაიტანეს როგორც ამ ორი მართლმადიდებლური ცენტრიდან, ასევე გელათის, სამთავროსა და სოხუმის ეკლესიებიდანაც.

ათი წლის თავზე საეკლესიო მუზეუმი უკვე ისეთი ძლიერი ინსტიტუტი იყო, რომ კავკასიის მუზეუმის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან კოლექციებს განაგებდა, სულ 1359 ექსპონატს. საეკლესიო მუზეუმმა არსებობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეწყვიტა.

„დიდების ტაძარი“

თბილისში, 1888 წელს სამხედრო-ისტორიული მუზეუმის – „დიდების ტაძარის“ დაარსების იდეა კავკასიის მუზეუმის დირექტორს, გუსტავ რადეს გაუჩნდა. თბილისში დაარსებულ მუზეუმში უნდა დაცულიყო XIX საუკუნეში რუსეთის მიერ წარმოებული ბრძოლების ამსახველი იარაღი.

მუზეუმი, რომელიც რუსული იმპერიის „დიდების ტაძარი“ უნდა გამხდარიყო, თბილისის ცენტრში, ალექსანდრეს ბაღში აიგო. ექსპოზიციის გასაფორმებლად და ბატალური სცენების დასახატად მთელს იმპერიაში ცნობილი მხატვრები, ფრანც რუბო, მაქს ტილკე, ივანე აივაზოვსკი და სხვები მიიწვიეს. ვიდრე „დიდების ტაძრის“ დარბაზებისთვის ექსპონატების შეგროვება მიმდინარეობდა, შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახის ექსპოზიციების მოწყობა, რომლებშიც ქართველი მხატვრებიც მონაწილეობდნენ. ასე გამოიფინა თბილისში პირველად გიგო გაბაშვილის, ალექსანდრე მრევლიშვილის, მოსე თოიძის, იაკობ ნიკოლაძის და სხვათა ნამუშევრები. სწორედ მსგავსი ღონისძიებების წყალობით, „დიდების ტაძარი“ XIX საუკუნის 90–იანი წლების თბილისური კულტურული ცხოვრების ეპიცენტრში აღმოჩნდა. რადგანაც თბილისის საზოგადოებას იქ პირველად მიეცა საშუალება, ქართველი მხატვრების ნამუშევრები დაეთვალიერებინა, ხალხი „დიდების ტაძარს“ უფრო სახვითი ხელოვნებისთვის განკუთვნილ ადგილად აღიქვამდა და არა რუსული იმპერიის სამხედრო ტრიუმფის ილუსტრაციად. საბოლოოდ, რუსეთის იმპერიამ თავისი მიზნის განხორციელებაზე უარი თქვა. პირველი მსოფლიო ომის წლებში, ფრონტის ხაზის მოახლოების გამო, სამუზეუმო ექსპონატები ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში გახიზნეს. 1916 წლიდან „დიდების ტაძრის“ კარი უკვე აღარ გაღებულა.

„ქართული მუზეუმი“

XIX საუკუნის ბოლოს რეალობა ასეთი იყო: წარმატების ზენიტში გახლდათ „კავკასიის მუზეუმი“, ძალებს იკრებდა „დიდების ტაძარი“, ნელ-ნელა მდიდრ-

დებოდა „ქართული ეკლესიის მუზეუმიც“. თუმცა, უკვე თითქმის სულს ღაფავდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი“ და ქართული ინტელიგენცია ხვდებოდა, რომ მხოლოდ „ეკლესიის მუზეუმი“ ვერაფრით შეასრულებდა ეროვნული საგანძურის შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს.

ამ მიზეზით, 1907 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით, თბილისში დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი „ქართული მუზეუმის და ბიბლიოთეკის“ დაარსება გახდა. ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ამ იდეის გარშემო აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ასევე ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი შეიკრიბნენ.

საზოგადოებამ მუზეუმის დაარსების ნებართვა 1912 წელს მიიღო, თუმცა, ქართულმა მუზეუმმა არსებობა გაცილებით ადრე დაიწყო. მუზეუმის პირველი ფონდის განსაკუთრებული სიამაყე გახდა 1908 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შეწირული ორი ხელნაწერი: ვახტანგ მეექვსის კანონები და სამართალი. შემდეგ წლებში კი, ფონდების გამდიდრების მიზნით, მუზეუმის თანამშრომლებმა ექსპედიციების მოწყობაც დაიწყეს. ბეთანიის, საფარის, მცხეთის, ყინწვისის, ნეკრესის, ტაბაკინისა და გარეჯის ეკლესია-მონასტრებში იღებდნენ ფრესკების ასლებს და აგროვებდნენ ისტორიული მნიშვნელობის მქონე სურათებს, ხელნაწერებსა და სიგელებს.

ექსპედიციებში მოგროვილი მასალების საფუძველზე ქართულმა მუზეუმმა ორჯერ მოახერხა თავადაზნაურთა გიმნაზიის შენობაში გამოფენის მოწყობა.

ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებული მუზეუმისთვის შესაფერისი ბინის მოძებნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დავით სარაჯიშვილმა ეროვნული მუზეუმის შენობისთვის 100 000 მანეთი დატოვა. ამ თანხას მისმა მეუღლემ 600 000 მანეთი დაუმატა, მაგრამ ამაოდ – პირველი მსოფლიო ომის, საერთო პოლიტიკურ-სოციალური არეულობის და ფულის ინფლაციის გამო ეროვნული მუზეუმის ღირსეულად დაბინავების გეგმა ხანგრძლივი დროით გადაიდო, 1927 წელს კი საერთოდ დაიხურა. მისი კოლექციები და ბიბლიოთეკა 1919 წელს კავკასიის მუზეუმის ბაზაზე დაარსებულ საქართველოს მუზეუმს გადაეცა.

საქართველოს მუზეუმი

საქართველოს მუზეუმის დაარსებით ჩვენი ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, შემაჯემებელი ეტაპი დაიწყო. 1918 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ბუნების, ეთნოგრაფიის, ისტორიის და არქეოლოგიის შესწავლას პირველად მიენიჭა სახელმწიფო მნიშვნელობა. 1919-1920 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეკრეტი გამოსცა, რომელთა საშუალებითაც პირველად მოიხაზა ქართული სამუზეუმო სისტემის როგორც ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუციის, კონტურები. მაგალითად, უმნიშვნელოვანესი იყო რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება „საისტორიო, საარქეოლოგიო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის აკრძალვის შესახებ“; ანდა, დამფუძნებელი კრების დეკრეტი, რომლის მიხედვითაც მუზეუმისთვის გამოჰყვეს 2 მილიონი მანეთი და დაავალეს ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების შეკეთება-დაცვაზე ზრუნვა და მეთვალყურეობა. 1920 წელსვე მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ, რომლის წევრებიც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე, სოლომონ ქურდიანი და ალექსი ნათიშვილი, გამოყო კომისია ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესასწავლად. ამავე პერიოდში რეგულარულად გამოიყოფოდა თანხები სამეცნიერო, საგამომცემლო და საოჯახო ხარჯებისთვის, ასევე ახალი ისტორიული ნივთების შესაძენად. 1919 წელს დაისვა რესპუბლიკაში გაბნეული სამუზეუმო ნივთების და წიგნების მუზეუმში თავმოყრის საკითხი. საქართველოს მუზეუმი გახდა ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა მეთვალყურეობის და დაცვის ცენტრი. 1920 წლის აპრილში საქართველოს მუზეუმთან დაარსდა ისტორიული მნიშვნელობის საგნების შეძენის ფონდი. ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის პერიოდულ გამოცემებს „საქართველოს მუზეუმის მოამბეს“ და „საქართველოს მუზეუმის შრომებს“.

მნიშვნლოვანი იყო დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 1920 წლის 30 მარტის დეკრეტი საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის დაარსების შესახებ, რითაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ჩაეყარა საფუძველი. ამ პერიოდშიც მთავარ საკითხად რჩებოდა საქართველოს მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულება. დამფუძნებელი კრებისა და რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 19

კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენის დარბაზი

დეკემბრის დეკრეტით, მუზეუმის შენობის მშენებლობის დამთავრებისთვის გამოიყო 5.500.000 მანეთი. არქიტექტორებად მიიწვიეს ნიკოლოზ სევეროვი და ანატოლი კალგინი. მიზანი იყო, ფასადი ქართულ ეროვნულ არქიტექტურასთან მიახლოებული ყოფილიყო. თუმცა, ამ იდეის სისრულეში მოყვანა ვეღარ მოხერხდა. კოჯორსა და ტაბახმელასთან გამართულმა ბრძოლებმა საქართველოს მთავრობას თბილისიდან ხაზინისა და სამუზეუმო ძვირფასეულობის გახიზვნა გადააწყვეტინა. ამ საქმეს ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ბევრი წვალებისა და გასახიზნი ნივთების უსაფრთხოების ზომების მიღების შემდეგ, საბოლოო ჯამში, საქართველოდან 248 ყუთი გაიტანეს. ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო, 1921 წლის 20 თებერვლის განკარგულებით, მუზეუმმა მუშაობა შეწყვიტა. რამდენიმე თვეში საქართველოს მუზეუმის გამოცოცხლების პროცესი რთულად, მაგრამ მაინც დაიწყო. ამ მძიმე პერიოდში მუზეუმის მუშაობას სამეცნიერო საბჭო ხელმძღვანელობდა. მის შემადგენლობაში, ექვთიმე თაყაიშვილის ნაცვლად, 1921 წლის მარტიდან ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე შედიოდნენ.

კავკასიის მუზეუმის ეთნოგრაფიული გამოფენის დარბაზი

1921 წლიდან შეწყდა მუზეუმის ყოველგვარი ურთიერთობა და კავშირი საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცენტრებთან. მუზეუმის თანამშრომლები კი ხშირად ხელისუფლების რეპრესიების სამიზნე ხდებოდნენ. მუზეუმის არქივში არსებობს დირექტორის, ნოე ყიფიანის წერილი, რომლითაც ის თავდებად უდგება ეთნოგრაფ გიორგი ჩიტაიას და პატიმრობიდან მის გათავისუფლებას ითხოვს.

ფინანსური პრობლემების გამო მუზეუმი ვერ იხდიდა გადასახადებს, ხშირად რჩებოდა წყლის და სინათლის გარეშე. თანამშრომლებს მუშაობა ფაქტობრივად გაუსაძლის პირობებში უხდებოდათ.

1922 წლის დასაწყისში მთავრობამ რუსეთის მუზეუმებსა და საცავებში დაცულ ქართულ სიძველეთა სამშობლოში დაბრუნების საკითხი დააყენა. მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებსა და არქივებში გაფანტული ქართული სიძველეების უკან დაბრუნების პროცესი ერთი წლის თავზე დაიწყო. პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან საქართველოს გადაეცა ძველი ქართული ხელნაწერები, დოკუმენტები და ისტორიულ ნივთთა დიდი კოლექცია, მათ შორის გიორგი მეთორმეტის ნივთები – ძვირფასი ქვებით შემკული გვირგვინი, სამეფო ტახტი, კვერთხის თავი, საფარის კანკელი, წებელდის კანკელი, დასურათებული დავითნი და სხვა. ამ პროცესში ჩართული იყო თითქმის ყველა ჩვენი სახელოვანი მეცნიერი და საზოგადოების წარმომადგენელი, თუმცა, მაინც ვერ მოხერხდა ყველა ნივთის დაბრუნება იმის გამო, რომ გაჭირდა ბევრი მათგანის კვალის მიგნება. მათი ძებნა და საქართველოში დაბრუნების მცდელობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

1923 წლის 12 ნოემბერს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც თბილისში არსებული სამუზეუმო ფონდების ბაზაზე ორი ახალი მუზეუმი – საბუნებისმეტყველო და საეთნოგრაფიო უნდა შექმნილიყო. საბუნებისმეტყველო ფონდები უნდა გამოყოფილიყო საქართველოს მუზეუმიდან, ხოლო საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი უნდა შევსებულიყო ასევე საქართველოს მუზეუმიდან გამოყოფილი „საისტორიო-საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო განყოფილებების კოლექციებით“, რაც, ფაქტობრივად, მუზეუმის დაშლას ნიშნავდა, რადგან მას ჩამოსცილდებოდა ორი ყველაზე დიდი კოლექცია – საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიული. საგანგებოდ მოწვეულ მუზეუმის სამეცნიერო საბჭოზე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი თავმჯდომარეობდა, ის პროტესტს გამოთქვამდა საქართველოს მუზეუმის მოსპობის მიმართ. მისი აზრით, დანაწილება-დაყოფის ნაცვლად საჭირო იყო მუზეუმის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, მათი ძალების გაერთიანება, კონცენტრაცია. გ. ჩიტაია ამასთან დაკავშირებით იხსენებდა, რომ ივანე ჯავახიშვილი „მუზეუმის მთლიანი სახის შენარჩუნებას მოითხოვდა და მის დანაწილებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა... ამითვე იყო გამოწვეული ის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა განსვენებული (ივ. ჯავახიშვილი) მუზეუმის პროფანატორებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მეტად შორს იდგნენ მუზეუმის დანიშნულებისაგან, რომელთაც სამუზეუმო საქმეების არაფერი გაეგებოდათ“. ივ. ჯავახიშვილმა შეძლო, სათანადო ორგანოებისთვის დამაჯერებლად დაესაბუთებინა ამ გადაწყვეტილების დაუშვებლობა. საბედნიეროდ, ეს გეგმა შემდგომში ვერც განხორციელდა და დადგა საკითხი მთელი რესპუბლიკის მუზეუმების კოლექციების თავმოყრის, ცენტრალიზაციისა.

1923 წლიდან დაისვა მუზეუმში შესული ნივთების აღრიცხვიანობის მოწესრიგების

საკითხი. მუზეუმის საბჭოს გადაწყვეტილებით ყველა განყოფილებისთვის უნდა შემოღებულიყო საინვენტარო წიგნი. 1924 წლის 25 აპრილს მუზეუმის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მუზეუმის ექსპონატების ეტიკეტების გადაქართულების შესახებ.

1926 წელს მუზეუმის დირექტორის პოსტზე სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გეოლოგი ალექსანდრე ჯანელიძე დაინიშნა, რომელმაც ამ თანამდებობაზე ნოე ყიფიანი შეცვალა. ამის შემდეგ მუზეუმის დირექტორებად ინიშნებიან შემთხვევითი ადამიანები პარტიული ნიშნით, რომლებიც 30-იან წლებში თვითონვე გახდნენ „პარტიული წმენდის“ მსხვერპლნი.

1923 წლის დადგენილებით გადაწყვეტილი იყო მუზეუმის რეორგანიზაციის ჩატარება, რომელიც ვერ განხორციელდა და ძველი მუზეუმები საშინელ პირობებში აღმოჩნდა უბინაობის გამო. ამიტომ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ისინი დახურა და 1928-1931 წლებში საქართველოს მუზეუმში გაერთიანდა რესპუბლიკის ყველა სამუზეუმო ფონდი. 1929 წ. საქართველოს მუზეუმმა მიიღო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციები და ბიბლიოთეკა, რომელიც შეუერთდა მუზეუმის ბიბლიოთეკას, ხოლო გაუქმებული საზოგადოების კოლექციების ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი ახალი უჯრედი — ხელნაწერთა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება. ამავე წელს გადმოიტანეს მუზეუმში პედაგოგიური მუზეუმის კოლექციები, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმისა და ბორჯომის დენდროლოგიური მუზეუმის ექსპონატები, რითაც გამდიდრდა ბოტანიკური განყოფილების ფონდები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექციების, უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან არსებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის ფონდების და უნივერსიტეტის ფოტოთეკის გადაცემა, რომელიშიც 40 000 ნეგატივი შედიოდა.

კავკასიის მუზეუმის ზოოლოგიური გამოფენის დარბაზი

1929 წელს დამთავრდა მუზეუმის შენობის მშენებლობა. ოცდაერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მუზეუმს დაუბრუნდა თავისი ძირითადი — საგამოფენო ფუნქცია. ახალი შენობისა და საგამოფენო დარბაზების მწყობრში ჩადგომის შემდეგ პირველ რიგში ახალი ექსპოზიციების ამოქმედების ამოცანა დადგა. ხშირად ეს ადვილი არ იყო, რადგან მუზეუმს ხელისუფლების დაკვეთა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ბევრ შემთხვევაში გაუგებარი მოთხოვნები უნდა გაეთვალისწინებინა, რასაც მუზეუმის ბევრი თანამშრომელი შეეწირა, მათ შორის მუზეუმის ოთხი დირექტორი გამოცხადდა „მავნებლად“. მიუხედავად ამ ზეწოლისა, მუზეუმი მაინც აგრძელებდა თავის ჩვეულ საქმიანობას და შეძლებისდაგვარად იდგა ქვეყნის სამსახურში.

„ივანე ჯავახიშვილი როგორც მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წამყვანი წევრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამუზეუმო საქმიანობაში. მას თავიდანვე შემუშავებული ჰქონდა მუზეუმის ჰარმონიული მეცნიერული განვითარების სტრატეგია, რაც ითვალისწინებდა საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემების სინთეზის ჩვენებას ადამიანის განვითარების მთელ სიგრძეზე“, წერს მუზეუმის დირექტორი 1980-2004 წლებში, არქეოლოგი ლევან ჭილაშვილი.

1931 წელს მუზეუმში სამუშაოდ გადავიდა ივანე ჯავახიშვილი. 1937 წლიდან ის ისტორიის განყოფილების გამგედ დაინიშნა, რომლის გახსნასაც 1934 წლიდან დაჟინებით ითხოვდა: „მუზეუმი ვალდებულია თავის წიაღში საისტორიო განყოფილება შექმნას“. იგი მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად ადგენდა პროექტებს, ზრუნავდა ახალგაზრდა მეცნიერთა მომზადებაზე, რათა „მუზეუმს თავისი მუდმივი კადრი ჰყოლოდა“, საექსპოზიციო მუშაობის გაფართოებაზე, ფონდებში ნივთების აღრიცხვაზე, რომლის დახვეწისა და გაუმჯობესების მთელი გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

მუზეუმს ნელ-ნელა დაემატა ახალი უჯრედები: ხელნაწერების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური განყოფილებები, ხელოვნების ისტორიის განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გიორგი ჩუბინაშვილი და ფოლკლორის განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობაც ვახტანგ კოტეტიშვილს დაევალა. ხელნაწერთა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილებები ჩამოყალიბდა ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციების ბაზაზე, რომელსაც 1930 წელს უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერთა მთელი ფონდები მიემატა. ამ დროს მუზეუმში უფროს მეცნიერ მუშაკებად მუშაობდნენ დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, 1930 წელს კორნელი კეკელიძე გახდა მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხოლო მოსე ჯანაშვილი მუზეუმის კონსერვატორის თანამდებობაზე დაინიშნა.

1930-იანი წლების დასაწყისიდან მუზეუმში თავს იყრის ქართული ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბევრი სახელოვანი წარმომადგენელი. მათი გვარების ჩამოთვლაც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ რა სამეცნიერო პოტენციალი შეიქმნა მუზეუმში: ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კორნელი კეკელიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, პავლე ინგოროყვა, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, შალვა ამირანაშვილი, ბორის კუფტინი, ლევან მუსხელიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, თედო სახოკია, მოსე ჯანაშვილი, სერგი მაკალათია, ევგენი ლანსერე, იოსებ შარლემანი, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ბორის შიშკინი, დიმიტრი სოსნოვსკი, ივანე ჩხიკვიშვილი, კალისტრატე გაბუნია, ივანე კაჭარავა, სტეფანე მენთეშაშვილი, ვერა ბარდაველიძე და სხვები. ამასთან ერთად, საქართველოში

საქართველოს მუზეუმი

თითქმის არ მოიძებნებოდა დიდი მეცნიერი და ხელოვანი, რომელიც რაიმე სახით არ თანამშრომლობდა საქართველოს მუზეუმთან: სილოვან ხუნდაძე, აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, ილია აბულაძე, ვარლამ დონდუა, ვარლამ თოფურია, ლეონ მელიქსედბეგი, რენე შმერლინგი და სხვები. საქართველოს მუზეუმში დასაქმებულ მეცნიერთა ნაწილმა მოგვიანებით ჩამოყალიბებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი ბირთვი შეადგინა.

1932 წელს არქეოლოგიის განყოფილებას გიორგი ნიორაძე ჩაუდგა სათავეში, ეთნოგრაფიულს - გიორგი ჩიტაია, ნუმიზმატიკურ კაბინეტს – თამარ ლომოური. ამავე დროს გაიხსნა ფოტოგრაფიული ლაბორატორია; ასევე საფუძველი ჩაეყარა ფიზიკურ-ქიმიურ სარესტავრაციო ლაბორატორიასაც, სადაც წარმატებით მიმდინარეობდა ლითონისგან დამზადებული ნივთების აღდგენისა და ძველი პალიმფსესტების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომლებსაც მუზეუმის დირექტორი, ანანია კაკაბაძე ხელმძღვანელობდა. მუზეუმის ტაქსიდერმული ლაბორატორია გამორჩეული იყო არა მარტო რესპუბლიკის, არამედ საკავშირო მასშტაბითაც.

1929 წლიდან გააცხოველა სამუშაოები მუზეუმთან არსებულმა სიძველეთა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომიტეტმა, რომელმაც ძეგლების შესწავლისა და ფიქსაციის სამუშაოები ჩაატარა. 1929-1932 წლებში საქართველოს მუზეუმის ინიციატივით შეკეთდა ბაგრატის, გელათის, ნიკორწმინდის ტაძრები, ჯვრის მონასტერი, ბებრის ციხე და სხვა ძეგლები. გ. ჩუბინაშვილის ინიციატივით მუზეუმში გადმოიტანეს წრომის ეკლესიის მოზაიკა.

1933 წლის მაისში საქართველოს მუზეუმის თითქმის ყველა განყოფილებასთან ჩამოყალიბდა სამეცნიერო სექციები, რომლებშიც იმდროინდელი ქართული მეცნიერების მთელი ელიტა მონაწილეობდა. მუზეუმში მოღვაწე მეცნიერთა წყალობით დაწესებულებამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

დაფინანსების შეზღუდულობის გამო შეუძლებელი იყო მუზეუმის ყველა განყოფილების გამოფენის ერთდროულად მოწყობა. ამიტომ გადაწყდა, რომ პირველ რიგში ის კოლექციები გამოფენილიყო, რომლებიც შინამრეწველობის, ნედლეულისა და წარმოების ეკონომიკური გამოყენების საკითხებს უკავშირდებოდა. ახალი საგამოფენო მასალის მოსაგროვებლად მოეწყო ექსპედიციები ხევსურეთში გ. ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის მონაწილეობით. 1928 წელს ჩატარდა ზოოლოგიური გამოფენის რეექსპოზიცია ი. ჩხიკვიშვილის ხელმძღვანელობით (ტაქსიდერმისტი კ. კრელი, მხატვარი ი. ვეფხვაძე), რომელიც 1972 წლამდე მოქმედებდა. გამოფენაში ჩაერთო კავკასიის მუზეუმის ძველი, რადესეული ზოოლოგიური ექსპონატებიც. 1931 წელს გ. ჩიტაიას ავტორობით მხატვარ ი. შარლემანთან ერთად გაკეთდა ხევსურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. ცალკეულ მხატვრულ სამუშაოებს ასრულებდნენ რ. შმერლინგი და ს. საბუკი. ამგვარი გამოფენა მთელ საბჭოთა კავშირში სიახლეს წარმოადგენდა და მან დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებელში. 1929-1932 წლებში მოეწყო ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილების მიერ მომზადებული გამოფენები „ქართული ტანსაცმელი“ და „ქართული ხელსაქმე“ (XVIII-XIX სს.), რომლის ავტორი იყო ირონდიონ სონღულაშვილი. ამავე წლებში გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მომზადდა სვანეთის ეთნოგრაფიული გამოფენა და ხელნაწერთა განყოფილებასთან ფუნქციონირება დაიწყო ე.წ. „სეიფმა“, სადაც გამოფენილი იყო განსაკუთრებული მნიშ-

ვნელობის VI-XV საუკუნეების ხელნაწერები. ალ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით გეოლოგიური განყოფილების მიერ მომზადდა გამოფენა „საქართველოს სასარგებლო მინერალური რესურსები“. ყველა ეს გამოფენა გააფორმა პროფესორმა იოსებ შარლემანმა, ცალკეული სამუშაოები შესარულა რ. შმერლინგმა. 1934 წელს გ. ნიორაძემ და ბ. კუფტინმა (მხატვრები ი. შარლემანი, ვ. ვატაგინი, დ. ციციშვილი) მოამზადეს პირველი არქეოლოგიური გამოფენა „წინაკლასორივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“, რომელიც 27 წლის განმავლობაში მოქმედებდა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მუზეუმში ფართო საექსპოზიციო მუშაობას. აღნიშნულს დიდ ყურადღებას აქცევდა ივ. ჯავახიშვილი, რადგან ეს მუზეუმის უმთავრეს საქმიანობად მიაჩნდა და მას უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა. ივ. ჯავახიშვილის მიერ 1937 წელს მოწყობილ შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენას „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, მნახველისთვის უნდა ეჩვენებინა, „თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI-XIII საუკუნეებში, როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, როგორი იყო მისი წესწყობილება. გამოფენის მნახველს საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო დარბაზობისა და ვაზირობის, ისევე როგორც რაინდობის წესები წარმოიდგინოს, იცოდეს რას იცვამდნენ, იხურავდნენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ჭურჭელი ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნეობას, მემინდვრეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა“ — წერდა ივ. ჯავახიშვილი. აუცილებელი იყო იმდროინდელი ორიგინალების მოპოვება, რაც იმჟამად უკვე ძნელი იყო, რადგან „ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო რაც გადარჩა რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობის და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და გაუბედურდა“ — წერდა იგი. ის ზოგადად ერიდებოდა ექსპოზიციაში მულაჟების ჩართვას: „დედნების შოვნა, რასაკვირველია, ადვილი არ არის და მეტად ძვირიც ჯდება. ამიტომაც, ... ნამდვილი ძეგლების მაგიერ მულაჟების გამოყენებას მოკიდეს ხელი. ამ გზით დანაკლისის შევსება გაცილებით უფრო ადვილადაც და უფრო იაფადაც შეიძლება, მაგრამ, ცხადია, რომ იქ, სადაც მულაჟები სჭარბობენ, მუზეუმს სამეცნიერო დაწესებულების თვისება ეკარგება და უკვე სასწავლო-საჩვენებელ დამხმარე დაწესებულებად ხდება“. ამიტომ, დანაკლისის ანაზღაურება და შევსება ივანე ჯავახიშვილს კომპლექსური მიდგომით — ისტორიული კედლის მხატვრობის, ფრესკების, მინიატურებისა და ძველი ჩანახატების მონაცემების საშუალებით ჰქონდა დასახული. ამ მასშტაბურ გამოფენასთან იყო დაკავშირებული ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით 1936 წ. დმანისში და ბოლნისში დაწყებული არქეოლოგიური გათხრები, რომელთა შედეგად შესანიშნავი აღმოჩენები გაკეთდა. გათხრების შედეგებმა გადაამეტა გამოფენისათვის ნივთების მოპოვების ამოცანას და საფუძველი ჩაუყარა ფეოდალური საქართველოს ძეგლთა მეცნიერულ გათხრა-შესწავლას.

კავკასიის მუზეუმის ზოოლოგიური გამოფენის დარბაზი

ყოველწლიურად მდიდრდებოდა საქართველოს მუზეუმთან არსებული ბიბლიოთეკის საცავები. 1931 წელს ნიკო მარის ინიციატივით ლენინგრადის კულტურის ისტორიის აკადემიამ მუზეუმს საჩუქრად 154 წიგნი გადასცა. 1932 წელს მუზეუმის ბიბლიოთეკაში სულ 300 000-მდე წიგნი ითვლებოდა.

1930-იანი წლების ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა მძიმე კვალი დატოვა საქართველოს მუზეუმის ცხოვრებაზე და იქ მოღვაწე მეცნიერებზე. 1933 წლის ოქტომბერში მუზეუმის დირექტორი გახდა გიორგი მიროტაძე, რომლის სიცოცხლეც რეპრესიებს შეეწირა. თუმცა, ინსტიტუციური განვითარების პროცესი მუზეუმში მაინც არ შეწყვეტილა. სწორედ ამ დროს დაიწყო ფართო არქეოლოგიური სამუშაოები მცხეთაში, სამთავროსა და არმაზისხევში, ბოლნისში, დმანისის ნაქალაქრზე, გუდარეხში და სხვ. ექსპედიციების საერთო მუშაობას ივ. ჯავახიშვილი უწევდა ხელმძღვანელობას. მთელი მოპოვებული მასალის დამუშავება საქართველოს მუზეუმს დაევალა.

1926-1930 წლებში ურთიერთობა დამყარდა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. 1929 წლიდან მუზეუმმა საგამოფენო სამუშაოებიც ფართოდ გაშალა საზღვარგარეთ. 1930 წლის ივნის-ოქტომბერში გერმანიაში — ბერლინში, კიოლნში, ნიურნბერგსა და მიუნხენში მოეწყო ძველი ქართული ხელოვნების ძეგლთა გამოფენა, რომლის ავტორი გ. ჩუბინაშვილი იყო. გამოიცა კატალოგი გერმანულ ენაზე. ამ გამოფენებისათვის სპეციალურად დამზადებული ქართული ფრესკის პირები შემდგომში ისტორიის განყოფილების ფონდებს შეემატა. გერმანიიდან გამოფენამ ავსტრიაში, ვენაში გადაინაცვლა.

1938 წლის 25 მაისის ბრძანებით საქართველოს მუზეუმის კონსულტანტი, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი, გრიგოლ

კავკასიის მუზეუმი

ფილიმონის ძე წერეთელი, დააპატიმრეს. იგი ციხეში გარდაიცვალა. ერთი წლით ადრე დახვრიტეს ასევე დიდი მეცნიერი, ფოლკლორისტი ვახტანგ კოტეტიშვილი. მთავრობის N2 ბრძანებით, „ხალხის მტერთა“ და „ტროცკისტ-დივერსანტთა“ ფოტოები უნდა ამოღებულიყო მუზეუმის ფოტო-ლაბორატორიიდან შინსახკომისთვის გადასაცემად. ასეთი ზომების შედეგად არქივიდან გაქრა და განადგურდა მრავალი დოკუმეტი და საინტერესო მასალა.

1941 წელს დაწყებული მსოფლიო ომი განსაკუთრებული სირთულეების წინაშე აყენებდა მუზეუმს. 1942 წელს გერმანელებმა ფრონტზე წარმატებას მიაღწიეს, მათი ჯარები კავკასიონს მოადგა. ამასთან დაკავშირებით საგანგებო ღონისძიებები გატარდა მუზეუმშიც. კოლექციები საევაკუაციო ყუთებში ჩააწყვეს, შეადგინეს საევაკუაციო ექსპონატების სიები. კოლექციები ფონდსაცავებს მხოლოდ 1943 წელს დაუბრუნდა.

1945 წლის 11 აპრილს პარიზში წაღებული საქართველოს განძი საქართველოში დაბრუნდა. აეროპორტიდან ყუთები პირდაპირ საქართველოს მუზეუმში შეიტანეს და დააბინავეს. აკადემიკოს ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით გამოიყო მთავრობის კომისია, რომელმაც თითქმის 2 წელი იმუშავა ექსპონატების აღრიცხვასა და შემოწმებაზე. დაიწყო ლაპარაკი განძისთვის მუზეუმში სპეციალური საცავის მოწყობაზე.

1947 წელს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მუზეუმს მისივე სახელი მიენიჭა.

1950-იანი წლებიდან მუზეუმში ცალკე გამოიყო არქეოლოგიური განყოფილება. იმატა არქეოლოგიური ექსპედიციების რაოდენობამ, გაიზარდა ფონდები. 50-იანი წლების ბოლოს, გ. ნიორაძის მიერ მომზადებული გამოფენის გახსნიდან 25 წლის შემდეგ, გადაწყდა გამოფენის ახალი ექსპოზიციით შეცვლა. 1957 წელს გაიხსნა ძვირფასი ნივთების სეიფი, რომელიც ქართული ოქრომჭედლობის განვითარების ისტორიას წარმოგვიდგენდა (ავტორები: არქეოლოგი ალექსანდრე ჯავახიშვილი და მხატვარი ავთო ვარაზი), ხოლო 1960 წელს – საეტაპო მნიშვნელობის არქეოლოგიური გამოფენა, რომელიც ახალ სიტყვას წარმოადგენდა საექსპოზიციო საქმიანობაში. ალ. ჯავახიშვილისა და ა. ვარაზის ეს ერთობლივი ნამუშევარი პირველი იყო, რომელიც არქეოლოგიური მონაპოვრის საშუალებით წარმოადგენდა საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის მთლიან სურათს ქვის ხანიდან ახ.წ. IV საუკუნემდე. 1963-1981 წლებში მოქმედებდა საქართველოს IV-XIII საუკუნეების მატერიალური კულტურის ამსახველი გამოფენა, რომელიც პ. ზაქარაიამ მხატვრებთან ა. ვარაზთან, ვ. დავითაიასთან, ა. ჩიქოვანთან ერთად მოამზადა. 1967 წელს შ. ლომსაძის მიერ მომზადებული ბურჟუაზიული ხანის გამოფენით დასრულდა მუზეუმში სხვადასხვა ეპოქის ამსახველი პერმანენტული გამოფენების საშუალებით საქართველოს ისტორიის სრული სურათის აღდგენა. დამთვალიერებელს შეეძლო თვალი გაედევნებინა გაბმული ისტორიისთვის უძველესი პერიოდიდან შუა საუკუნეების ჩათვლით და ეხილა ეთნოგრაფიისა და საგანძურის თემატური გამოფენები. 1983 წელს ლ. ჭილაშვილმა მხატვარ ს. კენჭაძესთან ერთად შეავსო 1963 წლის ფეოდალური ხანის გამოფენა, რომელმაც IV-XVIII საუკუნეები მოიცვა.

მთელი საბჭოთა მმართველობის განმავლობაში და მომდევნო წლებში მუზეუმი ქვეყნის არა მარტო უმთავრეს სამეცნიერო და საექსპოზიციო დაწესებულებად რჩებოდა, არამედ ის იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და დაცვის ერთ-ერთი გარანტი. 2004 წლიდან კი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის შექმნის შემდეგ – ს. ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმი მის ღერძად იქცა. ■

სტატია ეყრდნობა გ. ჩხაიძის მონოგრაფიას „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი“, თბილისი 2003 წ.; გამოყენებულია ასევე ლ. ჭილაშვილის სტატია „საუკუნე-ნახევრის გადასახედიდან“, მუზეუმის საიუბილეო მოამბე, 2002, N44.

საგანძურით მოყოლილი ისტორია

გამოფენა > ნათია ლიქოკელი

„კავკასიონიდან მრავალ ნაკადულს უჩინარი ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მაცხოვრებლები მდინარეში სქელმატყლიანი ცხვრის ტყავებს დებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც ამ ტყავებზე რჩება. ალბათ, ამგვარივე იყო აიეტის საწმისიც“.

აპიანე, „მითრიდატეს ომები“

ოამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი საზოგადოების წინაშე წარსდგა გამოფენით, რომელიც ოქრო-ვერცხლითა და ფერადი ქვების ელვარებით მოგვითხრობს საქართველოს უძველეს ისტორიას. გამოფენას ისეთივე სადა და დიდებული სახელი აქვს, როგორებიც თვით იქ წარმოდგენილი ნივთებია და თავის თავში მოიცავს იმ იდუმალების განცდას, ბავშვობაში, სათავგადასავლო წიგნების კითხვისას რომ გვიჩნდებოდა ხოლმე, როდესაც წიგნის გმირები მიუვალ ადგილებში გადანახულ ძვირფასეულობას მიაგნებდნენ. იგივე განცდა უჩნდება ადამიანს, როდესაც მუზეუმის „არქეოლოგიურ საგანძურში“ შეაბიჯებს, ოღონდ ამ შემთხვევაში თავად ხდება თავგადასავლის მონაწილე. ძალიან ფრთხილად შერჩეული განათების ფონზე თვალწინ ცოცხლდება თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა განსაცვიფრებელი ოსტატობით შექმნილი ოქროსა და ვერცხლის სარიტუალო თასებით, ინკრუსტირებული ყელსაბამითა თუ შტანდარტის დეტალებით; კოლხთა დიდებული სამეფო თითქოს ხელთუქმნელი, დაუჯერებლად დახვეწილი ოქროსა და ვერცხლის სამკაულით, ფერადი მძივებით, საბეჭდავებით, მინიატურული ქანდაკებებითა და ვერცხლის სარტყლით; ახალგორში მიკვლეული განძი დისკოსებრი ფირფიტებითა და მასიური, ოქროს სასაფეთქლეებით და, ბოლოს, იბერიელთა ძლიერი სამე-

ყელსაბამი, თრიალეთი, ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახ.

სასაფეთქლეები, ახალგორის განძი, ძვ.წ. IV ს.

სამაჯური, საირხე, ძვ.წ. IV ს. II ნახ.

თავსამკაული, ვანი, ძვ.წ. IV ს-ის დასასრული

თასი, თრიალეთი, ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახ.

საყურეები, არმაზისხევი, ახ.წ. IV ს.

ყელსაბამი, არმაზისხევი, ახ.წ. II-III ს.

ბეჭედი, არმაზისხევი, ახ.წ. II-III ს.

ყელსაბამი, არმაზისხევი, ახ.წ. II-III სს.

ფო, სხვადასხვა ფერის, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით გაწყობილი უამრავი სამკაულით, გემებით, ჭურჭლითა და III-IV საუკუნით დათარიღებული საწერი მოწყობილობით.

თითოეული ვიტრინის წინ მდგარს წარმოგვიდგებიან უხსოვარი დროის ბელადები და ქურუმები, არგონავტები, რომლებიც ჭეშმარიტად ოქრომრავალი კოლხეთისკენ მოემართებიან ოქროს საწმისის მოსაპოვებლად და მათი ღმერთები, დიდი აიეტი და კოლხი მედეა, ფარნავაზ მეფე და მშვენიერი სერაფიტა, დიდებულები, მამაცი მეომრები, ოქრომჭედლები და თვით ქვეყანა, სადაც სიცოცხლე დუღდა, უცხოელი დიპლომატები ძღვენს მიართმევდნენ ქართველ მეფეებს, დიდებულები უკვეთავდნენ სასურველ ნივთებს ადგილობრივ თუ უცხოელ ოსტატებს და იყო აქტიური მიმოსვლა და ვაჭრობა, რადგან ადგილობრივი ნივთების გვერდით არის ეგვიპტური, სირიული, ბერძნული და რომაული ნაკეთობებიც.

გამოფენა მინიმალისტურად არის გადაწყვეტილი – განათება, ვიტრინები, ნივთების სამაგრები ისეა ორგანიზებული, რომ მაქსიმალურად წარმოჩნდეს თითოეული ნივთი თუ ნივთების ჯგუფი. ყოველი ეპოქა ორგანულად ენაცვლება ერთმანეთს. ნელ-ნელა ინაცვლებ ვიტრინიდან ვიტრინასთან და გამოფენის დასასრულს ხვდები, რომ მისმა ავტორებმა გამოგზაურეს ისტორიაში და გიჩვენეს ყველაფერი, რაც ქმნის საქართველოს უძველეს წარსულს და ფუნდამენტია მისი თვითმყოფადი, ყველასგან განსხვავებული, ქართული კულტურისა. ■

სიმულირებული არქეოლოგიური გათხრები ბავშვებისთვის

მუზეუმი როგორც უწყვეტი განათლების წყარო

განათლება > თამარ კიკნაძე

პირველი მუზეუმი – დიდ ბრიტანეთში დაარსებული ეშმოლის მუზეუმი – ოქსფორდის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა და მცირე საფასურის გადახდის შემდეგ საზოგადოებასაც ეპატიჟებოდა კოლექციების დასათვალიერებლად, მაგრამ პირველი, სახალხო, საჯარო სივრცე მუზეუმის სახით მაინც საფრანგეთში გაჩნდა. 1792 წელს ლუი მეთექვსმეტის შეპყრობის შემდეგ ლუვრში თავმოყრილი მთელი სამეფო კოლექცია სახელმწიფო ქონებად გამოცხადდა, ლუვრი კი საჯარო დაწესებულებად იქცა. 1973 წლის 10 აგვისტოს, მონარქიის დამხობიდან ერთი წლის თავზე, მუზეუმი ხალხისთვის გაიხსნა. კვირაში სამ დღეს, სრულიად უსასყიდლოდ, ყველას შეეძლო კოლექციებში თავმოყრილი 537-მდე ნახატისა და 184 ხელოვნების ნიმუშის დათვალიერება.

საროთა განმავლობაში მუზეუმმა საგამანათლებლო ფუნქციაც შეითავსა. სისტემატიზებული სახე საგანმანათლებლო კონცეფციამ 1951 წელს, UNESCO-ს სემინარზე მიიღო. რამდენიმე წლის შემდეგ კი კლივლენდის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა, ხელოვნების ისტორიკოსმა, შერმან ლიმ თქვა: „დღევანდელ სამყაროში, რომელიც სავსეა ვიზუალური გამოსახულებებით... მუზეუმი განათლების მიღების უმთავრესი წყარო ხდება. მხოლოდ თავისი არსებობითაც კი – ხელოვნების ნიმუშების შენახვითა და გამოფენით – მუზეუმი საგანამათლებლო დაწესებულებაა ამ სიტყვის საუკეთესო და ყველაზე ფართო გაგებით“.

დღეს, როცა სულ უფრო დიდი აქცენტი კეთდება შემოქმედებითი უნარის განვითარებაზე, კიდევ უფრო იზრდება მუზეუმების როლიც. სწავლა თამაშით, შემეცნება შეხებითა და შექმნით – ეს და სხვა თანამედროვე საგანმანათებლო მეთოდები მუზეუმს სულ უფრო მიმზიდველს ხდის.

შესაბამისად, საგანამათლებლო მიმართულების განვითარება დღეს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ყოველი თანამედროვე მუზეუმისთვის. საქართველოს ეროვნული მუზეუმიც უკვე რამდენიმე წელია ცდილობს, სხვადასხვა ასაკისა და ინტერესის დამთვალიერებელს – ოჯახებს, სტუდენტებს, ზრდასრულებს, სკოლის მოსწავლეებს – განსხვავებული პროგრამები შესთავაზოს. სხვადასხვა ასაკის სკოლის მოსწავლეთათვის რამდენიმე პროგრამა შემუშავდა, რომელიც სკოლის მასწავლებელთა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდა.

შედეგად, 6-7 წლის წინ პირველად დაიწყო მნიშვნელოვანი პროცესი ეროვნულ მუზეუმში: საექსპოზიციო დარბაზები და ფონდები ცოცხალ და ეფექტურ საგანმანათლებლო რესურსად გარდაიქმნა. სამუზეუმო განათლებით საჯარო სკოლების, პედაგოგებისა და მშობლების დაინტერესება ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. მაგალითად, 2006 წელს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის გეოლოგიის განყოფილების თანამშრომლები სკოლის მოსწავლეებს სთავაზობდნენ კურსებს თემებზე: სამყაროს შექმნა, მზის სისტემა, ადამიანის გაჩენა, უძველესი ჰომინიდები და ჰომო საპიენსი და სხვა. იმავე წელს, I-V კლასელებს მოუმზადეს სასწავლო-შემეცნებითი პროგრამა მეხალიჩეობის შესახებ სახალისო სათაურით: „მოდით, გავყვეთ ძაფს“. ეს პროგრამა ებმოდა გამოფენების სერიას „ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები“, რომლის პირველი გამოფენაც XVIII-XX საუკუნეების ხალიჩებსა და ფარდაგებს დაეთმო...

სასკოლო ექსკურსიებს მუზეუმებში ახალი საგანმანათლებლო კონცეფციის შემუშავებამდეც რეგულარული ხასიათი ჰქონდა. თუმცა, ბოლო წლებში სტანდარტული ექსკურსიები სრულად გარდაიქმნა და სახალისო შემეცნებითი დეტალებით დაიტვირთა. ამ პროცესის ეფექტურად წარმართვას ხელი შეუწყო სპეციალურმა ტრენინგებმა სკოლის მასწავლებლებისა და მუზეუმის თანამშრომლებისთვის. ამ სასწავლო შეხვედრებზე პედაგოგებს ასწავლიდნენ, როგორ შეიძლება დაიგეგმოს გაკვეთილი ისე, რომ მასში მუზეუმიც იყოს ჩართული და მაქსიმალურად ეფექტურად მოხდეს მუზეუმის ფონდებსა და გამოფენებზე ვიზიტების სასწავლო პროცესში ჩართვა; მუზეუმის თანამშრომლებს კი აცნობდნენ იმ მეთოდებს, რომლებიც მოზარდებსა და ახალგაზრდებს სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართავდა და დააინტერესებდა. ამის 90-პროცენტიან გარანტიას ე.წ. “კეთებით სწავლა“ იძლევა. დადგენილია, რომ ადამიანი იხსომებს მიღებული ინფორმაციის 90 პროცენტს, როცა აკეთებს იმას, რასაც ამბობს. ამ დროს მისი თანამონაწილეობის ხარისხიც საგრძნობლად მაღალია.

მუზეუმი ამ მხრივაც უნიკალური ადგილია განათლების მისაღებად. სწორედ ეს გარემოებაა გათვალისწინებული ეროვნულ მუზეუმში მოქმედი რამდენიმე სასწავლო კურსის დაგეგმვისას. ჯერ კიდევ 2006 წელს, ყოველ შაბათ-კვირას, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში ბავშვებს ასწავლიდნენ მატყლის დამუშავებას, ეხმარებოდნენ, საკუთარი ხელით გადაექციათ ნედლი მასალა თექად, მიეცათ მისთვის ფორმა და თავიანთი ფანტაზიით სხვადასხვაგვარი სათამაშო დაემზადებინათ. ამით ბავშვებს ფიზიკური განვითარებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების გარდა, უვითარდებოდათ ფანტაზიაც და თან მეცხვარეობისა და ხალხური რეწვის ისტორიასაც სწავლობდნენ.

მომდევნო წლებში ეს პროგრამა კიდევ უფრო დაიხვეწა. „ხალხური რეწვის დღეები“ – მრავალფეროვანი პროგრამა ეთნოგრაფიულ მუზეუმში 2009 წელს ეროვნული მუზეუმისა და UNESCO-ს თანამშრომლობის შედეგად გაიხსნა. პროგრამა, ცხადია, დავიწყების პირას მყოფი ტრადიციის და რეწვის ოსტატების საქმიანობის პოპულარიზაციას (ფარდაგების ქსოვა და ძაფების ღებვა, თექა, დურგლობა, ხის ჭურჭლის დამზადება, ხეზე კვეთა, დაწნული ჭურჭელი, მჭედლობა, კერამიკა, ხალხური თოჯი-

მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვებისათვის

ნების შექმნა, ლურჯი სუფრები და თუშური უნაგირი) ისახავდა მიზნად, თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო მასში სწორედ საგანმანათლებლო კომპონენტი – საბავშვო გასართობი ვორქშოფები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელთა დროსაც მოზარდებს თიხის დამუშავებას, თექის თელვას, თოჯინების გაკეთებას და ქარგვის ნიუანსებს ასწავლიდნენ. პროექტი შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. UNESCO-ს მხარდაჭერით ეთნოგრაფიული მუზეუმი დაინტერესებულ ადამიანებს წელს, ზაფხულის დასასრულსაც სთავაზობდა ფარდაგების თუ ხევსურული თათების ქსოვის, ასევე ხეზე კვეთის შესწავლას, ანუ იმ ცოდნის აღდგენასა და გაცოცხლებას, რომელიც ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია და გადარჩენა სჭირდება.

ზემოხსენებული პროგრამა საკმაოდ პოპულარულია მუზეუმის სტუმრებს შორის, თუმცა, ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საგანმანათლებლო ინიციატივად მაინც სიმულირებული არქეოლოგიური გათხრები რჩება. დაახლოებით 6-7 წლის წინ, ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეზოში, მცირე ზომის მიწის მონაკვეთზე მოზარდებს სათამაშო „არქეოლოგიური ველი“ მოუწყვეს. ბავშვები თან თხრიდნენ მიწას და ეძებდნენ „განძს“, თან არქეოლოგიური კვლევის სპეციფიკას სწავლობდნენ და ისეთ მნიშვნელოვან დეტალებს ეცნობოდნენ, რომელთა გაგებაც პრაქტიკული საქმიანობის გარეშე ძალიან რთულია.

2006 წელს მსგავსი, კიდევ უფრო მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტი პირველად განხორციელდა დმანისშიც, სადაც დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია საველე სამუშაოებს აწარმოებდა. მათ მუშაობაში ჩართვის საშუალება კი სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულ უფროსკლასელებს მიეცათ, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან იყვნენ. ასაკის და უკვე გამოკვეთილი ინტერესების გამო, არქეოლოგიური სამუშაოების დეტალების შესწავლამ ამ ახალგაზრდებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

წლების განმავლობაში მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად იქცა თვითონ დმანისის მუზეუმიც. წელს, აგვისტო-სექტემბერში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით „დმანისის საზაფხულო სკოლა“ გაიხსნა, რომელშიც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრები, მაგისტრანტები და დოქტორანტები მონაწილეობდნენ. ათი დღის განმავლობაში მათ დმანისის არქეოლოგიური მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი ბაზა მასპინძლობდა, სადაც ახალგაზრდები ქართველოლოგიური მეცნიერებების კვლევის მეთოდოლოგიას თეორიული და პრაქტიკული სამუშაოებით ეცნობოდნენ. მათი კვლევის საგანს საქართველოს ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ნუმიზმატიკა წარმოადგენდა. მიზანი იყო მუზეუმში დაცული მატერიალური კულტურის ნიმუშების სასწავლო პროცესში ჩართვაც. საერთო ჯამში, ამ მრავალფეროვანი მიზნების დასახვა სასარგებლო იყო ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის და ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარებისთვის.

ბოლო დროს, მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს ეროვნული გალერეაც. ამაზე მეტყველებს ოქტომბერში განხორციელებული ორი პროგრამა: „შეიცანი ხელოვნების ნიმუ-

შის შექმნის საიდუმლო“ და „თავსატეხის საიდუმლო“. ორივე მათგანი სკოლის მოსწავლეებზეა გათვლილი. „თავსატეხის საიდუმლოში“ ბავშვები ფიროსმანის ერთ-ერთი ნახატის ფაზლის პრინციპით გამთლიანებას შეეცდებიან, მეორე პროგრამის მიმდინარეობისას კი ხატვით დაინტერესებული მოზარდები იმ ელემენტებს სწავლობენ, რომელთა ერთობლიობა ხელოვნების ნიმუშს ქმნის. რა მნიშვნელობა აქვს კომპოზიციას, ხაზს, ფერს, ფორმათა მრავალფეროვნებას – თითოეულ ამ თემას ცალ-ცალკე გაკვეთილები ეძღვნება და მონაწილეებს საშუალება აქვთ, ან სრულ კურსს დაესწრონ, ან სასურველი თემები აირჩიონ.

თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების დამკვიდრებას ეროვნულ მუზეუმში იმითაც ცდილობენ, რომ თითოეულ გახსნილ გამოფენას, უფრო ხშირად, საბავშვო პროგრამაც ახლავს თან. ასე იყო პიკასოს გამოფენის მიმდინარეობის დროსაც და ასე მოხდა ახლაც, „აღმოსავლური ხელოვნების კოლექციის ახალი სიცოცხლის“ წარდგენისას. ეგვიპტური მუმია, ყაჯარული პორტრეტები, სამურაის სამოსელი და მისი საბრძოლო აღჭურვილობა, ჩინური ფაიფური და აბრეშუმის ქსოვილზე შესრულებული ფერწერა – გამოფენაზე მუზეუმის კოლექციებში დაცული უნიკალური ექსპონატები იყო წარმოდგენილი. მათ საფუძველზე კი რამდენიმე ტიპის საგანმანათლებლო პროგრამა დაიწერა ასაკობრივი ჯგუფებისა და ინტერესების გათვალისწინებით. შემეცნებითი თამაშები ასაწყობებისა და გასაფერადებლების სახით, თამაშები ეგვიპტური მცირე პლასტიკის, სპარსული სამოსისა და ამ კულტურისთვის დამახასიათებელი ორნამენტების, სამურაის სამოსისა და საბრძოლო იარაღის, ასევე ჩინური ხელოვნებისა და აბრეშუმის კულტურის (აბრეშუმის წარმოება – აბრეშუმის ჭიიდან აბრეშუმის ქსოვილამდე) და მუმიფიკაციის შესახებ. თითოეული ეს პროგრამა მოზარდებს გამოფენაზე წარმოდგენილი კულტურების ხელოვნებისა და მხატვრულ-სტილისტური ტრადიციების შესწავლასა და აღქმაში ეხმარება. ასე ნასწავლი ხელოვნების ისტორია გაცილებით უფრო დასამახსოვრებელი და საინტერესოა, ვიდრე მხოლოდ საკლასო ოთახში პედაგოგის მონათხრობით, ან სახელმძღვანელოთი.

განათლების მიმართულებით ეროვნული მუზეუმი ზემოთ მიმოხილული პროგრამების გარდა, ზრდასრულებსაც სთავაზობს პროგრამებს. ახალი კონცეფციის მიხედვით, მუზეუმი მთელი სიცოცხლის მანძილზე უწყვეტი განათლების მიღების წყარო შეიძლება გახდეს. თამაშითა და გართობით სწავლა ზრდასრულებისთვისაც თვალსაწიერის გაფართოვებისა და ახალი ინტერესების გაჩენის შესაძლებლობა გახლავთ იმ ასაკში, როდესაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდებიან. მუზეუმში შექმნილი სასიამოვნო შემეცნებითი გარემო საშუალებას აძლევს მათ, ხშირად სტრესულ ყოველდღიურობაში საინტერესო და ფასეული სიახლეები იპოვონ. ეროვნული მუზეუმის მიერ განხორციელებული რამდენიმე პროგრამა კონკრეტულად ამ სეგმენტს ეხება. სპეციალისტები თითოეული ამ პროგრამის დახვეწის გზებსაც მუდმივად ეძებენ, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მუზეუმში დაცულ კოლექციებს როგორც მოზარდთათვის, ისე ზრდასრულთათვის თვალსაწიერის გაფართოების და ცოდნის შეძენის უშრეტი რესურსი აქვთ. ■

შუქი ვანიდან
ნივთის გზა
გათხრებიდან გამოფენამდე

კვლევა > ნინო ჩიმაკაძე

იმ ოთახში მოსახვედრად, სადაც საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას იკვლევენ, ვიწრო დერეფანი უნდა გაიარო, დიდი, თეთრად შეღებილი ხის კარი უნდა შეაღო და შესვლისთანავე დაგეუფლება რეალურ დროსთან დისტანცირების უცნაური შეგრძნება. უძველესი დროის არტეფაქტებს აქ მიკროსკოპის ქვეშ აკვირდებიან, ზოგს ლანცეტით და სკალპელით სათუთად წმენდენ, ზოგი კი, ჯერ კიდევ ყუთებში ჩალაგებული, თავის რიგს ელოდება.

განიმედესის ფიგურით შემკული ჭრაქი
გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ

სამპატრუქიანი ჭრაქი სარქველით, შემკული მოცეკვავე ეროტების ფიგურებით
აღდგენამდე და აღდგენის შემდეგ

ეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური მასალის სარესტავრაციო ლაბორატორიაა. ქვეყნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების ძირითადი ნაწილი მუზეუმის კოლექციებში დაბინავებამდე სწორედ აქ ხვდება. საუკუნეების განმავლობაში ჟანგით, მარილებით თუ მიწით დაფარული ძვირფასი არტეფაქტები გაწმენდისა და დამუშავების შემდეგ ზოგჯერ იმდენად იცვლის იერსახეს, რომ თითქმის აღარაფერი რჩება საერთო გათხრებისას ნაპოვნ ნივთებთან.

ნივთების რესტავრაციაზე ლაბორატორიაში ძირითადად 8 ადამიანი მუშაობს. „ახლა რკინის მასალას ვამუშავებთ, ბრინჯაოს უკვე მოვრჩით“ – მეუბნება რესტავრატორი ნინო თავართქილაძე. თემურ ფარჯანაძე მიჩვენებს, გასუფთავებისა და რესტავრაციის რა „გზა“ გაიარა ერთ-ერთმა ექსპონატმა – შუბისპირმა, სანამ ახლანდელ სახეს მიიღებდა. „თან ეს ყველაფერი ისე უნდა აკეთო, რომ ნივთს არაფერი ავნო, არ დაკაწრო“ – მიხსნის რესტავრატორი.

ერთი მოზრდილი ზომის ნივთის საბოლოო რესტავრაცია-კონსერვაციას დაახლოებით ერთი თვე, ზოგჯერ უფრო მეტიც სჭირდება. ნივთები ხშირად დეფორმირებულიცაა, ან დაზიანებული, ამიტომ მათთვის პირვანდელი სახის დაბრუნება ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. სხვადასხვა ხელსაწყოთი დამუშავების შემდეგ ნივთებს სპეციალურ დანადგარში მტვრისაგან ასუფთავებენ, შემდეგ სპირტით დელიპიდაციას უტარებენ, საბოლოოდ ხსნარით – პარალოიდ B 72-ით ფარავენ, რაც დამცავ გარსს ქმნის, თან ის ადვილი მოსაშორებელია, თუ ოდესმე ნივთის ხელახალი გამოკვლევა გახდა საჭირო.

ახლა ლაბორატორიაში 2007 წელს ვანში განძის სახით აღმოჩენილ ბრინჯაოსა და რკინის ნივთებს იკვლევენ. 5 წლის წინ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელსაც 2002 წლიდან ქალბატონი დარეჯან კაჭარავა ხელმძღვანელობს, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვანი კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს; რომ ვანი გამორჩეულია არა მარტო ოქროს მდიდარი აღმოჩენებით, არამედ ბრინჯაოსა და რკინის ნივთებითაც. 2007 წელს იქ აღმოჩენილი უნიკალური მასალა როგორც ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, ისე ანტიკური რელიგიის მკვლევრებს ბევრ გარემოებაზე დაფიქრების მიზეზს აძლევს. ნივთების დამზადების ზუსტ თარიღს ამ ეტაპზე ვერ ასახელებენ. ისინი, სავარაუდოდ, ძვ. წ. III-I საუკუნეებში უნდა იყოს შექმნილი. თუმცა, განძის სახით მოღწეული ეს ნივთები ძვ.წ. I საუკუნეში იქნა ჩამარხული დედაქანში საგანგებოდ ამოკვეთილ ორმოში.

ძვ.წ. I საუკუნეში სატაძრო ქალაქის დანგრევის ფაქტს დაუკავშირა ეს მართლაც უნიკალური არქეოლოგიური კომპლექსი მისმა გამთხრელმა, ბატონმა დიმიტრი ახვლედიანმა.

განძის უდიდესი ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში აღადგინეს. სხვადასხვა ფორმის სადგარები, დიდი ზომის სარიტუალო ჭურჭელი, სარეცლის ფეხის გარსაკრავები, ჭრაქები – სარესტავრაციო სამუშაოები ამ და სხვა ბრინჯაოს არტეფაქტებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ლაბორატორიაში 2007–2010 წლებში ჩაუტარდა. 2011 წლიდან კი რკინის ნივთების რესტავრაცია დაიწყო. ვანის ამ განძის ბრინჯაოს მასალის რესტავრაციისას გამოყენებული მექანიკური გაწმენდის მეთოდი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ნივთების დასამუშავებლად სკალპელი, რბილი ჯაგრისები, ხის წვრილი ჩხირები და სხვა ინსტრუმენტები გამოიყენეს. რესტავრატორები სპეციალური განათების პირობებში, ბინოკულარის ქვეშ წმენდდნენ ნივთებს. მთავარი ამოცანა იყო, კოროზიის ფენები ისე მოეცილებინათ, რომ თვით ნივთის ზედაპირი არ დაზია-

რა გზას გადის ექსპონატი საგამოფენო დარბაზამდე:

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ნივთს სპეციალისტები ჯერ საველე კონსერვაციას უტარებენ – მხოლოდ ზედაპირულად, ფრთხილად წმენდენ, მის შემდგომ კვლევას რომ არ შეუშალონ ხელი;

იქმნება დეტალური ლაბორატორიული დოკუმენტაცია და ხდება ნივთის ფოტოფიქსაცია: ნივთის ფოტოების გადაღება აღმოჩენისა და დამუშავების სხვადასხვა ეტაპზე.

შემდეგ ნივთს ვიზუალურად სწავლობენ, მიკროსკოპულად იკვლევენ დაზიანების ხარისხს და ტექნიკურ მონაცემებს.

მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ იწყება რესტავრაცია-კონსერვაცია, რაც ზოგჯერ თვეობით მუშაობას გულისხმობს: გაწმენდა, სხვადასხვა ხელსაწყოთი დამუშავება, საჭიროების შემთხვევში დეტალების აღდგენა და ხსნარებით დამუშავება. ამ ყველაფრის შემდეგ ნივთი საბოლოო სახეს იღებს და შეძლებისდაგვარად იბრუნებს პირვანდელ იერს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესში არა მარტო ნივთების გარეგნულ სახეს აღადგენენ, არამედ იკვლევენ თვით მასალას და ადგენენ ნივთის დამზადების ტექნოლოგიას.

ნებულიყო. ზოგ შემთხვევაში კოროზიის ფენები მთლიანად მოხსნეს, თუმცა, გარკვეულ ფრაგმენტებზე ამ ფენების სრული მოსპობა შეუძლებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ვანის განძის ბრინჯაოს ნივთების დიდი ნაწილი მაინც თითქმის პირვანდელი სახით აელვარდა.

ბოლო 2 წელია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი ნივთების ტექნიკური კვლევისა და რესტავრაციის მიზნით გეტი ვილასთან, გეტის კონსერვაციის ინსტიტუტთან და ნიუ იორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმთან თანამშრომლობს. 2007 წელს აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამერიკაში წაიღეს რესტავრაციისა და ტექნიკური კვლევისათვის. ეროვნული მუზეუმის რესტავრაციის დეპარტამენტის უფროსი, ნინო კალანდაძე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულ კვლევასა და რესტავრაციის პროცესში მონაწილეობდა, ამბობს, რომ ვანის არქეოლოგიური აღმოჩენები მსოფლიოს არაერთ წამყვან მუზეუმში იყო წარმოდგენილი, მათ შორის გეტი ვილაშიც, რომელიც აგრეთვე უძველესი ცივილიზაციების ხელოვნების შესწავლით, პოპულარიზაციითა და ნივთების კვლევით არის ცნობილი.

გეტი ვილასთან არსებულ კონსერვაციის ინსტიტუტში გაგზავნილ ექსპონატებს შორის იყო სამპატრუქიანი ჭრაქი, რომელსაც არწივისა და განიმედესის გამოსახულებები ამშვენებს, ასევე სამპატრუქიანი ჭრაქი სარქველით, რომელსაც მოცეკვავე ეროტების ოთხი ფიგურა ამკობს. მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში გამოიკვლიეს სამმილიანი, სპილოს გამოსახულებებით შემკული სასაკმევლე და ექვსპატრუქიანი ჭრაქი, რომელთაგან სამზე ადამიანის ბიუსტია გამოსახული, სამზე კი – სპილოს თავები. უახლესი ტექნიკის გამოყენებით ამ ექსპონატების სრული შესწავლა და შემდეგ აღდგენა გახდა შესაძლებელი. ნივთებს მექანიკური გაწმენდის შემდეგ მიკროსკოპული და რადიოგრაფიული კვლევა ჩაუტარდა და საბოლოოდ მათ თითქმის პირვანდელი იერსახე დაუბრუნდა.

გარდა იმისა, რომ ეს ნივთები ხელოვნების უნიკალური ნიმუშებია, ისინი სპეციალისტებს ისტორიული პროცესებისა და კულტურული განვითარების გააზრების უნიკალურ შესაძლებლობასაც აძლევს. მათზე კარგად დაკვირვების შემდეგ, რამდენიმე პატარა ფიგურის საშუალებით, მთელი ეპოქის სურათი შეიძლება აღვადგინოთ.

„თითოეული ნივთი ელინისტური ხელოვნების ნამდვილი შედევრია. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, ეს ნივთები საქართველოშია დამზადებული, თუ შემოტანილი; მთავარია, რომ კოლხეთში, ვანის სახით, არსებობდა ისეთი სატაძრო ქალაქი და ადამიანებს იმის ინტელექტუალური პოტენციალი და მატერიალური საშუალებაც ჰქონდათ, რომ ამ დონის სატაძრო ინვენტარი შემოეტანათ“, – ამბობს უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნინო ლორთქიფანიძე. მისი ვარაუდით, ექვსპატრუქიან ჭრაქზე გამოსახული სამი ადამიანი – ორი მამაკაცი და ერთი ქალი, დიდი ალბათობით, მითოლოგიური პერსონაჟები არიან, რაზეც რამდენიმე ფაქტი მიანიშნებს: „ჭრაქს ამკობს სპილოების სკულპტურული გამოსახულებები, რომლებზეც სოლარული ორნამენტებია ამოტვიფრული. სპილო პირდაპირ კავშირშია მზის კულტთან და შეუძლებელია, რომ ასეთ ღრმად გააზრებულ ნივთზე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ გამოსახულნი“, – მსჯელობს იგი. მისი აზრით, ეს უნდა იყოს დიონისე, ჰერაკლე და არიადნე. ამ ვარაუდს სხვადასხვა ფაქტორები სძენს სანდოობას: „ყველაზე ადვილად ამოსაცნობი ლომისტყავიანი, წვერებიანი ჭაბუკია, რომელიც აშკარად ჰერაკლეს მოგაგონებთ. ჰერაკლე იმ პერიოდის კოლხეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მითოლოგიური პერსონაჟი იყო. ბერძენი მწერალი დურისი წერს: „კავკასიის მცხოვრებნი მხოლოდ ზევსს და ათენას არ სწირავენ მსხვერპლს, ვინაიდან ისინი იყვნენ პრომეთეს დასჯის მიზეზნი, ჰერაკლეს კი განსაკუთრებულად სცემდნენ თაყვანს იმის გამო, რომ ისრით განგმირა არწივი, პრომეთეს გულ-ღვიძლს რომ უკორტნიდა“.

ერთი სიტყვით, ჰერაკლეს გამოჩენა ვანში სიურპრიზი არავისთვისაა. ჭრაქზე იგი გამოსახულია ჩირაღდნით ხელში. ამ გარემოებას კი, თავის მხრივ, დიონისესთან მივყავართ: რომაულ სარკოფაგებზე ძალიან ხშირადაა გამო-

ბრინჯაოს სასაკმევლე სპილოს გამოსახულებებით

ბრინჯაოს ჭრაქი მოცეკვავე ეროტების ფიგურებით

ბრინჯაოს ჭრაქი დიონისეს, ჰერაკლესა და არიადნეს გამოსახულებებით

სახული დიონისეს ინდოეთში ტრიუმ-ფის სცენები. ცნობილია, რომ ინდოეთ-ში ლაშქრობიდან მომავალ დიონისეს, რომელიც სპილოზე ზის, ამალის სხვა წევრებთან ერთად სწორედ ჰერაკლე მიჰყვებოდა ჩირაღდნით ხელში. დი-ონისეს ასევე თან ახლდა მისი სატრ-ფო, არიადნეც. ჭრაქზე გამოსახული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში ასევე ჩირაღდანი უნდა სჭეროდა (ის მომტვრეულია), გარეგნობითაც არი-ადნეს მოგაგონებთ. ეს ყველაფერი კი გვაფიქრებინებს, რომ ვანში აღმოჩე-ნილ ექვსპატრუქიან ჭრაქზე დიონისეს ტრიუმფია ასახული. სწორედ ეს მითო-ლოგიური ეპიზოდი აირჩია მოდელად ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთში ლაშქრობისას, – ამბობს ნინო ლორთ-ქიფანიძე და კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას: „შესაძლოა, ვანში აღმოჩენილი ამ ჭრა-ქის სახით დიონისეს ინდოელებზე ტრი-უმფის უძველეს გამოსახულებასთანაც კი გვქონდეს საქმე“.

ასევე ერთ-ერთ წამყვან ელინისტურ ცენტრში უნდა იყოს დამზადებული მე-ორე ჭრაქი, რომელზეც პოპულარული მითოლოგიური სიუჟეტია გამოსახუ-ლი – არწივად გადაქცეული ზევსი და განიმედესი – ულამაზესი ჭაბუკი, რო-მელიც მას შეუყვარდა და მერიქიფედ წაიყვანა ზეცაში. ეს გამოსახულება სტილისტურად ძალიან ჰგავს გამარ-ჯვების ქალღმერთის – ნიკეს ცნობილ ქანდაკებას, რომელიც 1969 წელს ვა-ნის ე.წ. მოზაიკურიატაკიან ტაძარში აღმოაჩინეს. ამ ორი პერსონაჟის, გა-ნიმედესისა და ნიკეს (ზეციდან ჩამო-სული გამარჯვების ქალღმერთი) ერ-თმანეთთან დაკავშირება ლოგიკურიც არის როგორც ზეციური და მიწიერი სამყაროს დამაკავშირებელი მითო-ლოგიური პერსონაჟებისა, რომლე-ბიც რომაულ სარკოფაგებზე ერთადაც არიან გამოსახულნი.

აღმოჩენილი განძის კვლევას სპე-ციალისტები კვლავ განაგრძობენ რო-გორც საქართველოში, ისე აშშ-ში. თუ ვარაუდები დადასტურდა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ელინისტური ხა-ნის საქართველოზე აქამდე უცნობ ფაქ-ტებს აეხადოს ფარდა, რაც შემდეგ უკვე ახალი კვლევის საგანი გახდება. ■

ახალი სტანდარტები ეროვნულ მუზეუმში

პროექტი > თამარ ბაბუაძე

„თვინინგი“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული თანამშრომლობის პროგრამაა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საჯარო სამსახურებს ტრენინგების, სემინარების, კონსულტაციების, რეორგანიზაციის და კანონმდებლობის განვითარების გზით ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზებაში ეხმარება. იგი გულისხმობს პარტნიორობას ევროკავშირის წევრი ქვეყნისა და ევროკავშირის წევრობის მსურველი ქვეყნის საჯარო სამსახურებს შორის რეფორმებისა და შემდგომი განვითარების ხელშესაწყობად.

ეს პროექტი უკვე ათ წელიწადზე მეტია, წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება დაახლოებით სამი წლის წინ გაფორმდა. მიზანი მუზეუმის ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა იყო. ეს გახლდათ „თვინინგის“ პირველი პროექტი კულტურის სფეროში, რომელშიც ეროვნული მუზეუმის პარტნიორ მხარედ ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანება ჩაერთო. სწორედ ამ სამუზეუმო გაერთიანების 40 სხვადასხვა დარგის წამყვანი ექსპერტი უზიარებდა თავის გამოცდილებას 27-თვიანი პროექტის მიმდინარეობისას ქართველ კოლეგებს გარდამავალ პერიოდში მუზეუმის რეორგანიზაციის შესახებ. პრიორიტეტული სფეროები იყო: შენობების, საცავების და სახელოსნოების დაგეგმარება, კოლექციების გადატანა, ნივთების რესტავრაცია და კონსერვაცია, მუზეუმის მართვა და ზოგადი სამუზეუმო სტანდარტების შემოღება.

„თვინინგის“ პროექტი ოთხი კომპონენტისგან შედგებოდა. პირველი კომპონენტი გულისხმობდა „ხელოვნების ნიმუშთა საცავის“ პროექტის შექმნას; მეორე – რეკომენდაციების გაწევას პრევენციული კონსერვაციის გასაუმჯობესებლად; მესამე კომპონენტი იყო კოლექციების გადატანის საცდელი პროექტი, რომელიც აღმოსავლური ხელოვნების კოლექციების მაგალითზე განხორციელდა; მეოთხე კომპონენტს კი სამუზეუმო სტანდარტების პაკეტის მომზადება წარმოადგენდა. საბოლოოდ, ამ დოკუმენტმა განსაზღვრა მუზეუმის შიდა სტანდარტები საზოგადოებასთან ურთიერთობის, გამოფენებისა და ექსპონატების დროებით გადაცემის შესახებ პარტნიორობასა და სამართლებრივ საკითხებზე.

გამოფენა „აღმოსავლური ხელოვნების კოლექციის ახალი სიცოცხლე“

აღმოსავლური ხელოვნების კოლექცია

17 სექტემბერს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გაიხსნა წლის ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი და შინაარსობრივად დატვირთული გამოფენა სახელწოდებით: „აღმოსავლური ხელოვნების კოლექციის ახალი სიცოცხლე“.

როგორც გამოფენის გახსნაზე, ისე შემდეგ დღეებშიც, დამთვალიერებელთა დიდი ნაწილი ვერ მალავდა გაოცებას იმის შესახებ, თუ რამდენად მდიდარი მასალაა დაცული შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების ფონდებში.

ეგვიპტური მუმია და სარკოფაგი, VIII საუკუნით დათარიღებული, პერგამენტზე შესრულებული ყურანის ფურცელი, დაზგური, მინიატურული და ლაქის ფერწერის ნიმუშები ჩინეთიდან და იაპონიიდან, აბრეშუმზე შესრულებული ჩინური ფერწერა და ბრინჯის ქაღალდზე დახატული კომპოზიციები, ლითონის და კერამიკის ჭურჭელი, XIV-XIX საუკუნეებით დათარიღებული ჩინური ლარნაკები, ძვირფასი ლითონის საბრძოლო იარაღი – გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულ 180-მდე ეგვიპტური, ისლამური სამყაროსა და შორეული აღმოსავლეთის კულტურის შედევრები, რომლებიც მართლაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

გამოფენას გამორჩეულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ იქ წარმოდგენილ ბევრ ნივთს საკონსერვაციო სამუშაო ჩაუტარდა.

მუზეუმში შექმნილი შეუფერებელი გარემოს გამო ექსპონატთა დიდი ნაწილი მრავალი სახის ბიო-ბაქტერიულ დაზიანებას განიცდიდა. შესაბამისად, მათი გამოფენა შეუძლებელი იყო, რადგან ზოგიერთი მათგანის მდგომარეობა სულ უფრო მძიმდებოდა. უამრავი უნიკალური ნივთი გადარჩენას საჭიროებდა. სწორედ ეს დაისახეს მიზნად ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა, რომლებმაც, გერმანელ კოლეგებთან ერთად, დაამუშავეს და გაწმინდეს აღმოსავლური ხელოვნების კოლექციების დაზიანებული ნივთები, აღწერეს ისინი და ციფრულ ფორმატში გადაიტანეს; გამოფენაზე გატანამდე კოლექციები ეროვნული მუზეუმის ახალ საცავებში განათავსეს, სადაც მათი შენახვისა და მოვლისთვის ყველა აუცილებელი თანამედროვე სტანდარტია დაცული.

აღმოსავლური ხელოვნების კოლექციის დამუშავება, აღრიცხვა-დიგიტალიზაცია და ახალ საცავში განთავსება გახლდათ „თვინინგის პროექტის“ ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი და ერთგვარი ექსპერიმენტიც კი იმ გაგებით, რომ ამ პროექტის უშუალო მიმდინარეობისას ეროვნულ მუზეუმში პირველად შემუშავდა ხელოვნების ნიმუშების ახალ საცავ შენობაში გადატანისთვის და კონსერვაციისთვის საჭირო ინსტრუქციები.

ყველა თანამედროვე მუზეუმში არსებობს მსგავს ინსტრუქციათა დეტალური ჩამონათვალი, ანუ იმ საფეხურების თანმიმდევრობა, რომლებიც კოლექციების ევაკუაციის პროცესის უსაფრთხოებისა და კვალიფიციურობის გარანტია. ასეთი დოკუმენტი ეროვნულ მუზეუმში არ არსებობდა. აღმოსავლური ხელოვნების კოლექციის ევაკუაციისას კი, გერმანელი კონსულტანტების დახმარებით, ქართველმა სპეციალისტებმა უშუალოდ მუშაობის პროცესში შეიმუშავეს მსგავსი წესები.

პირველ ეტაპზე საჭირო იყო ანალიტიკური სისტემის შექმნა ფონდებში დაცული იმ ნივთების აღსანუსხად, რომლებიც მაქსიმალური რისკის ქვეშ იმყოფებოდა. ამ სისტემის შექმნის შემდეგ კოლექციის დეტალური აღწერა ჩაუტარდა დაზიანებების გამოსავლენად და საჭირო პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად. შემდეგ ეტაპზე დაიწყო რესტავრატორების მიერ დიაგნოსტიკური შემოწმების, ნივთების გაწმენდის და შეფუთვის პროცესი. პარალელურად ახალი ავეჯით, ტენიანობის მარეგულირებელი დანადგარით და დაცვის თანამედროვე სისტემით მოეწყო ფონდსაცავი, სადაც აღმოსავლური ხელოვნების კოლექცია უნდა განთავსებულიყო. „თვინინგის“ პროექტის ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი ორმაგი შედეგით დასრულდა: ერთი მხრივ, დამუშავდა და აღდგა უიშვიათესი ექსპონატები აღმოსავლური ხელოვნების კოლექციიდან და შემუშავდა წესებისა და ინსტრუქციების პაკეტი, რომელიც მომავალში მუზეუმში დაცულ ძვირფას ნივთებზე ზრუნვას უფრო კვალიფიციურ, სისტემატიზებულ პროცესად აქცევს. სექტემბერში გახსნილი გამოფენა ყველაზე ცოცხალი ილუსტრაციაა იმისა, რომ მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშები უკვე მართლაც ახალ სიცოცხლეს იწყებს თანამედროვე სტანდარტების მიხედვით აღჭურვილ და უსაფრთხო გარემოში.

ხელოვნების ნიმუშთა საცავი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის რეორგანიზაციის გეგმაში ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი კიდევ ერთი კომპონენტის დამატება იყო. ესაა ხელოვნების ნიმუშთა საცავის შექმნა. ეს იქნება უახლესი დანადგარებით აღჭურვილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გამართული სარესტავრაციო-საკონსერვაციო, დიაგნოსტიკური ლაბორატორიებისა და ფონდების სისტემა, სადაც რესტავრაციის, კონსერვაციისა და კვლევისთვის თავს მოიყრის მუზეუმში დაცული ყველა ტიპის ნივთი. ჩანაფიქრის მიხედვით ცენტრი მეზობელი ქვეყნების მუზეუმებსაც დაეხმარება სამეცნიერო კვლევასა თუ რესტავრაციაში, რადგან ამიერკავკასიის მასშტაბით ის, თავისი დანიშნულებითა და შესაძლებლობებით, სრულიად უპრეცედენტო იქნება.

ხელოვნების ნიმუშთა საცავის კონცეფციის ავტორია ფრანგი არქიტექტორი ჟან-ფრანსუა მილუ, რომელმაც პირველადი კონცეფციის მონახაზი და მთავარი ასპექტები ეროვნული მუზეუმის დირექტორთან და წამყვან სპეციალისტებთან კონსულტაციების შედეგად დაამუშავა. უშუალოდ პროექტი კი „თვინინგის“ ფარგლებში, ბერლინის

მუზეუმების გაერთიანების წამყვანი სპეციალისტების დახმარებით, ეროვნული მუზეუმის არქიტექტურისა და სამშენებლო სამსახურის ჯგუფმა მოამზადა. სამშენებლო ანალიზი, მშენებლობის დაგეგმარება, არქიტექტურა, საცავების, სარესტავრაციო სახელოსნოების და კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვა – თითოეულ ამ საკითხზე მსჯელობისას ქართველ სპეციალისტებს გერმანელები უწევდნენ კონსულტაციას.

უკვე ცნობილია, რომ გუდიაშვილის ქუჩაზე, ხელოვნების მუზეუმის გვერდით, ახალი შენობა აშენდება, სადაც განთავსდება ხელოვნების ნიმუშთა საცავი, რომელშიც ყველა ტიპის ექსპონატის კვლევა და აღდგენა იქნება შესაძლებელი – ფერწერისა და გრაფიკის, ქაღალდის, მინისა და ქსოვილის, კერამიკის, ლითონისა და ხის.

მეორე ფუნქცია, რომელსაც ცენტრი შეითავსებს, შ. ამირანასშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმის, ს. ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმისა და დ. შევარდნაძის სახ. ეროვნული გალერეის კოლექციების შენახვაა. წინასწარი გეგმის მიხედვით, ახალ შენობაში გამოიყოფა დიდი ფართი ფონდების გადასატანად, რომლებიც სამზეუმო ნივთების დასაცავად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა.

კიდევ ერთ საგულისხმო დეტალს უნდა გაესვას ხაზი: ესაა ახალ ცენტრში ფონდების მოწყობის საკითხი. "თვინინგის" პროექტის ფარგლებშივე განხორციელდა ეროვნულ მუზეუმში შემავალი ყველა ექსპონატის დიგიტალიზაცია. კომპიუტერულ ბაზაში დაფიქსირდა თითოეული ნივთის ზომა, წონა, მდგომარეობა და ფოტო. სწორედ ამ მონაცემების შეჯამების და გათვალისწინების შემდეგ დაიგეგმა ხელოვნების ნიმუშთა საცავის ფონდებისა და ლაბორატორიების ფართობები.

თანამედროვე სტანდარტები და აღჭურვილობა – ეს ორი კომპონენტი დაედება საფუძვლად მთელი ცენტრის კონცეფციას. სწორედ უახლესი აპარატურის წყალობით იქ არა მარტო რესტავრაცია-კონსერვაცია ჩატარდება, არამედ შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ექსპონატის ისეთი კომპლექსური მეცნიერული კვლევა, როგორიც დღეს, მაგალითად, გერმანიაშია შესაძლებელი. ცენტრის გახსნის შემდეგ კი მსგავსი კვლევის ჩასატარებლად უკვე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის მუზეუმებსაც აღარ დასჭირდებათ ექსპონატების ევროპაში გაგზავნა. კვალიფიციური რესტავრაცია-კონსერვაცია და უახლესი მეთოდებით კვლევა – ეს ყველაფერი უკვე თბილისში იქნება შესაძლებელი. ■

საქართველოს მინი-მოდელი

პროექტი > მარიამ სამადაშვილი

ნიგვზიანის სამზადი სახლის იატაკზე ახლა უკვე თიხატკეპნილია დაგებული, ინტერიერიც გაფორმებულია მაგიდითა და სკამებით, კარადებით და თიხის ჭურჭლით – კეცით, ქოთნებით. იქაურობას არც ოჯინჯარი აკლია (საკიდი, რომლითაც დიდ ქვაბს შუაცეცხლამდე უშვებენ).

ასოფლიოში პირველი ღია ცის ქვეშ მუზეუმი ნორვეგიაში, ოსლოს სიახლოვეს, მეფე ოსკარ მეორეს 1881 წელს დაუარსებია. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ღია ცის ქვეშ მუზეუმი კი შვედეთში მდებარეობს. სკანსენი – ასე ჰქვია მუზეუმსა და ზოოპარკს, რომელიც ნორვეგიული წამოწყებით შთაგონებულმა არტურ ჰაზელიუსმა სტოკჰოლმში 1891 წელს დააფუძნა. სკანსენში, წლების განმავლობაში, ღია ცის ქვეშ მუზეუმის კონცეფცია იმდენად განვითარდა და დაიხვეწა, რომ ამ სახელს უკვე ზოგადად, ღია ცის ქვეშ მუზეუმების სინონიმადაც კი იყენებენ. სწორედ სკანსენია მოდელი, რომლისკენაც საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი მიისწრაფვის.

მოკლე ინფორმაცია

თბილისში, კუს ტბის ასახვევში, მწვანეში ჩაფლული ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელიც საქართველოს მინიატურული მოდელია, 1966 წელს ეთნოგრაფმა გიორგი ჩიტაიამ დააარსა. ღია ცის ქვეშ გაშენებული „საქართველო“ დაახლოებით 50 ჰექტარს მოიცავს და თერთმეტ ზონადაა დაყოფილი, მათგან ხუთ ზონაში აღმოსავლეთ საქართველოა წარმოდგენილი, ხუთში კი – დასავლეთი. მეთერთმეტე ზონა ისეთ ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს ეთმობა, როგორებიცაა V-VI საუკუნეების სიონის ბაზილიკა და აკლდამა და ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებული აფხაზური დოლმენი. აქვეა დაცული საფლავის ქვების მდიდარი კოლექცია.

გეოგრაფია

საქართველოს სხვადასხვა კუთხე საცხოვრებელი კარ-მიდამოებითაა წარმოდგენელი – ძირითადი საცხოვრებელი სახლი, ეზო და ეზოში არსებული სოფლური ცხოვრებისთვის აუცილებელი დამატებითი ნაგებობები – სამზადი, ბეღელი და ნალია. სამცხე-ჯავახეთს, გურიას, სამეგრელოს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, აფხაზეთს, აჭარას, სვანეთს, ქართლსა და კახეთს ამ რეგიონებიდან ჩამოტანილი 70-მდე ნაგებობა წარმოადგენს. სულ მუზეუმში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი 8000-მდე ექსპონატია დაცული.

ტრანსფორმაცია

მუზეუმი გარდამავალ ეტაპზეა – მიმდინარეობს მისი მოდერნიზაცია, რაშიც ადმინისტრაციას UNESCO-სთან დადებული ხელშეკრულება ეხმარება. პროექტი „გიორგი ჩიტაიას სახელობის ღია ცის ქვეშ მუზეუმის რესტავრაცია და განახლება, მესამე ფაზა“ რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს: პირველი და უმნიშვნელოვანესი მუზეუმში დაცული კოლექციებისა და მათში შემავალი 8000-მდე უნიკალური ექსპონატისთვის ახალი საცავის აშენებაა, რადგან არსებული საცავი ამორტიზებულ შენობაშია განთავსებული. უკვე მიმდინარეობს ახალი საცავის პროექტირება, რომელიც მუზეუმის ტერიტორიაზე აშენდება.

მეორე მნიშვნელოვანი პროცესი მუზეუმში დაცული ნივთების ძველ დავთრებთან შეჯერებას და, რაც მთავარია, დიგიტალიზაციას გულისხმობს. ექსონატების მონაცემთა ციფრული ბაზის შექმნით, სასურველი ნივთის პოვნა მნიშვნელოვნად გამარტივდება, და, რაც მთავარია, ღია ცის ქვეშ მუზეუმი მეტად მიუახლოვდება იმ თანამედროვე სტანდარტებს, რითაც ამ ტიპის ევროპული მუზეუმები გამოირჩევიან.

მუზეუმის ადმინისტრაციული მენეჯერი დავით ქაჯაია კიდევ ერთ სიახლეზე ყვება – დასრულდა XIX-საუკუნის მეგრული საჯალაბო სახლის რეკონსტრუქცია. ის უკვე იქცა მუზეუმის ყველაზე ცოცხალ და ინტერაქტიულ ადგილად. ძველი, მეგრული სამზადის სანახავად მისულ დამთვალიერებელს ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ოჯახის უფროსი, დიასახ-

ლისი და ბავშვები ხვდებიან. მასპინძლები გარდა იმისა, რომ სტუმრებს სახლისა და ოჯახის ისტორიაზე და ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებზე მოუთხრობენ, იქვე, შუაცეცხლზე მოხარშულ ღომსაც სთავაზობენ. საჯალაბოსთვის გამოყოფილ ადგილზე დათესილია უძველესი ჯიშის ღომი, სიმინდი და ლობიო.

ვიდრე შუაცეცხლზე ღომი იხარშება, ოჯახის უფროსი სტუმრებს რეწვის პროცესში რთავს და, მაგალითად, გიდელის დაწვნას ასწავლის – ასე დამთვალიერებელი ქართულ საყოფაცხოვრებო კულტურაზეც შეიქმნის წარმოდგენას და დროსაც ხალისიანად და საინტერესოდ გაატარებს.

„ჩვენი მთავარი მიზანია, სტუმარს საჯალაბოში შესვლისთანავე XIX საუკუნის აბაშაში ვაგრძნობინოთ თავი. ძალიან ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი ასეთი „ცოცხალი“ ადგილი შევქმნათ“ – ამბობს დავით ქაჯაია.

UNESCO მუზეუმთან კიდევ ერთ საკითხზე თანამშრომლობს: მუზეუმში ქართული რეწვის საზაფხულო სკოლა მოქმედებს, რომელშიც თემატური კვირეულების ფარგლებში სხვადასხვა საქმის ხელოსნები – მეთუნეები, მჭედლები, დაზგაზე მქსოველები სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს ქართულ ხელსაქმეს ასწავლიან. ასეთი საზაფხულო სკოლა შარშანაც მუშაობდა და ძალიან წარმატებული ყოფილა.

რესტავრაცია

იმისთვის, რომ ღია ცის ქვეშ გაშენებული საქართველოს მინი-მოდელი თანამედროვე ტიპის, ცოცხალ და ინტერაქტიულ სივრცედ იქცეს, პირველ ეტაპზე სახლების აღდგენა-გამართვაა საჭირო. ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებითა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის დახმარებით, გაზაფხულზე, გურიის ზონაში, ორი სახლის რესტავრაცია დასრულდა. ერთ-ერთი XIX საუკუნის ნაგებობაა, რომელიც 1969 წელს სოფელ ნიგვზიანიდან ჩამოუტანიათ თბილისში.

აქ სახლები სხვადასხვა სოფლიდან სხვადასხვა დროსაა გადმოტანილი. საგანგებო ექსპედიციების დროს ჯერ არქიტექტორი, რესტავრატორი და ეთნოგრაფი რწმუნდებოდნენ, რომ შერჩეული სახლის კედლები და საძირკველი კარგ მდგომარეობაში იყო, სახლი კი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ღირებული და მხოლოდ ამის შემდეგ ყიდულობდნენ ნაგებობას მფლობელისგან, შლიდნენ მას, დეტალებს ნომრავდნენ და თბილისში გადმოჰქონდათ, სადაც მას ხელახლა აწყობდნენ.

ამ ყველაფრის სპეციალისტი ჩვენი დურგალი, თამაზ გორდიაშვილიაო – მეუბნებიან მუზეუმში და „გურიისკენ“ მიმიძღვიან. იქ, ეზოს ბოლოში, ერთსართულიანი, ფიცრული სახლი ჩანს, წინკარში კი დურგალი მეგებება, რომელიც უკვე 42 წელია, ანუ მუზეუმის დაარსების დღიდან, აქ მუშაობს. ბატონ თამაზს წლების მანძილზე 75-მდე ნაგებობა აქვს განახლებული – ზოგი კაპიტალურად, ზოგი პრევენციულად, დაზიანებას გააჩნია. ჩემი მუზეუმში სტუმრობის დროს ის გურულ სამზადზე მუშაობდა. 50 კვადრატული მეტრის სიდიდის ოთახის შუაში კერიაა – შუაცეცხლი, რომელზეც ძველ დროში საჭმელი მზადდებოდა. მარჯვენა მხარეს, კედლებს შორის, ხის გრძელი ფიცარია გადებული. „ეს მოსასვენებელია“ – ამბობს ბატონი თამაზი, რომელსაც ხეზე მუშაობით გაუხეშებულ ერთ ხელში ფანქარი უჭირავს, მეორეში კი ფიცრის მოკლე, თხელი ნაჭერი. ბატონი თამაზი რესტავრაციის თავისებურებებზე მელაპარაკება და მიხსნის, რომ სახლის განახლება იმავე მასალით უნდა მოხდეს, რითაც ის თავდაპირველადაა აგებული: თუ კედელები მუხისაა, აუცილებლად მუხითვე უნდა შეიცვალოს. როგორც აღმოჩნდა, ნიგვზიანის სამზადი წაბლითაა ნაგები და ბატონმა თამაზმა ის წაბლითვე შეცვალა. თუ დროდადრო, 10-15 წელიწადში ერთხელ ისლიც გამოიცვლება, რითაც ეს შენობაა გადახურული, სამზადი კიდევ ერთ საუკუნეს გაძლებს. კედლებსაც არაფერი მოუვა, რადგან შუაცეცხლი ანტისეპტიკურია და ნაგებობას ჭიისა და სხვადასხვა მღრღნელისგან იცავს.

„ეთნოგრაფიული მუზეუმის რეაბილიტაციის“ პროექტის კოორდინატორი, მიხეილ გაფრინდაშვილი მეუბნება, რომ ხის სახლებზე მუშაობის ის ცოდნა და გამოცდილება, რაც ბატონ თამაზს აქვს, უნიკალურია. ამიტომ მნიშვნელოვანია, მისგან ეს საქმე ახალი თაობის დურგლებმაც ისწავლონ. ამ მიზნით, გურული სამზადის რეაბილიტაციის დროს, მუზეუმის ახალბედა დურგალს, ვანო ჯაჯანიძეს, სპეციალური დავალებაც კი ჰქონდა – თამაზ გორდიაშვილისგან თითოეული ნიუანსი გაეგო; კეთდებოდა სპეციალური ჩანაწერებიც, რომელთა გამოყენებაც სხვა დურგლებს შეეძლებათ სახლების აღდგენის დროს.

მიშა გაფრინდაშვილი კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს მიხსნის: რესტავრაციის დროს მთავარი მიზანი იყო, ძველი, ავთენტური მასალა შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინათ. თუ ხის რომელიმე ნაწილი დაზიანებული იყო, მხოლოდ იმ ნაწილს ანაცვლებდნენ

საჯალაბო სახლი, გაცოცხლებული კერა

ახალი ნაჭრით, – ამას ბატონი თამაზი პროტეზირებას ეძახისო – ამბობს მიშა გაფრინდაშვილი.

„ამ მუზეუმში 70-მდე ნაგებობაა, უმეტესობა ასწლოვანი სახლია და მუზეუმში 1960-იანი წლებიდანაა გადმოტანილი. მთელი ამ დროის განმავლობაში სრული რესტავრაცია არც ერთ მათგანს არ ჩატარებია, თუ არ ჩავთვლით ამ ბოლო პროექტებს. ახლა ვიცით, რომ თითოეული ეს ნაგებობა ზუსტად იმ გამოცდილების გათვალისწინებით უნდა აღვადგინოთ, რომელიც ნორვეგიელებთან თანამშრომლობისას დავიგროვეთ“.

ნიგვზიანის სამზადი სახლის იატაკზე ახლა უკვე თიხატკეპნილია დაგებული, ინტერიერიც გაფორმებულია მაგიდითა და სკამებით, კარადებით და თიხის ჭურჭლით – კეცით, ქოთნებით. იქაურობას არც ოჯინჯარი აკლია (საკიდი, რომლითაც დიდ ქვაბს შუაცეცხლამდე უშვებენ).

ბატონი თამაზი მეუბნება, რომ ეს სახლი ძალიან ჯანმრთელია, რადგან ხე სუნთქავს, სახლი კარგად ნიავდება, ისლი კი ზამთარში თბილია, ზაფხულში – გრილი. თუმცა ხით და ისლით ნაგები სახლები დღეს მხოლოდ მაღალმთიან გურიაში გვხვდება – გაჭვარტლული და მოუხერხებელი საცხოვრებელი ახალგაზრდებს არ მოსწონთო – მიხსნის დურგალი და სევდიანი ღიმილით აგრძელებს – არადა, ჩვენი წინაპრები დიდხანს რომ ცოცხლობდნენ, ეს იმიტომაც იყო, რომ ჯანმრთელ სახლებში ცხოვრობდნენო.

სამზადი ოდა სახლის დამატებით ნაგებობად მიიჩნევა. თვითონ ოდა-სახლი კი სტუმრების მისაღები და მოსასვენებელი ადგილია, რომელიც მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე მაინც უნდა დაიდგას, ნესტისგან რომ იყოს დაცული. ოდა-სახლი სამ ან ოთხოთახიანია. როგორც წესი, სახლში სამი ბუხარია, რომლითაც მთელი სახლი თანაბრად თბება. ასევე ტრადიციისამებრ, გურული ეზო კარგად უნდა იყოს მოვლილი, მიხსნის დურგალი.

ასე რომ, კუს ტბის ასახვევში, მწვანეში ჩაფლულ მუზეუმში დიდი სიახლეებია. იქ განსატვირთად ასულ თბილისელებს ყოველდღე შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში, რომელიც ქართულ ტრადიციულ ყოფას აცოცხლებს. ■

ბეღელი ბაღუ სამეგრელოდან

ქართლის დარბაზი თელიანიდან

ხევსური მეომრის
აღჭურვილობა

იარაღის გარემოცვაში

ფონდი > ქეთევან ნებიერიძე

იარაღის ფონდის კურატორი მამუკა ქაფიანიძე სპეციალურ ხელთათმანს ირგებს, თოფს ფრთხილად ეხება და მეუბნება: „ეს ერეკლეს ნაქონი თოფია. ნახე წარწერა?!“ – ვკითხულობ: „მტერო გძლევ აჯიმუსტაფით, მეფე ირაკლი ჭეშმარიტ შემწეობით“. აჯიმუსტაფა ამ თოფს ჰქვია?“ – ვეკითხები. მამუკა მიხსნის: „აჯიმუსტაფა იმ ეპოქაში სახელგანთქმული დაღესტნელი მელულე ყოფილა. ყველაზე რთული და ყველაზე მნიშვნელოვანი თოფის შემთხვევაში ლულის დამზადებაა; ეს აჯიმუსტაფა კი ისეთ ლულებს ამზადებდა თურმე, რომ თოფსაც მისი სახელი ერქვა...“ ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდში ვართ. აქ მეფე ერეკლეს რამდენიმე თოფი და კიდევ უამრავი ძალიან საინტერესო ნივთი ინახება. ახლა, სპეციალურად ჩვენთვის, მამუკა ქაფიანიძე საქართველოს სამხედრო ისტორიაში გვამოგზაურებს.

იარაღის ფონდში იატაკიდან თითქმის ჭერამდე, რამდენიმე რიგად, სპეციალური კარადებია აღმართული. ვერტიკალურ თაროებზე თოფები, ჰორიზონტალურად – ხმლები, ხანჯლები ინახება. სპეციალურ საკიდებზე ჯაჭვის პერანგები, მუზარადები, ჩაჩქნები, ფარები და შურდულებია განთავსებული.

ყველაზე ძველი ამ ფონდში XIII საუკუნით დათარიღებული, ე.წ. ჯალალედინის მუზარადია. ეგრეთ წოდებული იმიტომ, რომ ლეგენდის მიხედვით, მუზარადი, რომელიც ცნობილ ეთნოგრაფს, გიორგი ბოჭორიძეს მრავალძალის ეკლესიიდან მუზეუმში 1930-იან წლებში გადმოუტანია, ჯალალედინს ეკუთვნოდა. ლეგენდა გვეუბნება, რომ ხვარაზმთა იმპერიის ბოლო მმართველისთვის მუზარადი ბრძოლის დროს ქართველ თავადებს, ამირეჯიბებს წაურთმევიათ. მამუკა მიხსნის, რომ ეს მხოლოდ ლეგენდაა, რომელიც XV საუკუნის „ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელით“ დასტურდება. ამაზე უფრო სანდო საბუთი, რომ მუზარადი მართლაც ჯალალედინს ეკუთვნის, არ გვაქვს, თუმცა პერიოდი მართლაც ემთხვევა.

მუზეუმის იარაღის ფონდი თითქმის ყოველწლიურად ახლდება. ახალ-ახალი ნივთების წყარო მთიანი საქართველო, განსაკუთრებით კი სვანეთია. შარშან, მაგალითად, მამუკა ქაფიანიძეს 1930-იან წლებში დამზადებული დანა სწორედ სვანეთში უპოვნია – მეგობართან ოჯახში. მასპინძელმა როცა გაიგო, დანა სამუზეუმო ექსპონატი იყო, დაუფიქრებლად აჩუქა მუზეუმს.

მნიშვნელოვანწილად სწორედ კერძო კოლექციების მეშვეობით შეივსო იარაღის ფონდი იაპონური, ჩინური, შუაზიური, ინდური, ევროპული, თურქული, სპარსული თუ რუსული საბრძოლო ატრიბუტიკით. აი, მაგალითად, 1920-იან წლებში მოღვაწე ქართველი სამხედროს, ზურაბ კობიაშვილის ისტორია. მისგან, თურმე, მუზეუმს 1925 წელს საბრძოლო იარაღისა და ბუდისტური ნივთების დიდი კოლექცია შეუძენია. კობიაშვილი, რომელიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა, იარაღის დიდი მოყვარული ყოფილა და ამ მოგზაურობების დროს შეუგროვებია ეს უნიკალური ნივთები.

ფონდში XVIII საუკუნის იაპონელი სამურაის აღკაზმულობაც კი აქვთ, ძველი ამერიკული ვინჩესტერების, XVIII საუკუნის გერმანული მუზარადების თუ აფრიკული შუბების გარდა.

თუმცა, რაც ყველაზე მეტად ეამაყებათ მეცნიერებს იარაღის ფონდში, ქართული საბრძოლო ხელოვნების ნიმუშებია.

მამუკა მიხსნის, რომ განსაკუთრებული ნივთი საბრძოლო ექსპონატებს შორის ფარია, რადგან მას ბევრი რამის „მოთხრობა“ შეუძლია სხვადასხვა ხალხის კულტურის შესახებ. „შეიძლება ზოგ ხალხს ხმლის და თოფის აწყობის საშუალება და ცოდნა არც ჰქონოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ფარებს რთავდნენ თავიანთი კულტურისთვის დამახასიათებელი ორნამენტებით“ – ამბობს მამუკა ქაფია-

1)

2)

3)

4)

1) სამურაის მუზარადი
იაპონია, XVIII-XIX სს.

2) ივანე მუხრანბატონის ჩაჩქანი
ქართული, XVIII ს.

3) აფთარი, საცერული
ხევსურული, XVIII-XIX სს.

4) ხვეულა, საცერული
ხევსურული, XVIII ს.

1)

2)

3)

4)

1) გორდა, ქართული
XVIII ს.

2) კილიჩი, თურქული
XVIII ს.

3) კალდიმი, ქართული
XVIII ს.

4) შურდული, ქართული
XVIII ს.

5) ცული ორფრთიანი, სპარსული
ფოლადი, ოქროსა და ვერცხლის ზარნიში,
XVII-XVIII სს.

6) კვერთხი ძროხისთავიანი, სპარსული
ფოლადი, სპილენძის და ვერცხლის ზარნიში,
XVII-XVIII სს.

7) ცული საბრძოლო, სპარსული
ფოლადი, ოქროს ზარნიში, ხე და ფერადი
საღებავები, XVII-XVIII სს.

5)

6)

7)

ნიძე და ფონდში დაცულ რაჭულ, ხევსურულ, კახურ ფარებზე მიამბობს: „აი, ეს რაჭული ფარი: როგორც წესი, მას ხარის ან ღორის ტყავისგან ამზადებდნენ, რაჭველებს კი ჯაგარი არ მოუშორებიათ ამ ფარისთვის და ზედვე აქვს შერჩენილი“.

„ეს ფარი მიყვარს ძალიან – ინდურს ჰგავს თავისი მორთულობით, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. დააკვირდი, ამ ორნამენტებით როგორი ჯვრები იკვრება, ჩვენებური უნდა იყოს“ – ვარაუდობს მამუკა ქაფიანიძე. შემდეგ კიდევ ერთ ექსპონატზე დაკვირვებას მთხოვს: „ნახე, როგორაა დამუშავებული ეს ფოლადი. ამას ბულატის ფოლადს ეძახიან, დღემდე დაუდგენელია, როგორ იღებდნენ ძველად ამ ფაქტურას“.

თურმე, გამორჩეულად სახასიათოა ხევსურული ფარი და ხმალი. რომელ ქვეყანაშიც უნდა დაბეჭდონ სამხედრო თემაზე კატალოგი, თუ მასში ხევსურული ხმალი შეაქვთ, აუცილებლად კონკრეტულად მიუთითებენ ხოლმე, რომ ის ხევსურულია, იმდენად გამორჩეული სტილი აქვთ ხევსურებსო – განმარტავს კურატორი.

ქართული წარმოების იარაღი იმ პოლიტიკური გავლენების შესახებაც „გვიამბობს“, რასაც საქართველო საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა. ასე, მაგალითად, ირანული ტიპის ქართული ხმალი ირანული გავლენის შედეგია.

საერთოდ, საუკეთესო ფოლადის წარმოებით საქართველო ყოველთვის ყოფილა ცნობილი. ცივი იარაღის მრავალფეროვნებაზე ტერმინოლოგიის სიუხვეც მეტყველებს. ჭოლაური/ლეკური, დავითფერული, დედალი ფრანგული, მამალი ფრანგული, გველისპირული, გორდა, კალდიმი, თბილისური, კაბიანი – ეს სულ ხმლების ნაირსახეობებია, რომლებსაც საუკუნეების წინ ქართველი მჭედლები ამზადებდნენ. ზოგიერთ მათგანს განსაკუთრებული სიზუსტით აღწერს სულხან-საბა ორბელიანი, ზოგიერთი მათგანი კი ამა თუ იმ კუთხის ხალხურ პოეზიაშიც კი

ძალიან ხშირადაა ნახსენები.

„შემდეგ შემოვიდა ცეცხლსასროლი იარაღი და მთელი ეს აღკაზმულობა – სამუხლეები, საფუხრეები, საცერულები, ჯაჭვის პერანგები, ასევე მშვილდ-ისრები, საბრძოლო ცულები, ხმლები, დაშნები და მუზარადები უფუნქციოდ დატოვა“ – ამ ფრაზით გადავდივართ ცეცხლსასროლი იარაღის ეპოქაში.

როგორც მამუკა ქაფიანიძე მიამბობს, „ქართლის ცხოვრებაში“ თოფი პირველად XV საუკუნის მიწურულსაა ნახსენები იმ ბრძოლის აღწერისას, რომელიც ქართლში, კონსტანტინე მეფის ჯარსა და თათრების არმიას შორის გამართულა. თუმცა, არტილერიას ქართულ შეიარაღებულ ძალებში XVII საუკუნემდე არ იყენებდნენ. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს, მონღოლთა შემოსევის შემდეგაც ქართველები ძველებურად შეიარაღებულები გამოდიოდნენ ბრძოლის ველზე, მაგრამ ოსმალეთთან შეტაკებისას აშკარა გახდა, რომ ამგვარი შეიარაღება უკვე მოძველებული იყო.

მამუკა ქაფიანიძე იხსენებს, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსის დროს თარგმნილა არტილერიის სახელმძღვანელო, თუმცა ერეკლეს ეპოქამდე ქართული წარმოების ზარბაზანი არ გვქონია. ერეკლეს ინიციატივით, 1749 წელს თბილისში ჯაბახანა აუგიათ, თანამედროვე ენაზე – საარტილერიო ქარხანა, სადაც ციხის თოფებს, თოფ-იარაღსა და ზარბაზნებს ასხამდნენ. 1770 წელს ერეკლეს თოფისწამლის ქარხანაც აუგია.

ასევე მამუკა ქაფიანიძის ნაამბობის მიხედვით, რუსულ-ევროპული ტიპის ზარბაზნების ჩამოსხმა საქართველოში ვახტანგ VI-ის ძეს, პაატა ბატონიშვილს დაუწყია. რუსეთში განსწავლულ ბატონიშვილს საქართველოში მრავალი ტექნიკური სიახლე შემოუტანია, მაგრამ 1765 წელს, ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობის გამო, პაატა ბატონიშვილი სიკვდილით დასაჯეს და მისი ცოდნაც გამოუყენებელი დარჩა.

იარაღის ფონდში ქართველი მეფეების – ერეკლე მეორის, სოლომონ პირველის, სოლომონ მეორისა და გიორგი მეთორმეტის თოფებია დაცული, ასევე გიორგი სააკაძის თოფი და თეიმურაზ მეორის ზარბაზანი. აქაა ფითილიანი, გორგოლაჭიანი, კაჟიანი, ფისტონიანი და ნემსიანი ჩახმახების მქონე ცეცხლსასროლი იარაღი; აქვეა ე.წ. საქონეები (რომლებშიც მებრძოლები იარაღის გასაპოხად ცხიმს ინახავდნენ) და საპირისწამლეები.

1) თოფი (კაჟიანი) „მაჭახელა“
XVIII ს.

2) საპირისწამლე (დენთის ჭურჭელი)
XVIII-XIX სს.

3) დამბაჩა (კაჟიანი), თბილისური
XVIII-XIX სს.

4) მეფე ერეკლე II-ის თოფი (კაჟიანი), ქართული
XVIII ს.

5) გიორგი სააკაძის თოფი
XVIII ს.

თითოეულ ამ ნივთზე მუზეუმის კურატორებს დაუსრულებლად შეუძლიათ ლაპარაკი. მათი ხილვა კი სხვადასხვა გამოფენაზე შეგიძლიათ. ასე რომ, დაელოდეთ. ეროვნული მუზეუმის იარაღის უმდიდრეს კოლექციას აუცილებლად უნდა გაეცნოთ. ■

მოხალისე

მაჰანაზ ჰარისონი
ფულბრაიტის სტიპენდიანტი

მუზეუმის მეგობარი > თამარ ბაბუაძე

ე.წ. „ნერფ ბოლი“ ტიპური ამერიკული მსუბუქი ბურთია, რომელიც, რამდენიმე თვეა, მუზეუმში მიმდინარე ტრენინგების განუყრელ ატრიბუტად იქცა. ტრენერი, მაჰნაზ ჰარისონი ამ ბურთს იმ მონაწილეს დაუმიზნებს ხოლმე, რომელიც, შუა ტრეინინგში, გვერდით მჯდომთან გააბამს ჩურჩულით საუბარს – მოკლედ, ვინც ტრენინგს გამოეთიშება. „ბურთი, მგონი, მარტო დღეს არ გამომიყენებია, სულ მიწევს ხოლმე მისი სროლა და, ამ გზით, ყურადღებაგაფანტული მონაწილის უკან დაბრუნება“, – მიხსნის მაჰნაზ ჰარისონი ერთ-ერთი ტრენინგის დასრულების შემდეგ.

თებერვლიდან მოყოლებული, კვირაში ორჯერ მაინც, ორიდან ექვს საათამდე, ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს ეს ამერიკელი ქალბატონი ეფექტურ მენეჯმენტს, მართვის თანამედროვე მეთოდებს ასწავლის. მისი ბურთი კი ყველაზე თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ახალი და უცხოა „მოსწავლეებისთვის“ როგორც თვითონ საგანი, ისე – სასწავლო გარემო.

დღეს, ჯანაშიას მუზეუმის აუდიტორიაში, ათამდე თანამშრომელია შეკრებილი. ტრადიციული თხოვნა: გამორთეთ მობილური ტელეფონები, არ ილაპარაკოთ ერთმანეთთან. შემდეგ იწყება: დაუსვით თქვენ თავს კითხვა – გაქვთ თუ არა შემუშავებული სისტემა, როგორ მიიღოთ და გასცეთ დავალებები? რა შემთხვევაში შეიძლება გადააბაროთ სხვას საქმე და რისი გადანაწილება მიგიყვანთ უფრო ეფექტურად საბოლოო შედეგამდე? როდესაც დავალებას მისცემთ ხელქვეითს, უნდა აკონტროლოთ, თუ თავისუფლება უნდა მისცეთ? – მაჰნაზ ჰარისონის მიერ დასმული კითხვები იმდენად უნივერსალურია, რომ არა მარტო მუზეუმის, არამედ ყველა ტიპის დიდი ორგანიზაციის მენეჯერებისთვისაა აქტუალური. თვითონაც ასე ამბობს, რომ ხშირად თავის ცოდნასა და გამოცდილებას მენეჯმენტში იმ კონკრეტულ ორგანიზაციას უსადაგებს, რომელთან მუშაობაც უწევს. მაგალითად, წლების წინ, აშშ-ში, „ერთ პატარა თეატრს დავეხმარე სისტემის აწყობაში – მოხალისედ ვიმუშავე – და შემდეგ ეს მცირე დასი საკმაოდ სოლიდურ კომპანიად ჩამოყალიბდა“ – იხსენებს ის. თუმცა, თეატრისთვის ახალი ცხოვრების „დაგეგმვა“ მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო. 1987 წლიდან წარმოშობით ირანელი ამერიკელი, მაჰნაზ ჰარისონი, ჯანდაცვის სპეციალისტად მუშაობდა. დღემდე ჯანდაცვის სისტემებზე მუშაობს, ახლაც საქართველოში ფულბრაიტის სტიპენდიით იმყოფება და სიმსივნის მართვის სტრატეგიას ამუშავებს, პარალელურად კი მთელ თავისუფალ დროს სხვადასხვა საქმიანობას ახმარს მუზეუმის ჩათვლით – ამ დაწესებულბას ახალი სისტემისა და სტრუქტურის დახვეწაში ეხმარება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმით დავით ლორთქიფანიძესთან შეხვედრის შემდეგ, ჯერ კიდევ 2004 წელს დაინტერესდა. კითხვას – „დაგვეხმარებით?“ უყოყმანოდ უპასუხა – „რა თქმა უნდა“. ამის შემდეგ შეხვდა მუზეუმის სხვადასხვა განყოფილების უფროსებს, გაესაუბრა მათ ცალ-ცალკე და ჯგუფურად. სწორედ ამ დიალოგების დროს (მაჰნაზ ჰარისონი ძალიან ზუსტ და პირდაპირ კითხვებს სვამს) გამოკვეთა საკითხები, რომელთა დამუშავებაც ტრენინგებზე იყო საჭირო.

„ყველა წუწუნებდა, მაგალითად, უდროობაზე და მივხვდი, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც ტრენინგების ნაწილად უნდა მექცია, იყო სწორი დაგეგმვის მეთოდები და დროის ეფექტური მენეჯმენტი. ეს საჭირო უნარებია, რომელთა გარეშეც რთულია, შენს დაქვემდებარებში მყოფი ადამიანები მართო“, – ამბობს მაჰნაზ ჰარისონი.

მაჰნაზ ჰარისონმა იცოდა, ყველაზე მთავარი, რის გარეშეც ეფექტს ვერ

მიაღწევდა იყო ის, რომ ტრენინგის მონაწილეებს გვერდით უნდა გადაედოთ საკუთარი რეგალიები, სტატუსი და აჰყოლოდნენ ტრენერს თამაშში. „გამიკვირდა, ისე იოლად მივაღწიე ამას. აქ ყველა მონდომებულია და გახსნილია ახალი ცოდნის შესაძენად. ალბათ, ამიტომაც შეიმჩნევა ამ წლების განმავლობაში აშკარა პროგრესი“.

ყველაზე მნიშვნელოვანი ვორქშოფები ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ გარშემო ჩაატარა. სპეციალურად აირჩია სასწავლო შეხვედრებისთვის ეს ფორმატი – მეტი ინტერაქცია რომ ყოფილიყო ჯგუფის წევრებს შორის, თვითონ კი უკეთ რომ შეძლებოდა მათზე დაკვირვება.

ყოველ შეხვედრას თავისი თემა ჰქონდა. ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც მაჰნაზ ჰარისონმა ყურადღება გაამახვილა, გუნდური მუშაობის პრინციპები გახლდათ. „მონაწილეები დავყავი მცირე ჯგუფებად, მივეცი დავალებები და შემდეგ სპეციალურად, მიზანმიმართულად ვცდილობდი, ხელი შემეშალა მათთვის. მაინტერესებდა, რამდენად მჭიდრო და ეფექტური იყო მათი ერთობა. მოულოდნელად რომელიმე ჯგუფის ლიდერს და სპიკერს დერეფანში ვუშვებდი. წესით, ამით სუსტ გუნდს განაიარაღებ, არა? ისინი კი დერეფანშიც აგრძელებდნენ მუშაობას, შიგნით კი მაშინვე ირჩევდნენ ახალ ლიდერს საქმის გასაგრძელებლად. ერთ-ერთი სესიის დროს ჯგუფებს სხვადასხვა როლებს ვარგებდით. გვქონდა ე.წ. დამკვირვებელთა ჯგუფი, არაფრისმთქმელი სიტყვებით მოლაპარაკე ჯგუფი, მდუმარეთა ჯგუფი, რომელსაც ხმა არ უნდა ამოეღო. ისინი ამბობდნენ, რომ თავს დათრგუნულად გრძნობდნენ. მე კი ვეუბნებოდი – აი, ზოგჯერ მუზეუმში მოსული დამთვალიერებელიც ასევე უუფლებოდ გრძნობს თავს და იქვე ვსვამდით კითხვას – რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მუზეუმში მოსულმა სტუმრებმა იგივე არ განიცადონ; რომ პირიქით, მუზეუმი ყველასთვის სასიამოვნო, ღია სივრცედ იქცეს“, – ასე იხსენებს მაჰნაზ ჰარისონი პირველ ტრეინინგებს მუზეუმის მენეჯერებთან.

ტრენინგები დღესაც გრძელდება. იდეალური სისტემისგან მუზეუმი ჯერ შორს დგას, თუმცა, მაჰნაზ ჰარისონის აზრით, მუზეუმში განახლებისაკენ და წინსვლისკენ სწრაფვა მუდამ შეიმჩნევა.

ამ მონდომებას მაჰნაზ ჰარისონი განსაკუთრებით აფასებს. საქართველოში გატარებული დროის შემდეგ ის ხომ ადამიანებს მცირე ნიუანსებშიც კი ამჩნევს ჩვენი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ მთავარ პრობლემას. ესაა პოსტსაბჭოური სინდრომი – პასიურობის განცდა, გადაწყვეტილების საკუთარ თავზე აღების შიში, გუნდური მუშაობის, კონცენტრაციის, მიზნის მისაღწევად საჭირო თანმიმდევრული ნაბიჯების დაგეგმვის სირთულე. სწორედ ამის გადალახვაში ეხმარება მუზეუმის თანამშრომლებს მაჰნაზ ჰარისონი.

“ეროვნული მუზეუმი უკვე ბრენდია. ის მსოფლიომ აღიარა. ის საერთაშორისო რუკაზეა მონიშნული და, იმისთვის, რომ ამ სივრცეში კონკურენტუნარიან დაწესებულებად იქცეს, უნდა იმოქმედოს კიდეც ისე, რომ ნდობა და პატივისცემა დაიმსახუროს“, – ამბობს მაჰნაზ ჰარისონი და მოსწონს ის, რომ ქართველებისთვის ამ მნიშვნელოვან პროცესში თვითონაც მონაწილეობს.

პრინციპში, სწორედ ეს პროფესიული აზარტია ერთადერთი, რაც მაჰნაზ ჰარისონს მუზეუმში მუშაობას „ავალდებულებს“. ტრენინგების ორგანიზებაში, რასაც უდიდესი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ეკიდება, ის გასამჯრელოს არ იღებს. მაჰნაზ ჰარისონი მოხალისეა და, შეიძლება ითქვას, რომ მოხალისეობა მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფასეულობა და ცხოვრების სტილიცაა. პირველად სხვების უსასყიდლოდ დახმარება და ამ გზით საკუთარი პიროვნული და პროფესიული ზრდის მიღწევა სტუდენტობისას სცადა. საავადმყოფოში მივიდა და დასაქმება ითხოვა. საქმე იოლად უპოვნეს და მაჰნაზ ჰარისონი მიხვდა, რომ ეს სწავლის, ადამიანებთან ურთიერთობისა და პროფესიული გამოცდილების დაგროვების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მოქნილი ხერხი იყო. ამბობს, რომ მოხალისეობა ამერიკული თვისებაა, რომელიც ამერიკელებში, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტადაც მოსწონს. თავისი მონდომებით, პასუხისმგებლობის გრძნობით და ერთგულებით ცდილობს, მოხალისეობის არსი ქართველებსაც გააზრებინოს. ვფირობ, მუზეუმში ეს გამოსდის კიდეც.

მაჰნაზ ჰარისონი ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და გამოცდილი მოხალისეა, მაგრამ არა ერთადერთი. მოხალისეების დახმარებას მუზეუმი წლების განმავლობაში იყენებს. ახლა მას მიზნად აქვს დასახული, ეს მიმართულება კიდევ უფრო დახვეწოს. მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმების შექმნა და განვითარება დღეს ეროვნული მუზეუმის სტრატეგიის ნაწილია. ქველმოქმედებით, მუზეუმის წევრობით, კორპორაციებთან პარტნიორობით და, უბრალოდ, მოხალისეობით თქვენ ეხმარებით ეროვნულ მუზეუმს. თქვენი მხარდაჭერით მიიღებთ მონაწილეობას მუზეუმების შენობათა განახლებაში, მნიშვნელოვანი გამოფენების ორგანიზებაში, კოლექციების კონსერვაცია-რესტავრაციაში, საინტერესო საგანამანთლებლო პროგრამების ორგანიზებაში. მუზეუმის წევრთა პროგრამაში ჩართვა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია. სანაცვლოდ მივიღებთ გამოფენებზე უფასოდ შესვლისა და ექსპოზიციების წინასწარ დათვალიერების პრივილეგიას, ასევე ფასდაკლებებს მუზეუმის მაღაზიებში.

2011 წლის მაისიდან კიდევ უფრო ორგანიზებული ხასიათი შეიძინა მოხალისეთა პროგრამამაც. მუზეუმის ვებგვერდზე განთავსებული განცხადება ეხება ყველას, ვისაც მოხალისეობა სურს. ამ ადამიანებს მუზეუმი საკმაოდ ლიბერალურ, მაგრამ თან ძალიან მნიშვნელოვან პირობებს წაუყენებს: „ჰქონდეთ ამ სფეროში მუშაობის მოტივაცია და ახლის შეცნობისა და სწავლის სურვილი“.

მაჰნაზ ჰარისონს სწორედ ეს თვისებები აქვს და, იმედია, მსგავს განწყობას და მისწრაფებას საკუთარ თავში ჩვენც აღმოვაჩენთ. ■



ნატურმორტი

იგრძენი ფიროსმანი

საიუბილეო გამოფენა ეროვნულ გალერეაში

ხელოვნება > ეკატერინე კიკნაძე

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, აზიისა და ევროპის გასაყარზე მდებარე თბილისს თანაბრად ახასიათებდა აღმოსავლური კოლორიტულობა და ევროპული რაფინირებულობა. ხის აივნიან სახლებს მოდერნის სტილის არქიტექტურა ენაცვლებოდა, ჩოხოსნებისა და ვერცხლის ქამრიანი კინტოების გვერდით კი პარიზის უკანასკნელი მოდის მიხედვით გამოწყობილი ბატონები და ქალბატონები დააბიჯებდნენ ცილინდრებითა და შლაპებით.

ამ კონტრასტულ ქალაქში გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი ნიკო ფიროსმანმა, რომელიც გაცვეთილ ტანსაცმელთან ერთად, გონით და თვალით, მთელ ქართულ კულტურას დაატარებდა არქაულიდან თანამედროვემდე. ამ თვალსაზრისით, ფიროსმანის ხელოვნება სწორედ ის ხიდია, რომელიც შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობასა და XX საუკუნის ხელოვნებას ერთმანეთთან აკავშირებს. მასთან ორივე თანაარსებობს: ერთი მხრივ მონუმენტალიზმი, ფრესკული გარინდება და სულიერება, ხოლო მეორე მხრივ – გენიალური მხატვრული ხერხები, რომლებიც ავლენს, რომ თბილისის აზიურ ნაწილში მედუქნეებისა და ვაჭრების გარემოცვაში მცხოვრები ფიროსმანი ევროპელი მოდერნისტების მსგავსად აზროვნებს.

დიდი ადამიანებისთვის კი აზროვნება, სულიერი სამყარო და ყოფა, ხშირად, სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეა ფიროსმანის შემთხვევაშიც. მიუსაფარი და მარტოხელა, ამავე დროს, საოცარი შინაგანი ღირსებით სავსე ადამიანი იყო. თავმოყვარეობისა და სიდინჯის გამო ნაცნობები „გრაფს“ ეძახდნენ. სიდინჯე კახეთიდან მოსდგამდა. კახეთის განაპირა მხარეს, ქიზიყში, სადაც ფიროსმანი დაიბადა, ბატონყმობა არასდროს ყოფილა. და, ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ

კალოზე



შველი პეიზაჟის ფონზე

XX საუკუნის ქართული კულტურის ორი უდიდესი ფიგურა – უკიდურესად მძაფრად გამოვლენილი ინდივიდუალური საწყისით – ფიროსმანი და ვაჟა, ორივე უბატონო მხარიდან იყვნენ – ერთი ფშავიდან, ხოლო მეორე – ქიზიყიდან, ტრადიციის განცდისა და შინაგანი თავისუფლების მძლავრი სინთეზით.

მისი მხატვრობის დამფასებელთა წრეც ისევე კონტრასტულია, როგორც მისი ფერწერა: ერთი მხრივ ინტელექტუალები, მეორე მხრივ – მიკიტნები და მედუქნეები. ძმებმა კირილე და ილია ზდანევიჩებმა ფრანგ მხატვარ მიშელ ლე დანტიუსთან ერთად, ფიროსმანი ტრადიციულ თბილისურ სამიკიტნოში, „ვარიაგში“ აღმოაჩინეს. შემთხვევითი არ არის, რომ მიშელ ლე დანტიუს პირველი სიტყვები მის შესახებ იყო: „ეს თანამედროვე ჯოტოა!“.. ფრანგ მხატვარში ფიროსმანის სურათებმა „თამარ მეფე“, „ირემი“, „მონადირე თოფით“, „ერეკლე II“, „მწყემსი“ პირველი ასოციაცია სწორედ ევროპულ მხატვრობასთან გამოიწვია, ვინაიდან, როგორც ყველა დიდ მხატვართან, ფიროსმანის მხატვრობაში ერთნაირად მძაფრად არის გამოვლენილი როგორც ეროვნული, ისე ზოგადსაკაცობრიო ასპექტი.

ინტერესი მის მიმართ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ ყოველთვის დიდია. 1969 წელს ფიროსმანის გამოფენას ლუვრმა უმასპინძლა. 2007 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული უნიკალური კოლექცია, რომელიც მის 150 ნამუშევარს მოიცავს, არაერთხელ გამოიფინა საზღვარგარეთ: საფრანგეთში, თურქეთში, ლიტვაში, უკრაინაში, ჰოლანდიაში... 2008 წელს საფრანგეთში, ქ. ვეზლეში გამართული ფიროსმანის გამოფენის შემდეგ კი ეროვნულმა მუზეუმმა თბილისსა და სიღნაღში პიკასოს ნამუშევრებს უმასპინძლა ვეზლეს ცნობილი მუზეუმიდან.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში საიუბილეო გამოფენაზე „ფიროსმანი – 150“, მხატვრის 110 ნამუშევართან ერთად, გამოფენილია მისი თანამედროვე ქართველი მხატვრების – დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, კ. ზდანევიჩის, ე. ახვლედიანის, შ. ქიქოძის, დ. შევარდნაძის, ქ. მაღალაშვილის ნამუშევრები. მხატვრობა, რომელიც მასთან ერთად, ერთ დროსა და სივრცეში იქმნებოდა. გამოფენა წარმოადგენს XX საუკუნის 10-20-იანი წლების ქართული მოდერნიზმის საუკეთესო ნიმუშებს, „მოცულს“ ფიროსმანით. გამოფენის პარალელურად, ეროვნულ გალერეაში, დაგეგმილია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც საგანგებოდ მომზადდა სხვადასხვა ასაკის აუდიტორიისთვის. პროგრამის ფარგლებში ქართველი მეცნიერები, მწერლები და რეჟისორები საექსპოზიციო სივრცეში საჯარო ლექციის და დისკუსიის ფორმატში დაინტერესებულ აუდიტორიას ფიროსმანის ბიოგრაფიას და შემოქმედებას გააცნობენ.

ლეგენდები, ფრაგმენტული ცნობები მისი ცხოვრების შესახებ და უცნობი საფლავი – ესეც ფიროსმანის მისტიკის ნაწილია... დღეს აღარც ის დუქნები დგას, სადაც იგი კედლებს და მინებს აფორმებდა და აღარც ის ადამიანები დადიან, რომლებსაც ხატავდა. დარჩა მხატვრობა, დაცული ეროვნულ მუზეუმში. ჩვენთვის დიდი პატივია, წარმოგიდგინოთ ფიროსმანის ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოფენა.

ეწვიე ეროვნულ გალერეას და იგრძენი ფიროსმანი. ■

ახალციხის
მულტიკულტურული ისტორია

რეგიონი > ნინო მეგრელიძე

სამცხე-ჯავახეთში, მდინარე ფოცხოვის ორივე მხარეს გაშლილი ახალციხე იმ პატარა ქალაქების რიცხვს ეკუთვნის, ტურისტებზე წარუშლელი შთაბეჭდილების დატოვებას იოლად რომ ახერხებენ. კოლორიტული ძველი უბნით, რაბათის ციხე-სიმაგრითა და 18.500 მოსახლით, ახალციხე დღეს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ღირსშესანიშნაობად ითვლება საქართველოში. მისი განახლებული არქიტექტურის მოწონება-არმოწონება გემოვნების საკითხია. ის ისტორიული განძი კი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში ინახება, დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გთავაზობთ, ერთად ვიმოგზაუროთ ახალციხის წარსულსა და მის მუზეუმში.

პირველი მუზეუმი ახალციხეში XIX საუკუნის 80-იან წლებში ივანე გვარამაძეს გაუხსნია. ფართო საზოგადოებისთვის შესაძლოა ეს არცთუ ისე კარგად ნაცნობი მოღვაწე, სამცხე-ჯავახეთის ნამდვილი გმირია. ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი ივანე გვარამაძე 1882 წელს გამოცემული, სპეციალურად სასწავლებლებზე გათვლილი „ქართლის ცხოვრების“ და ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს ავტორია. „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ის „ივერიასა“ და „დროებაში“ აქვეყნებდა წერილებს და ქართულ საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის პრობლემებს და ისტორიას აცნობდა, ხოლო გათურქებულ მესხებს შორის საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. მისი ინიციატივით დაარსებულა ბიბლიოთეკა და დაწყებითი სკოლა ახალციხეში. წლების განმავლობაში შეგროვებული ისტორიული ნივთებით კი საკუთარ სახლში საოჯახო მუზეუმიც გაუხსნია. 1921 წელს სწორედ მის სახლში დაცული ექსპონატებისა და გაუქმებული ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული ნივთების ბაზაზე გაიხსნა ახალციხეში პირველი სამაზრო მუზეუმი. თუმცა, პოპულარობის მოპოვება ამ დაწესებულებამ ვერ მოასწრო, რადგან მალევე დაიხურა, იქ დაცული ექსპონატები კი თბილისში, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გადაიტანეს. მხოლოდ 1937 წელს მოხერხდა ახალციხეში მუზეუმის ხელახლა გახსნა. ეს ივანე გვარამაძის ვაჟის, კონსტანტინეს დამსახურება იყო. ახლად დაფუძნებულ მუზეუმს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სტატუსი მიანიჭეს და უკან დაუბრუნეს ძველი მუზეუმის კუთვნილი ექსპონატები. 1972 წელს მუზეუმი რაბათის ციხის ტერიტორიაზე მდებარე შენობებში გადავიდა. ამ პერიოდიდან დაიწყო კოლექციების გამდიდრებისათვის ზრუნვაც. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში უკვე იყო დაცული მნიშვნელოვანი ხელნაწერები, იშვიათი გამოცემები, ფოტოები, ეთნოგრაფიული ნიმუშები და სხვა ისტორიული მასალა, თუმცა, სამცხე-ჯავახეთში გაშლილმა არქეოლოგიურმა გათხრებმა არა მარტო მუზეუმის კოლექციები გაამდიდრა, არამედ მთლიანად ახალციხის ისტორიული მნიშვნელობაც საგრძნობლად გაზარდა.

ამირანის გორა, რომელსაც ადგილობრივები თავშან-თაფასაც ეძახიან, ახალციხის მახლობლად, მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე მდებარე მთაა. სწორედ ამ მთის სამხრეთ კალთაზე 1953 წელს დაწყებული არქეოლოგიური გათხრებისას იქნა აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულის დროინდელი, კლდისა და რიყის ქვით, ზოგჯერ კი ალიზითა და ხით ნაგები ნასოფლარი მადნის გამოსადნობი სახელოსნოთი, მსხვერპლის შესაწირავი მოედნებით, სამაროვნებით. სწორედ ამ ადგილის

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის განახლებული ექსპოზიცია

შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ ათასწლეულების წინ ახალციხის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები მიწათმოქმედებას ეწეოდნენ და მეტალურგია მაღალ დონეზე ჰქონდათ განვითარებული, რის გამოც შეუდარებელი ოსტატობით ამზადებდნენ ლითონის ნივთებს და თიხის ნივთების დამზადებითაც გამოირჩეოდნენ. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკის დიდი დერგები, ტოლჩები, კათხები, ჯამები და სასმისები, რომელთაც, უმეტესწილად, სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა, დღეს მესხური კერამიკის სახელითაა ცნობილი.

გათხრების შედეგად საბოლოოდ დადასტურდა, რომ ჯავახეთის ტერიტორიაზე ადამიანები უძველესი დროიდან სახლობენ: აღმოჩენილია ადრეანტიკური ხანის მრავალი ნაქალაქარი, უზარმაზარი ლოდებისგან ნაშენი ციხე-ნამოსახლარები და აკლდამები.

ჯავახეთი პირველად ძვ. წ. 785 წელს ურარტუს მეფის წარწერაში მოიხსენიება. უშუალოდ ქალაქი ახალციხე XIV საუკუნეში ათაბაგთა სამფლობელოა, XIX საუკუნის 30-იან წლებამდე კი ე.წ. „ჩილდირის“ საფაშოს მთავარი ქალაქი – ამიერკავკასიისა და წინა აზიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე დასახლება. სწორედ ამ მრავალფეროვანი ისტორიის გამოა, რომ ახალციხეს ეკლექტური – აღმოსავლურ-დასავლური გავლენების მქონე ელფერი დაჰკრავს, რაც სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში დაცულ ექსპონატებს – სამკაულს, სარიტუალო თასებს, მინის სასმისებს, ტანსაცმელს თუ ხალიჩებს – განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს.

მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა, დაიწყო ზრუნვა მისი სივრცის თანამედროვედ მოწყობასა და მისი საგანძურის სათანადოდ დაცვაზე. ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების დახმარებით ახალციხეში მრავალი პროექტი განხორციელდა. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული ინიციატივა იყო კომპანია BP-ს და მისი პარტნიორების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც კოლექციები ბაქო-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიური მილსადენის მშენებლობისას არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთებით გამდიდრდა. მუზეუმი აღიჭურვა ფონდსაცავით არქეოლოგიური კოლექციებისთვის. ამავე პროექტის ფარგლებში მოეწყო განახლებული გამოფენაც.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება 2011 წელს დაიწყო, როდესაც ისტორიული რაბათის ტერიტორიაზე სარესტავრაციო-სამშენებლო სამუშაოები დაიწყო და მუზეუმის საგამოფენო დარბაზები ახალ შენობაში, ე.წ. ჯაყელების სასახლეში განთავსდა. განახლებული ექსპოზიციითა და საერთაშორისო სტანდარტებით გამართული მუზეუმი ახალციხეში 2012 წელს გაიხსნა. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ახალი გამოფენის კურატორი, არქეოლოგი ირინა ღამბაშიძე და მუზეუმის ხელმძღვანელი ციური ლაფაჩი აღნიშნავენ, რომ ახალი ექსპოზიცია ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული კონცეფციით მოეწყო. მიზანი იყო, სრულფასოვნად წარმოეჩინათ ის სიმბოლური დატვირთვა, რომელიც ამ რეგიონს ყოველთვის ჰქონდა – ახალციხე როგორც კულტურათა გზაჯვარედინი, გავლენებისთვის, ახალი გამოცდილებისათვის და ახალი კულტურული ღირებულებებისათვის გახსნილი სივრცე; რეგიონი, რომლის მთავარი ხიბლი სწორედ მრავალი კულტურის თანაარსებობაა.

სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის დიზაინის კონცეფციის ავტორი, დიზაინერი ლინა მარია ლოპესი აღნიშნავს: „შევეცადეთ, შეგვენარჩუნებინა ადგილის, შენობის ისტორიული იერსახე, რის გამოც შენობის არქიტექტურული ელემენტები – ფანჯრების ნიშები, ასევე ცენტრალური კედლების თაღები – ვიტრინებად გამოვიყენეთ. ვიტრინები მსუბუქი და ჰაეროვანი უნდა ყოფილიყო, რომ არ დაკარგულიყო სივრცის შეგრძნება. მართლაც, ძირითადად მინისგან დამზადებული, გამჭვირვალე და თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველი ვიტრინები თითქოს იკარგება სივრცეში, ამით კი მთელი აქცენტი შენობასა და არტეფაქტებზე გადადის. მეტიც, სპეციალური განათების წყალობით იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამოფენილი ნივთები, თითქოს, „ჰაერში დაფრინავს“.

ლ. ლოპესი აღნიშნავს იმასაც, რომ გამოფენისათვის მეტი დინამიკურობის მისანიჭებლად განზრახ გამოიყენეს პრე-

ზენტაციის განსხვავებული მეთოდები: ექსპოზიცია ქრონოლოგიური პრინციპით მესხური სახლის გარშემო განალაგეს. ზოგ შემთხვევაში ნივთი ვიტრინაშია წარმოდგენილი, ზოგჯერ კი – ვიტრინის გარეშე, რაც მნახველს საშუალებას აძლევს, უფრო ახლოდან, ინტიმურ გარემოში დაათვალიეროს წარმოდგენილი ნიმუშები.

„ესთეტიკა და მეცნიერება შერწყმულია ამ შენობაში და მნახველს სრულ წარმოდგენას უქმნის ისტორიასა და ნივთების არსზე“, – დასძენს ლინა მარია ლოპესი.

ერთი სიტყვით, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის განახლებული მუზეუმი უკვე ყველანაირ საშუალებას იძლევა თანამედროვე, კომფორტულ გარემოში შევძლოთ მესხეთის ისტორიის ამსახველი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, პალეონტოლოგიური, პალეოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ნარატიული და არქიტექტურული მასალის დათვალიერება, წარმოდგენა შევიქმნათ მესხეთის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ლანდშაფტსა და გარემოზე, კულტურასა და რიტუალზე, სოციალური იერარქიის საწყისებზე, წარმართობასა და ქრისტიანობაზე, განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურასა და მწერლობაზე. გამოფენას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გასდევს მესხეთის ტერიტორიაზე განვითარებული ისტორიული მოვლენების უწყვეტი ხაზი უძველესი დროიდან მეოცე საუკუნემდე. თითოეული ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშანი კი, როგორც აღვნიშნეთ, მრავალი კულტურის თანაარსებობაა. ■

მხარე-საგანძური

რეგიონი > ქეთევან ნებიერიძე

შეაბიჯებ თუ არა სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში, აუცილებლად გაგახსენდება, რომ სვანეთი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს განძთსაცავი იყო. კავკასიონის მთებში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე, მიუვალი სოფლების ეკლესიებში ინახებოდა ქართული თუ უცხოური ხელოვნების გამორჩეული ნიმუშები. ამ განძს სვანები რუდუნებით უვლიდნენ. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც 1910 წელს სვანეთში მოწყობილ მნიშვნელოვან ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, წერდა, რომ „ეკლესიებში იშვიათად თუ ვინმეს უშვებდნენ, არათუ საერო, არამედ სამღვდელო პირსაც, ცნობილია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსს დიდი დავიდარაბა დასჭირდა, რომ ეკლესიაში შეეშვათ“.



1)

2)

3)

1) სამკაული „ასლარ“
XIX ს., ვერცხლი, მოოქრული, სევადი, სიგრძე 56 სმ., მესტია

2) სამკაული „ჩაფრასტალ“
XIX ს., ვერცხლი, სევადი, მესტია

3) სამკაული „კებზარ“
XIX ს., ვერცხლი, სევადი, სიგრძე 43,5 სმ., მესტია

ამიტომ სვანეთში დაცული განძის, ადგილობრივი ყოფისა და კულტურის კვლევის თითოეულ მცდელობას მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ერთ-ერთი პირველი ღრმა კვლევა სვანეთის შესახებ ბრიტანეთის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტს, დუგლას უილიამ ფრეშფილდს ეკუთვნის. მისი ნაშრომი, რომელიც იტალიელი მთამსვლელისა და ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფის, ვიტორიო სელას ფოტოებით იყო დასურათებული, ლონდონში 1896 წელს გამოქვეყნდა. თუმცა ის არ ყოფილა ერთადერთი. კავკასიონის ქედზე გაშლილი მიუვალი დასახლებები, იქაური ყოფა-ცხოვრება და წეს-ჩვეულებები ათობით მკვლევარი მოგზაურის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა.

ვიტორიო სელამ, რომლის სახელსაც დღეს მესტიის ერთ-ერთი ქუჩაც ატარებს, 1886-1890 წლებში სამჯერ იმოგზაურა სვანეთში და მეცხრამეტე საუკუნის სვანეთის უნიკალური ფოტოები შემოგვინახა. 1500 ფოტონეგატივი ჩამოუტანია სვანეთიდან ფოტოგრაფსა და ეთნოგრაფს, დიმიტრი ერმაკოვს. ცნობილია, რომ 1910 წლის ექსპედიციის დროს, სწორედ მან აღბეჭდა პირველად ფირზე ადიშის ოთხთავის ხელნაწერები – დათარიღებულ ოთხთავებს შორის უძველესი (897 წ.), რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სვანეთში ინახებოდა და, ბოლოს, სოფელ ადიშში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევარს, ბესარიონ ნიჟარაძეს აღმოუჩენია.

1930-იანი წლების დასაწყისში აქტიურად დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სვანეთის ეკლესიებში შემონახული საგანძური – უნიკალური ხელნაწერები, უძველესი მონეტები, ეთნოგრაფიული ექსპონატები, რიტუალური დანიშნულების ნივთები თუ უნიკალური ხატები და ჯვრები გაერთიანებას, აღნუსხვას და დაცვას საჭიროებდა. ამ აზრს ამყარებდა პარიზში, 1937 წელს გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომი „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-

მძივები
ანტიკური ხანა, მინა და ქვა, უშგული

საბეჭდავები
V ს., ქვა, უშგული

სვანეთში 1910 წელს“ და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო ექსპედიცია. შედგად, 1936 წელს მესტიაში პირველი მუზეუმი გაიხსნა. მის ფონდებში თავდაპირველად მესტიის მთავარ ეკლესიაში – სეტის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაცული ძეგლები შევიდა. მუზეუმის დირექტორი პეტერბურგის უნივერსიტეტდამთავრებული ეგნატე გაბლიანი გახდა, რომელიც 1920-იანი წლებიდან მოყოლებული ფსევდონიმითაც (ეგნატე სვანი) და მის გარეშეც აქვეყნებდა წერილებს სვანეთის შესახებ. სწორედ მისი ხელმძღვანელობით, მუზეუმის დაარსებისთანავე, დაიწყო კოლექციების გამდიდრება. ეს საქმე არც მომდევნო წლებში შეწყვეტილა. გადამწყვეტი როლი კი ამ პროცესში 1972 წელს დაწყებულმა სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსურმა ექსპედიციამ შეასრულა. სწორედ ამ ექსპედიციის შემდეგ მიიღო საბჭოთა საქართველოს მთავრობამ საგანგებო დადგენილება სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ. მუზეუმს მიენიჭა სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის სტატუსი და იგი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა. დაიწყო ახალი შენობის მშენებლობაც, რომელიც 27 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. შენობაში მუზეუმის გადატანა მხოლოდ 2003 წელს მოხერხდა. 2004 წელს ის როგორც ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის ნაწილი ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შევიდა.

ვინც მესტიაშია ნამყოფი, აუცილებლად ეხსომება ეს უცნაური, წახნაგოვანი, ბეტონის კონსტრუქცია და მისი არც თუ ისე ეფექტური ექსპოზიცია. მართალია, სვანური საგანძური მაშინაც ახდენდა დიდ შთაბეჭდილებას, თუმცა, დაუსრულებელი შიდა სამუშაოები და სტაბილური კლიმატური გარემოს არარსებობა უნიკალური საგანძურის დაცვას ართულებდა. პრობლემა იყო

სვანეთის ნუმიზმატიკურ კოლექციას განსაკუთრებით ამდიდრებს ის მონეტები, რომელთაც ხალხი ეკლესიებს საუკუნეების განმავლობაში სწირავდა, დაწყებული ძვ. წ. V საუკუნეში მოჭრილი „კოლხური თეთრით“, დამთავრებული საბჭოური მონეტებით. კოლექციაში შედის დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი–ლაშას დროინდელი, ასევე ბიზანტიური, ირანული, სელჯუკური, მონღოლური, რუსული, პოლონური, დანიური, გერმანული, ჩეხური მონეტები, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს სტატერი, არაბული დირჰემი და სხვ.

მესტიის ოთხთავი
ვერცხლის ბურთულებით შემკული ტვიფრული ყდის ზედა ფრთა. 1033 წ., მესტია

ლაბსყალდის ოთხთავი
მოოქრული ვერცხლით მოჭედილი ყდის ზედა ფრთა, XII ს., მესტია



ადიშის ოთხთავი
კამარებიანი კანონები, 897 წ.
მესტია

იენაშის ოთხთავი
სახარების პირველი გვერდი.
ეტრატი, XIII საუკუნე, მესტია

ისიც, რომ საგამოფენო დარბაზს არასწორი განათება ჰქონდა, საცავები კი ექსპონატების დაცვის არც ერთ თანამედროვე სტანდარტს არ აკმაყოფილებდა.

სპეციალისტების ინიციატივით და თავდაუზოგავი შრომით 2008 წლიდან მოყოლებული, სხვადასხვა საერთაშორისო ფონდისა და ორგანიზაციის მხარდაჭერით, რამდენიმე მრავალკომპონენტიანი მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომელთაც თითქმის სრულად მოიცვეს სვანეთში დაცული საგანძური.

2010 წელს შენობის კვლევა Ellis Williams Architects-მა ჩაატარა. კომპანიის დირექტორმა, დიტერ პფანეშტილმა აღნიშნა, რომ მუზეუმი დაუყოვნებლივ რეკონსტრუქციას საჭიროებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში არა მარტო შენობა აღმოჩნდებოდა უმძიმეს მდგომარეობაში, არამედ იქ დაცული არტეფაქტებიც.

ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების და უცხოელი ექსპერტების კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ სასწრაფოდ იყო მოსაგვარებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა და ჩასატარებელი იყო შემდეგი სამუშაოები: დაზიანებული სახურავის შეკეთება, მთელი შენობის გათბობისა და კონდიცირების, ასევე ელექტროსისტემის ხელახალი დამონტაჟება, საექსპოზიციო სივრცის რეორგანიზაცია, უსაფრთხოების საკითხის გადაჭრა და სხვ.

სიღრმისეული კვლევის შედეგად ამ „სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემათა“ ნუსხა იმდენად გაიზარდა, რომ ბოლოს ძველი შენობის დანგრევა და ახლის აშენება გახდა საჭირო.

2011 წელს, მესტიის მუზეუმის სამშენებლო სამუშაოების გამო, ექსპონატები კლიმატ-კონტროლით აღჭურვილ სპეციალურ დროებით საცავში გადაიტანეს.

როგორც სვანეთის მუზეუმის ხელმძღვანელი, რუსიკო ქოჩქიანი ამბობს, მთელი წლის განმავლობაში მუზეუმის ახალ შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა: მუზეუმი მოეწყო და აღიჭურვა თანამედროვე საერთაშორი-

სო სტანდარტების შესაბამისად, სადაც უკვე გათვალისწინებულია ექსპონატებისთვის ხელსაყრელი სამუზეუმო განათება, გათვალისწინებულ იქნა მათთვის აუცილებელი სპეციალური კლიმატური გარემო და პირობები.

ნებისმიერი მუზეუმის კონცეფცია მასში დაცული ნივთების სპეციფიკას ემყარება. სვანეთის მუზეუმის კოლექცია ძირითადად ეკლესიებისთვის შეწირული განძებისაგან შედგება. მუზეუმის საგამოფენო დარბაზები სწორედ ამ პრინციპით მოეწყო. ისტორიაში მოგზაურობა სვანეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით იწყება, შემდეგი დარბაზი მთლიანად ნუმიზმატიკურ განძებს ეთმობა, მომდევნო ორ დარბაზში ხატები, ჯვრები და ეკლესიებისათვის შეწირული ჭურჭელი გამოიფინება, ბოლო ორი გალერეა კი უნიკალურ ხელნაწერებს და მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალას დაეთმობა. ცენტრში განთავსებულია დროებითი საგამოფენო სივრცე, რომელიც სხვადასხვა თემატური გამოფენის მოწყობის საშუალებასაც იძლევა. საგამოფენო სივრცის გარდა, აღიჭურვა მუზეუმის ლაბორატორია, საცავი და თანამშრომლების სამუშაო ოთახები, მოეწყო საზოგადოებრივი სივრცე, სადაც დამთვალიერებელს შეუძლია ესტუმროს მუზეუმის მაღაზიას და კაფეს. მუზეუმის რეაბილიტაციის მეორე ეტაპზე დაგეგმილია აუდიტორიისა და მედიათეკის მოწყობა.

პროექტის დასრულების შემდეგ სვანეთის მუზეუმი, რომელიც ძირითადი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია რეგიონში, უკვე სრულფასოვნად შესარულებს დამაკავშირებელი ხიდის როლს ტრადიციასა და ნოვაციას, ისტორიასა და თანამედროვეობას შორის. ■

სტატიის მომზადებისას გამოყენებულია პუბლიკაცია „სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის (უშგული) ეთნოგრაფიული კოლექციების შესწავლისთვის“, მანანა ხიზანიშვილი, 2010 წ.
ეროვნული მუზეუმის მოამბე;
ეროვნული მუზეუმის 2011 წლის ანგარიში
„სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი“

მაცხოვრის ხატი
X ს., ხე, ჭედური ვერცხლი, უშგული

ჩვილედი ღვთისმშობლისა და წმ. ბარბარეს ხატი
X ს., ხე, ლევკასი, ტემპერა. მესტია

ორმოცი სებასტიელი მოწამის ხატი
XII ს., ხე, ტილო, ლევკასი, ფურცლოვანი ოქრო, ტემპერა. მესტია

საკურთხევლის წინ დასადგმელი ჯვარი
ვენეცია, XII-XIV სს. ხე, ეტრატი, ფურცლოვანი ოქრო, მინიატურა, მარგალიტი, ვერცხლი, ფილიგრანი, თვლები; მესტია

საწინამძღვრო ჯვარი
ესტატე ოქრომჭედელი. XI ს., ხე, ნაწილობრივ მოოქრული ვერცხლი. უშგული

საცეცხლურები
სირია, VI-VII სს., ბრინჯაო, სხმული, მესტია



დმანისი

მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება მეცნიერული კვლევაა, მეცნიერების საზღვრები კი არნახულადაა გახსნილი.

სწორედ ამ საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვა იყო ჩვენი მიზანი; არა მხოლოდ ჩვენი წარსულის გაცნობა მსოფლიოსთვის და იმის მუდმივი მტკიცება, რომ საქართველო დიდი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა, არამედ ჩვენი ახალი აღმოჩენების პოპულარიზაცია და ახალი ტიპის სამეცნიერო ცენტრების შექმნა, სადაც, ქართველებთან ერთად, უცხოელი მეცნიერებიც ჩაატარებენ კვლევას.

დმანისი ამის საუკეთესო მაგალითია. დმანისს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე აღმოჩენის შემდეგ საერთაშორისო ყურადღება ისედაც არ მოაკლდებოდა, მაგრამ ჩვენ მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე ვიზრუნეთ და დღეს, მისი სასწავლო-კვლევითი ცენტრის წყალობით, ის ჩვენი ქვეყნის ელჩიცაა მსოფლიო სამეცნიერო წრეებში. ■

გალერეა

ეროვნული გალერეა მოგვიანებით შემოვიდა ჩვენს სისტემაში საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობითა და რეალობით. პრობლემური იყო არა მხოლოდ შენობა, არამედ კოლექციების მდგომარეობაც. შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მხოლოდ ფინანსური კრიზისის გამო არ აღმოჩნდა გალერეა ასეთ დღეში. პირველ ეტაპზე გალერეაში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების სახსრები არც ეროვნულ მუზეუმს ჰქონდა.

თუმცა, ახლაც მეამაყება იმის გახსენება, რომ ჩვენი მუზეუმის თითოეულმა თანამშრომელმა, ახალგაზრდამ თუ ძველი თაობის წარმომადგენელმა, უყოყმანოდ გამოთქვა მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღო გალერეის გაწმენდაში. ეს იყო პირველი, მოსამზადებელი ეტაპი და მხოლოდ ამ ეტაპის დაძლევის შემდეგ შეიძლებოდა იქაურობის კონცეპტუალურ ცვლილებაზე ლაპარაკი. ... გაიკეთეს ნიღბები, ჩაიცვეს ხელთათმანები და დაიწყეს შენობის გასუფთავება... შემდეგ უკვე გალერეის კონცეფცია და პროექტი მოვამზადეთ.

მაშინ, როცა კულტურის სამინისტროს გაუჩნდა მატერიალური სახსრები ეროვნული გალერეის აღსადგენად, ჩვენ უკვე მზად ვიყავით; მეტიც, რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე დაძლეული გვქონდა, რამაც მუშაობის ტემპი დააჩქარა. ■



NATIONAL GEOGRAPHIC-ი საქართველოში

22 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეზომ ბევრი ქართველის „ბავშვობის ოცნებას“ უმასპინძლა. National Geographic-ი საქართველო საზოგაოდებას სილქ როუდ ჯგუფთან და ქართულენოვანი გამოცემის გუნდთან ერთად აშშ-ს ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა, ტერენს ბ. ადამსონმა, National Geographic-ის ფოტოგრაფმა, მარკ თისენიმ და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, დავით ლორთქიფანიძემ წარუდგინეს. ჟურნალის პრეზენტაციის პარალელურად საქართველოს ეროვნული მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში გაიხსნა ამერიკელი მკვლევრის, ჯორჯ კენანის ფოტოგამოფენა, რომელმაც საქართველოში XIX ს-ის ბოლოს იმოგზაურა. მოგზაურობის 55-გვერდიანი აღწერა ჟურნლ National Geographic-ის 1913 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა.

აშშ-ს ერვნული გეოგრაფიული საზოგადოების აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, ტერენს ბ. ადამსონის თქმით, საქართველო უკვე ძალიან დიდი ხანია არის National Geographic-ის ცხოვრების ნაწილი თავისი არაჩვეულებრივი არქეოლოგიური აღმოჩენებით, განუმეორებელი ბუნებითა და ხალხით. National Geographic-ი საქართველოს შესახებ საუკუნეზე მეტია წერს, რასაც ადასტურებს კიდეც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ორგანიზებული გამოფენა. მისივე თქმით, ქართულენოვანი გამოცემის არსებობა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს National Geographic-ს, რომ შეიტყოს და წეროს საქართველოს შესახებ. ქართულენოვანი გამოცემის რედაქტორის, ლევან ბუთხუზის თქმით კი ჟურნალის გამოცემა პირველ რიგში იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მას საგანმანათლებლო დანიშნულებაც აქვს. ჟურნალში დაბეჭდილი მასალა ყოველთვის ეყრდნობა ღრმად გაანალიზებულ, უტყუარ ფაქტებს, თუმცა იმდენად მარტივადაა დაწერილი, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც კითხვა უყვარს, აუცილებლად იქცევა სამაგიდო წიგნად. რაც შეეხება National Geographic-ის პრეზენტაციის ეროვნული მუზეუმის ეზოში გამართვას და, ზოგადად, მასთან თანამშრომლობას, რედაქტორის თქმით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის და მისი გენერალური დირექტორის მიერ განხორციელებული პროექტები არაერთხელ მოექცა National Geographic-ის ყურადღების ცენტრში. ქართულენოვანი ვერსიის შექმნისას National Geographic-ის ქართული ჯგუფი ყოველთვის გრძნობდა მუზეუმის მხრიდან თანადგომას და, ამიტომ, „სხვაგან სად, თუ არა მუზეუმში უნდა გამართულიყო პრეზენტაცია, იქ სადაც National Geographic-ს ასე ელოდნენ“ – ამბობს ლევან ბუთხუზი.

National Geographic-ის საქართველოში შემოსვლის ინციატორი და სპონსორი სილქ როუდ ჯგუფი და მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი რამიშვილი გახლდათ. როგორც თვითონ აგვიხსნა, მისი და მისი გუნდის სურვილი იყო, საქართველოში შემოეტანათ ისეთი მაღალი ხარისხის სამეცნიერო-პოპულრაული ლიტერატურა, როგორიც National Geographic-ია.

აღსანიშნავია, რომ National Geographic-ის სტატიების 30 პროცენტი ქართველი ჟურნალისტების მიერ იქნება მომზადებული, რაც მათ საშუალებას მისცემს, პირდაპირ იმუშაონ ამერიკელ რედაქტორთან. ვორქშოფები გამიართება ფოტოგრაფებისთვისაც. National Geographic-ი დღეს 37 ენაზე იბეჭდება და 100-ზე მეტ ქვეყანაში გამოდის. მათ შორის უკვე საქართველოცაა. ■

წარსულის რეკონსტრუქცია და თანამედროვეობა მუზეუმში

“რეკონსტრუქცია: კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვე მოდა“ – ასე ერქვა ეროვნულ მუზეუმში გახსნილ გამოფენას და მის თანმხლებ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით გაიმართა. პროექტის „ახალი აბრეშუმის გზის“ ფარგლებში, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, 20 ოქტომბერს 7 ყველაზე ცნობილი ბრიტანელი დიზაინერის ნამუშევრები გამოიფინა. ვივიენ ვესტვუდი, პოლ სმიტი, პიტერ იენსენი, ჰუსეინ ჩალაიანი, სოფია კოკოსალაკი, ოსმან იუსეფზადე და მარიოს შვაბი – ამ დიზაინერების კოსტიუმების დათვალიერება მუზეუმის სტუმრებს ერთი თვის განმავლობაში შეეძლოთ. თბილისისთვის ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სამუზეუმო სივრცე მოდის გამოფენას დაეთმო. ეს გახლდათ კიდევ ერთი გზავნილი საზოგადოებისთვის იმის ხაზგასასმელად, რომ ეროვნული მუზეუმი მზადაა, მხარი დაუჭიროს სიახლეებს. ის, ამავე დროს, ყველაზე შესაფერისი ადგილია ტრადიციებისა და თანამედროვეობის შესახვედრად.

საინტერესო იყო გამოფენის კონცეფციაც. თითოეული ის ღონისძიება, რომელიც 2007 წელს დაწყებული პროექტის „ახალი აბრეშუმის გზის“ ფარგლებში ტარდება, მიზნად ისახავს აბრეშუმის გზის ისტორიული მარშრუტის ხელახლა გააზრებას და ძველი, დაკარგული ურთიერთობების აღდგენას ცენტრალური და სამხრეთ აზიის ქვეყნებსა და თანამედროვე ევროპას შორის. ამიტომ, ამჯერადაც, ბრიტანელი დიზაინერების ნამუშევრები საქართველომდე აბრეშუმის გზის სხვა ქვეყნებშიც იყო გამოფენილი.

ცნობილი დიზაინერების ქართველი თაყვანისმცემლები ინტერესით ათვალიერებდნენ მუზეუმის მესამე სართულზე გამოფენილ კოსტიუმებს, რომლებიც თანამედროვე ბრიტანული მოდის სახეს განსაზღვრავენ და, ამავე დროს, მათი ავტორების ეთნიკურ და სოციალურ მემკვიდრეობასაც წარმოაჩენენ. სოფია კოკოსალაკი იქნება, პიტერ იენსენი თუ ჰუსეინ ჩალაიანი – კავშირი პიროვნულ გავლენებს, წარსულის მოგონებებს, ეთნიკურ წარმომავლობასა და თანამედროვე ფასეულობებთან მათ ნამუშევრებში ერთნაირად მჭიდრო და თვალშისაცემია.

გამოფენის ფარგლებში გაიმართა საგანმანათლებლო ღონისძიებათა ციკლიც, რაც ასევე დიდი სიახლე იყო მოდით დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ბრიტანელი კურატორი ქენდალ მარტინ რობინსი სამხატვრო აკადემიის პედაგოგებსა და სტუდენტებს შეხვდა და ვორქშოფი ჩაატარა მუზეუმების თანამშრომლებისა და მოდის კურატორებისთვის. ბრენდის შესახებ პრეზენტაცია მოაწყო პიტერ იენსენის ბიზნეს პარტნიორმა ჟერარ უილსონმაც.

სამხატვრო აკადემიაში გამართულ ვორქშოფზე, მარტინ-რობინსმა სტუდენტებს აჩვენა ფილმები მოდის შესახებ და შეეცადა, დაერწმუნებინა ახალბედა და დამწყები დიზაინერები, რომ სწორედ ასე გადაღებული სამოყვარულო ფილმებია საუკეთესო საშუალება საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციისთვის. ჟერარ უილსონმა და მარტინ რობინსმა ქართული მოდის ბაზარიც შეაფასეს და აღნიშნეს, რომ მსგავს ღონისძიებებს და კავშირს თანამედროვე დასავლურ მოდასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ■

უახლესი აღმოჩენები კახეთში

არქეოლოგია > თამარ ბაბუაძე

2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ექსპედიციის მიერ კახეთში, ლაგოდეხში წარმოებული გათხრები მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენით დასრულდა. სოფელ ჭაბუკიანთან, ალაზნის ჭალებში გრანდიოზული, მდიდარი არქეოლოგიური მასალის, მათ შორის ოქროს ნივთების შემცველი ყორღანი გაითხარა, რომელიც ადრებრინჯაოს ხანას (ძვ.წ. III ათასწლეული) განეკუთვნება.

ექსპედიცია, რომელსაც ზურაბ მახარაძე, ო. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის უფროსი ხელმძღვანელობდა, სოფელ ჭაბუკიანთან ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდა. გაითხარა დიდი ზომის ორი ყორღანი, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ანანაურის N3 ყორღანი გამოდგა, რომელიც გრანდიოზულია თავისი ზომებით – 100 მ დიამეტრითა და 12 მ სიმაღლით. „ჩვენებური პირამიდაა“, – განმარტავს ზურაბ მახარაძე და დასძენს, რომ ასეთი დიდი ყორღანი, ოცდაათ წელზე მეტია, არ გათხრილა საქართველოში. ყორღნის ყრილი თიხისაა. ზედა მხარეს მას ქვის ჯავშანი იცავდა, რომლის ქვეშაც ხით გადახურული, საკმაოდ მოზრდილი კამერა იყო. ეს დასაკრძალავი დარბაზი გახლდათ და, შესაბამისად, მისი მთავარი ატრიბუტიც ორი ოთხთვალა დასაკრძალავი ეტლი იყო. როგორც წესი, მსგავს სამარხებში ერთი ეტლი იდგა ხოლმე, რომელიც გარდაცვლილ ბელადს ეკუთვნოდა. ჯერჯერობით დაუდგენელია, ანანაურის ყორღანში რატომ იყო ორი დასაკრძალავი ეტლი.

იქვე, კერამიკის და ოქროს ნივთებთან ერთად, აღმოჩნდა ტყავის, ჭილოფის, ქსოვილისგან დამზადებული ნივთებიც. მსგავსი მასალა, როგორც წესი, დროს ვერ უძლებს, თუმცა, როგორც ჩანს, დარბაზში ისეთი მიკროკლიმატი შეიქმნა, რომ არა მარტო ნაზი ქსოვილები შემოგვრჩა, არამედ სხვადასხვაგვარი ხილიც კი, მაგალითად, თხილი, წაბლი და ტყის სხვადასხვა ჯიშის კენკრა, რომლებიც კალათებით აქა-იქ იყო ჩადგმული დარბაზში.

ორნამენტირებული ხის ჭურჭელი, ფოჩებიანი ტყავის ჩანთა, ქალცედონის მთლიანი ქვისგან გამოთლილი ბეჭედი, კავკასიაში ყველაზე ადრეული ქარვის მძივები, ხის სავარძელი“ – აგრძელებს აღმოჩენილი ნივთების ჩამოთვლას ზურაბ მახარაძე. ახლა თითოეულ ნიმუშს ლაბორატორიაში შეისწავლიან. დეტალებიც მხოლოდ კვლევის დასრულების შემდეგ გამოიკვეთება, რაც უთუოდ მნიშვნელოვანი დეტალებით გაამდიდრებს ჩვენ ცოდნას ადრებრინჯაოს ხანის შესახებ. ■

მუზეუმის მეგობრები

ეს შენი ქვეყნის საგანძურია

შემოგვიერთდით!

www.museum.ge/support

facebook.com/MuseumFriends

დაგვიკავშირდით:
+995 32 2995895 / +995 32 2990781 (173) /+995 599370015
friends@museum.ge
საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეგობრების საზოგადოება,
შოთა რუსთაველის გამზირი 3, თბილისი 0105

ქართული არქეოლოგიური მისია ქუვეითში

არქეოლოგია > ნათია ლიქოკელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგ-მკვლევართა გუნდი უკვე ორი სეზონია ქუვეითის კუნძულ ფაილაკაზე აწარმოებს არქეოლოგიურ გათხრებს. გუნდის მიზანია ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ტერიტორიის, ალ-ავაზიმის სრული გათხრა და მეცნიერული შესწავლა.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ქუვეითის კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ეროვნულ საბჭოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს 2010 წელს მოეწერა ხელი. მემორანდუმის თანახმად, საქართველოს ეროვნული მუზეუმი 5 წლის განმავლობაში მიავლენს მისიას კუნძულ ფაილაკაზე, რათა დაგეგმოს და უხელმძღვანელოს ალ-ავაზიმის არქეოლოგიურ ძეგლზე მიმდინარე გათხრებს.

მსგავსი ტიპის თანამშრომლობა ქუვეითის მხარეს სხვადასხვა დროს ჰქონდა აშშ-ს, იტალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, საბერძნეთის, სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს, იორდანიის, სლოვაკეთისა და პოლონეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ქუვეითის მხარის ინიციატივა, ზემოთ ჩამოთვილი ქვეყნების შემდეგ არქეოლოგიური თვალსაზრისით მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ძეგლზე საქართველოსთან ეთანამშრომლა, მეტყველებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის და ქართველი მეცნიერების დიდ საერაშორისო ავტორიტეტსა და მაღალ პროფესიონალიზმზე.

2011 წლის გაზაფხულზე ფაილაკაზე პირველი ქართული მისია ჩავიდა. 2 თვის მუშაობის შედეგად გაითხარა ბრინჯაოს ხანის ყორღანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის კონსტრუქცია მანამდე ფაილაკაზე არ ყოფილა აღმოჩენილი. არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, საქართველო–ქუვეითის მისიამ 2011 ჩაატარა ტერიტორიის მცირემასშტაბიანი კვლევა, მოხდა ძეგლების დანომრვა, მათი კოორდინატების დაფიქსირება და ფოტოფიქსაცია. ყველა მნიშვნელოვანი ადგილი დატანილ იქნა კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის სქემატურ რუკაზე.

2012 წელს მისიის ძირითადი მიზანი კვლევის დროს გამოვლენილი არქეოლოგიური შენობების შესწავლა და კუნძულზე კვლევის გაგრძელება იყო. შესწავლილ იქნა არქიტექტურული კონსტრუქციები, შუშისა და კერამიკის ფრაგმენტები და არქეოლოგიურ ძეგლზე აღმოჩენილი სხვა ნივთები, რომელთა უმეტესობა ადრებრინჯაოს და შუაბრინჯაოს ხანით თარიღდება. ამავე დროს, გრძელდებოდა შემოგარენის მეცნიერული კვლევა და გათხრილი ძეგლების ნაწილობრივი კონსერვაცია.

მომდევნო მისია ქუვეითში 2013 წლის გაზაფხულზე იგეგმება. ■

NATIONAL GEOGRAPHIC
საქართველო

შთაგვაგონებს ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე



ჟურნალი NATIONAL GEOGRAPHIC ქართულად!

გამოიწერეთ სპეციალურ ფასად!

ერთი ნომრის ფასი ადგილზე მიტანით:

ექვსთვიანი გამოწერა	6.50 ლარი	დაზოგეთ 0.50 ლარი +ადგილზე მიტანა
ერთწლიანი გამოწერა	6 ლარი	დაზოგეთ 1 ლარი +ადგილზე მიტანა
გამოწერა სტუდენტებისთვის	4.50 ლარი	დაზოგეთ 1.50 ლარი +ადგილზე მიტანა

ჟურნალის გამოწერა შესაძლებელია ვებგვერდზე **www.nationalgeographic.ge**

სილქნეტი SILKNET
ჯველაზერი კავშირშია

სპეციალური ფასი Silk TV-ის აბონენტებისთვის

ერთი ნომერი 5 ლარი

IPTV-მომხმარებლებს ჟურნალის გამოწერა სახლიდან გაუსვლელადაც შეუძლიათ, ტელემენიუში ინტეგრირებული ღილაკის მეშვეობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ სილქნეტის ცხელ ხაზზე 2 100 100

დამატებითი ინფორმაციისთვის:
ტელ: 293 2171 | ფაქსი: 293 2172 | ელ-ფოსტა: info@natgeo.ge | www.nationalgeographic.ge


საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
ეწვიეთ სვანეთის განახლებულ
მუზეუმს!